ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 აპრილი შაბათი 2011
№076 (13373) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

11

დავამარცხეთ: 5 ქართველი 5 რუსზე ძლიერია

4

ამ საღამოს ვახშმად: მილანი-ინტერი
დესერტად: რომა-იუვენტუსი

ქართული კლასიკო: ტორპედო-დინამო
ცხელი აპრილის მოლოდინში

ზანქტ-პაული-შალკე: მასპინძლების ქომაგმა მსაჯისთვის ლუდის ბოთლი გაისროლა

გვარდიოლა როსელის: 5:0 არა 60:0!

გერმანია დაიწყო და ჩაიშალა
ევროუიკენდის წინათქმა

5-9

პრეზიდენტის საფეხბურთო აქცენტები
2

სასწრაფოდ: სტადიონები, ტრანსლაცია, ინტერნატები

ქართული ფეხბურთი

● შეხვედრა პრეზიდენტთან

მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში კარგი ფეხბურთი უნდა გვქონდეს

გუშინ საღამოს ტელევიზიებით ნაჩვენებმა კადრებმა საფეხბურთო სამყაროს იმედი ჩაუსახა: საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილსა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** შეხვდა და ფეხბურთის განვითარებაზე ესაუბრა.

მიხეილ სააკაშვილი: - ჩვენ გვჭირდება საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, რათა ფეხბურთის დონე ამაღლდეს და ჩვენი ნაკრები გაძლიერდეს. საქართველოში ფეხბურთის ლიგა მინიმალურ მოთხოვნებს მაინც უნდა პასუხობდეს. ამ საქმეში ჩართულია პრემიერ-მინისტრი და გთხოვთ, რომ სპორტის სამინისტრომ და ფედერაციამ ერთად იმუშაოთ, რათა საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით ყველგან შევქმნათ. ჩვენ ათასზე მეტი საბავშვო მოედანი ავაშენეთ და ეს იყო მნიშვნელოვანი ფეხბურთის განვითარებისთვის. შემდეგი ეტაპი საფეხბურთო სკოლების განვითარებაა, შეგვიძლია ინტერნატების სისტემის აღდგენა, სათანადო პირობების შექმნა და შესაბამისი საფარის დაგება.

ზვიად სიჭინავას თქმით, ორად ორ სტადიონზეა ნორმალური მინდორი, ზესტაფონში და ეროვნულ სტადიონზე.

მიხეილ სააკაშვილი: - სასწრაფოდ უნდა გავაკეთოთ მოედნები დიდ ქალაქებში. ვიცი, რომ მომავალი წლის დამლევამდე სტადიონების მშენებლობა იგეგმება ზუგდიდსა და ბათუმში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალიან მაწუხებს, ფეხბურთის ლიგის ტრანსლაციაა. ამის უზრუნველყოფა "საზოგადოებრივ მაუწყებელს" უნდა ვთხოვოთ და სააბისოდ საჭირო რესურსი მივცეთ. ჯერ ერთი, ეს აამაღლებს მსაჯობის დონეს - მსაჯობასთან დაკავშირებული მუდმივი სკანდალები ყველა ზღვარს სცდება და მეორე, გუნდებს და ფეხბურთელებს გაუჩნდებათ სტიმული.

ფინანსური სტიმულირების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცეს, რაც ფეხბურთელებისთვის მორალური სტიმული იქნება. კვირაში ერთხელ მაინც რომ გადაიცეს რომელიმე მნიშვნელოვანი მატჩის ტელერეპორტაჟი, ეს ფეხბურთის პოპულარიზაციასაც წაადგება და დონეც ამაღლდება. მიუხედავად იმისა, რომ თანხა ბევრი სხვა საქმისთვის უნდა გამოიყოს, წლეულს საამისოდაც გამოვძებნით, რადგან ფეხბურთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ფული გამოიყოფა მოედნის საფარისთვის, ინტერნატების აღდგენისა და ტრანსლაციის უზრუნველსაყოფად.

ლადო ვარძელაშვილი: - დღეს "სკოლბურთის" პრეზენტაცია მოეწყო, რომელშიც მინიმუმ 15 ათასამდე ბავშვი მონაწილეობს.

მიხეილ სააკაშვილი: - მაგისთვისაც დამატებითი თანხები გამოვყოთ. აუცილებელია სკოლის ლიგის განვითარება და მწვრთნელთა რესურსის ბოლომდე გამოყენება, რომელიც ჯერჯერობით საკმაოდ შეზღუდულია. საქართველოში გუნდების მოსამზადებლად რა პირობებია?

ზვიად სიჭინავა: - საქართველოში ასეთი ცენტრი თითქმის არ არსებობს და გუნდები ყველაზე ახლოს უკრაინაში თუ მიემგზავრებიან, სადაც ერთი შეკრება, სულ მცირე, 8 ათასი ევრო ჯდება. საერთოდ, შეკრება ძვირია და ბევრი გუნდი ამ თანხასაც ვერ იხდის.

მიხეილ სააკაშვილი: - არ შეიძლება, საქართველოში კარგი მოსამზადებელი პირობები არ გვქონდეს, რადგან ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ფეხბურთი კარგი მოედნებითა და სტადიონებით განვითარდება. საამისოდ სახელმწიფოს მხარდაჭერა იქნება საჭირო.

ლადო ვარძელაშვილი: - ნაკრებებს დღეს მთლიანად სახელმწიფო ინახავს და ყოველწლიურად 10-15 შეხვედრას მაინც ატარებენ. თუმცა დამატებითი მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სჭირდებათ.

ზვიად სიჭინავა: - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნაკრებები 7 მილიონი ლარით ფინანსდებიან. თუმცა ხარისხიანი მინდვრები არ გვაქვს.

მიხეილ სააკაშვილი: - არ შეიძლება, რომ საქართველოში კარგი ფეხბურთი არ გვქონდეს. ჩვენი ტრადიციების, განწყობისა და სულისკვეთების მქონე ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი ფეხბურთი, მაგრამ ამას ძალიან სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება სახელმწიფოსგან. მოკლედ, რამდენიმე ქალაქში სასწრაფოდ უნდა გავაკეთოთ კარგი საფარი, "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" გავუშვათ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟები და მივხედოთ ინტერნატებს.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები, რომელიც, იმედია, მხოლოდ განცხადებებად არ დარჩება და გაჭირვებაში ჩაძირულ ქართულ ფეხბურთს რეალურად მიეხედება.

● უეფას მოწონებული

უეფა სკოლბურთს ევროპას სთავაზობს

შოთა ბაქრაძისა და **დიმიტრი ბოკერიას** ინიციატივით, 2006 წელს ფეხბურთის ფედერაციამ და განათლების სამინისტრომ ერთობლივად წამოიწყეს პროექტი "სკოლბურთი", რომელიც წარმატებული გამოდგა, სპონსორებიც გამოჩდნენ და ახლაც სოლიდური კომპანია დააფინანსებს, უეფა კი მის ევროპაში დანერგვას აპირებს.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და "კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას"პრეზიდენტმა **თემურ ჭყონიამ** "სკოლბურთის" სასპონსორო ხელშეკრულება გააფორმეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ უეფას პირველი ვიცე-პრეზიდენტი **სენეშ ერზიკი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი,** ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რეზო არველაძე** და ფედერაციის მასობრივი ფეხბურთის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ბოკერია**.

ფედერაციის პრესსატაშე **ლაშა დვალიშვილი**: *"სკოლბურთი" ფეხბურთის პოპულარიზაციაში უდიდეს როლს თამაშობს, პროექტი 2006 წელს დაიწყო, 2007 წელს მთელი საქართველო მოიცვა, დღეს კი 1500 სკოლა და უამრავი ბავშვი მონაწილეობს".*

ზვიად სიჭინავა: *"პროექტში 18 ათასამდე ბავშვია ჩართული. "სკოლბურთის" სპონსორი "კოკა-კოლა" გახდება, რომლის ხელშეწყობით გამარჯვებული საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. იმედია, პროექტი დიდხანს გაგრძელდება. უეფას თანადგომა კი სპონსორების მოზიდვის გარანტიაა, რაშიც დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს".*

თემურ ჭყონია: *"რამდენიმე წლის წინ ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად საინტერესო პროექტს ვახორციელებდით, ჭაბუკთა ჩემპიონატი "კოკა-კოლას" სახელით ტარდებოდა, მაგრამ რატომღაც თანამშრომლობა ველარ განვითარდა. ახლა ისევ გადავწყვიტეთ სპონსორობა. "სკოლბურთი" ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია და ერთწლიანი არ იქნება, თანამშრომლობას საქართველოს ნაკრების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლამდე გავაგრძელებთ".*

ლადო ვარძელაშვილი: *"სამინისტროსა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც "სკოლბურთში" ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობენ, მთავარია მასობრივი სპორტის განვითარება. ფეხბურთი კი ის სახეობაა, რომელიც ძალიან პოპულარულია და მთელ ქვეყანას მოიცავს. "სკოლბურთში" გამარჯვებულის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა კი ბავშვებისთვის უდიდესი სტიმული იქნება".*

სენეშ ერზიკი: *"არასდროს ვთქვათ, რომ კომპანია სპონსორია, რადგან რასაც "კოკა-კოლა" აპირებს, არის პარტნიორობა. უეფასა და ფიფაში სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების კომიტეტებს 10 წელია, ვხელმძღვანელობ, სოციალური პროექტების რაოდენობას და მათ დაფინანსებას კი ყოველწლიურად ვზრდით. უეფა არა მხოლოდ ფეხბურთზე ზრუნავს, არამედ ასეთი პროექტებით განათლებული ბავშვების გაზრდა სურს.*

სკოლბურთი დაიწყო — ფოტო: www.gff.ge

აღფრთოვანებული დავრჩი "სკოლბურთით", რომლითაც შეგიძლიათ იამაყოთ. როდესაც შევიტყვეთ, რომ პროექტში თავდაპირველად 200 სკოლა და 2000 ბავშვი მონაწილეობდა, შარშან კი ამ რიცხვებმა, შესაბამისად, 1500-ს და 17 ათასს გადააჭარბა, ეს წარმატება უეფაშიც აღინიშნა და პროექტს "გრასრუტის" ან "ჰეთ თრიკის" პროგრამებით ფინანსურად ან ეკიპირებით დავეხმარებით. მალე ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში ქართულ პროექტს უეფას 54 ქვეყნის წარმომადგენლებს გავაცნობ".

დიმიტრი ბოკერია: *"განათლების სამინისტროს თანადგომის გარეშე ტურნირის ჩატარება წარმოუდგენელი იქნებოდა, რადგან 17 ათასამდე ბავშვს ორგანიზება და კონტროლი სჭირდება. "სკოლბურთი" დღეს "ირაოს" სტადიონზე გაიხსნება, 20 ივნისს კი 16 საუკეთესო გუნდი გამოვლინდება, რომლებიც ივნისის ბოლოს ერთკვირიან დასკვნით ეტაპზე გამარჯვებულს გამოავლენენ. ჩემპიონი კი ესპანეთში კოსტა ბრავას, იტალიაში სარდინიის ან გერმანიაში კრემერის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს".*

● ბიზნესი და ქართული ფეხბურთი

თემურ ჭყონია დინამო დააიმედა

1995 წელს "კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯია" საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატის სპონსორი გახდა და ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი. ტურნირი ამ კომპანიის სახელით ტარდებოდა, გამარჯვებულები კი ევროპულ ტურნირებზე მიემგზავრებოდნენ. "კოკა-კოლას" ჩემპიონატის ფინალში ბევრ ცნობილ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია, ფინალები კი მრავალ მაყურებელსაც იზიდავდა, რადგან ეროვნული სტადიონი მასპინძობდა, 15-16 წლის ბავშვები კი ისეთ ნიჭს ავლენდნენ, გულგრილი ვერ დარჩებოდი.

შემდეგ "კოკა-კოლა ბოთლერს ჟორჯია" ფეხბურთის ფედერაციის სპონსორიც გახდა, მაგრამ მერე კომპანიის პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ ფეხბურთზე ხელი ჩაიქნია, თუმცა ფეხბურთისკენ კვლავ გამოიხედა და ისევ ბავშვების ტურნირს, "სკოლბურთს" უსპონსორებს.

ცხადია, დავინტერესდით, ხომ არ აპირებს ბატონი თემური ეროვნულ ნაკრებთან თანამშრომლობას ან საქართველოს ჩემპიონატის ინვესტირებას და მივადექით თემას – ბიზნესი და ქართული ფეხბურთი.

თემურ ჭყონია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა — ფოტო: gff.ge

- ეროვნული ნაკრების სპონსორობას არ აპირებთ?

- ჯერჯერობით თავს ვიკავებთ და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვა გვიჯობს. ფეხბურთის მიმართ ინტერესი ისევ გაგვიჩნდა და ჩამოვყალიბდებით. "სკოლბურთთან" ჩვენი პარტნიორობა უვადო იქნება, ტურნირის ორგანიზებისთვის კი კომპანიის ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი გამოვყავით.

- ფეხბურთი ბიზნესისთვის თითქმის ყველა ქვეყანაში მომგებიანია, საქართველოში კი ჯერაც ნამგებიანია. საინტერესოა ბიზნესმენის აზრი – რატომ არის ასე?

- ფეხბურთი მართლაც ბევრგან არის მომგებიანი, მაგრამ არა ყველგან. მაგალითად, როდესაც თურქეთში ფეხბურთის განვითარება დაიწყეს, მაშინ ნამგებიანი იყო, ტრანსფერებში დღევანდელივით მილიონებს არ იხდიდნენ, არც სატელევიზიო კონტრაქტებისთვის იმეტებდნენ. მაგრამ საამისოდ საფუძველი ჩაყარეს, შექმნეს ინფრასტრუქტურა და შედეგად მიიღეს უძლიერესი ლიგა. ჩვენც ეს გზა უნდა გავიაროთ და მერე ბიზნესი ფეხბურთში სიამოვნებით მივა.

- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთი კომერციალიზაციის გზას მაინც თუ ადგას?

- როგორ არა, მაგრამ ჯერ ფეხბურთის განვითარების საწყის ეტაპზე ვართ. ასეა ყველა სფეროში, სპორტშიც, წარმოებაშიც, მენტალიტეტშიც.

- პრესკონფერენციაზე თქვით, რომ ნაკრებს არ უსპონსორებთ. უცნაური პირდაპირობაა და იქნებ, მიზეზი გვითხრათ?

- რატომ გვენატრება 1981 წლის 13 მაისის წარმატება, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნაკრების გასვლა? იმიტომ, რომ ქართველებს ფეხბურთში დიდი ამბიცია გვაქვს, გვახსოვს უდიდესი ვარსკვლავები, მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, ჩივაძე, ყიფიანი, დარასელია, გუცაევი, შენგელია და კიდევ ბევრი სხვა. ეს ამბიცია მეც არ მინელდება და ისეთივე ოსტატების და ძლიერი გუნდის ხილვა მინდა. ამიტომ დავიწყებთ ბავშვთა ფეხბურთითი და როდესაც მათ ნაკრებამდე მივიყვანთ, მერე ვნახოთ.

- თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, "კოკა-კოლას" ეროვნული ჩემიონატის სპონსორობის სურვილიც არ ექნება.

- ეროვნული ჩემპიონატიც რთული თემაა, ლიგის სპონსორები კი ვიყავით, მაგრამ ურთიერთობა ვერ განვითარდა. თუმცა თბილისის "დინამოში" დაწყებულმა პროცესებმა დიდი იმედი გამიჩინა. "დინამოს" გაძლიერება მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება და მის აღორძინებას შეუწყობს ხელს. უნდა გაჩნდეს პრეზიდენტი, რომ კლუბი გაძლიერდა და ბიზნესი ეროვნული ჩემპიონატის კენაც შემოტრიალდება.

- რას გულისხმობთ, "დინამო" ბიზნესმენმა რომ იყიდა და ერთმანეთს უფრო გაუგებთ?

- ამასაც ვგულისხმობ, ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიონალთან რომ დაიჭერ საქმეს. ასეა ნებისმიერ სფეროში, თუ პროფესიონალი არაა, მასთან ურთიერთობაც შეუძლებელია. "დინამოში" კი საქმის მცოდნე ხალხი გამოჩნდა, რომლებთან პარტნიორობა ბიზნესსაც გაუადვილდება და ფეხბურთის სამყაროსაც.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თელავივური დღიურიდან

საღ შეძლებს დვალიშვილი და საღ ვერა

ქართული ფეხბურთი ებრაელი მენეჯერის თვალით

თელ ავივში ერთი საინტერესო პიროვნება გავიცანით – ცნობილი ებრაელი საფეხბურთო მენეჯერი ჯეკი დანი. იგი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ქართველ ფეხბურთელთან, ლადო დვალიშვილთან თანამშრომლობს და სწორედ მისი გაჩარხულია საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის ჰაიფას "მაქაბიში" კონტრაქტი.

დანის სხვა ჩვენებურებთანაც სურს საქმის დაჭერა, იგი ისრაელი-საქართველოს მატჩს დაესწრო და საინტერესო ფეხბურთელების გვარები მოინიშნა. მას თამაშამდე გავესაუბრეთ.



ჯეკი დანი და ლადო დვალიშვილი

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

- თუ საიდუმლო არ არის, კონკრეტულად რომელიმე ქართველ ფეხბურთელზე გსურთ დაკვირვება თუ თამაშის შემდეგ გადაწყვეტთ, ვის შესთავაზოთ საკუთარი სამსახური?

- გულახდილად რომ გითხრათ, იმ ქართველებს, რომლებიც ისრაელზე უკეთეს ლიგებში თამაშობენ, ჩემთან ურთიერთობა არ სჭირდებათ, მაგრამ თქვენს ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც არიან, რომელთათვისაც ჩვენს ქვეყანაში გადმოსვლა სერიოზული წინსვლა იქნება. ძალიან მომწონს მურთაზ დაუშვილის თამაში. მის შესახებ ნარმოდგენა მხოლოდ ვიდეოჩანაწერებით მაქვს, ახლა კი ცოცხლადაც შევაფასებ. სამწუხაროა, რომ ჯანო ანანიძეს ვერ ვიხილავ. ბუნებრივია, მასთან საქმიანი ურთიერთობა არ გამომივა, უბრალოდ, მისი თამაშით დავტკბებოდი. ძალიან მომწონს ლევან ყენიაც და ვწუხვარ, რომ ტრავმებმა ასე გაანამა. ვნახავ, კიდევ ვინ გამოიჩენს თავს. სულაც არაა აუცილებელი, ეროვნული ნაკრების წევრი იყოს, საინტერესო ფეხბურთელების მოძიება საქართველოს ჩემპიონატშიც შეიძლება, ასე რომ, თქვენს ქვეყანას მალე ვეწვევი.

- ქართველი ფეხბურთელები სხვებისგან რაიმეთი გამოირჩევიან, თუ საქართველო თქვენთვის რიგითი პოტენციური ბაზარია?

- იმის მიუხედავად, რომ ქართულ ფეხბურთს საუკეთესო დროება არ უდგას, ქართველი ფეხბურთელის სხვებისგან გარჩევა ტექნიკითა თუ არაორდინარული გადაწყვეტილებებით მაინც შეიძლება. თქვენებურებით კიდევ იმიტომ ვარ დაინტერესებული, რომ ქართველები ისრაელს იოლად ეგუებიან და აქაურ საფეხბურთო და ცხოვრების სტილთან ადაპტირებას ადვილად ახერხებენ. ევროპიდან კი ისრაელში სათამაშოდ ძნელად თუ ჩამოიყვან მაღალი დონის ფეხბურთელს – თითქმის არავის უნდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მისი უსაფრთხოება გარანტირებული არ არის. არადა, თავადაც დარწმუნდით, რომ ისრაელის შესახებ წარმოდგენები გაზვიადებულია – თელ ავივსა და სხვა ქალაქებში ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიდის და ხალხი თავს მშვიდად გრძნობს.

- ისრაელში უფრო რომელ პოზიციაზე მოთამაშე ლეგიონერებზეა მოთხოვნა?

- აქ განსაკუთრებით მაღალი დონის თავდამსხმელის მოძებნა ჭირს, თუმცა კარგი ფეხბურთელები ყველა ამპლუასა გვჭირდება.

- როგორია თქვენი აზრი ლადო დვალიშვილზე, რის ხარჯზე შეძლო მან "მაქაბიში" და ისრაელის ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად დამკვიდრება?

- "ბაბუს" (ასეთი მეტსახელი შეარქვეს ლადოს ისრაელში) ძლიერი თავდამსხმელისთვის საჭირო არაერთი თვისება აქვს, მაგრამ მისი უმთავრესი ღირსება გასაოცარი შრომისმოყვარეობაა. გარდა ამისა, საოცრად წესიერი და თავმდაბალი ადამიანია და ამის გამო მწვრთნელებისა და თანაგუნდელების კეთილგანწყობა უმალ მოიპოვა.

- აქვს თუ არა მას იმის მონაცემები, რომ კარიერა უფრო მაღალ დონეზე გააგრძელოს?

- დარწმუნებული ვარ, დვალიშვილი პრემიერლიგის, პრიმერა დივიზიონის, სერია A-სა თუ ბუნდესლიგის საშუალო გუნდებში ფეხს იოლად მოიკიდებს. აი, გრანდებში დამკვიდრება კი ნამდვილად გაუჭირდება. მას ერთადერთი ნაკლი აქვს, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერასდროს გამოასწორებს – სისწრაფე აკლია.

- ბოლო დროს მის სავარაუდო ტრანსფერზე ბევრს ლაპარაკობენ. მაინც რას უნდა ველოდოთ ზაფხულის ფანჯრისას?

- დვალიშვილის მსურველ კონკრეტულ კლუბებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი მრავლად არიან. მას კონტრაქტს სთავაზობენ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთევროპული კლუბები. ერთი სიტყვით, დიდია იმის შანსი, რომ "მაქაბიმ" დვალიშვილი ამ ზაფხულსვე გაყიდოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, "ბაბუ" მომავალ ჩემპიონთა ლიგაზე კვლავ ამჟამინდელი გუნდის მაისურით ვიხილოთ.

- ისრაელის ნაკრები არასტაბილურ გუნდად რჩება. აქვს თუ არა მას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გასვლის პოტენციალი?

- უდავოდ აქვს, მაგრამ ამისთვის პირველ რიგში, მწვრთნელის შეცვლაა საჭირო. ჩემი აზრით, ნებისმიერ ნაკრებს ადგილობრივი სპეციალისტი უნდა წვრთნიდეს. უცხოელი ჩვენ მით უფრო არ გვჭირდება, რადგან ისრაელი მაღალი დონის მწვრთნელების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვყავს ავრამ გრანტი, ელიშა ლევი, ელი გუტმანი და სხვები. გრანტს ისრაელის ნაკრებში უკვე უმუშავია და ჩვენთან ნაკრებიდან წასული მწვრთნელები უკან არასდროს ბრუნდებიან, ლევი და გუტმანი კი ლუის ფერნანდეზის იდეალურ შემცვლელებად მიმაჩნია.

- საქართველოს ამჟამინდელ ნაკრებს როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებთ?

- ალბათ, დამეთანხმებით, რომ ევროპული დონის მოთამაშე სულ რამდენიმე გყავთ, თქვენი ნაკრების მთავარ ვარსკვლავად კი თემურ ქეცბაია მიმაჩნია. იგი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო და ვგონებ, მწვრთნელობაში კიდევ უფრო მეტს მიაღწევს. ვფიქრობ, მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ამ ციკლშიც იბრძოლებს ჯგუფიდან გასასვლელად და თუ ქეცბაია პოსტზე დარჩა, მომავალში კიდევ უფრო ძლიერი გუნდი გეყოლებათ. ქართული ფეხბურთის დიდ თაყვანისმცემლად ჩამთვალეთ, ისრაელის შემდეგ სწორედ თქვენს ნაკრებს ვქომაგობ.

● ჩვენებური უცხოეთში

ისრაელის ნაკრები? რაზომაც არა!

გიორგი დარასელია დამოუკიდებლობისთვის ემზადება

ისრაელი-საქართველოს მატჩს მასპინძელთა ნაკრებში ბევრი რამის შეცვლა შეეძლო. უკვე გიამბეთ, რომ **ლუის ფერნანდესს** ებრაელ ჟურნალისტებთან დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა, ნაკრების შედეგების გამო მისი პოზიციები ისედაც არ იყო მყარი და საქართველოსთან ვერმოგების შემთხვევაში ფრანგს დიდი ალბათობით თანამდებობიდან დაითხოვდნენ.

მის ყველაზე რეალურ შემცვლელად კი სახელდებოდა და ახლაც სახელდება ჰაიფას "მაქაბის" თავკაცი **ელიშა ლევი**. სპეციალისტი, რომელმაც გუნდი ჯერ ისრაელში გააჩემპიონა, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის შეხსენება, რომ "მაქაბიში" ლევის მარჯვენა ხელი **გიორგი დარასელიაა**. მათ ერთად სხვა კლუბშიც უმუშავიათ და ერთმანეთთან დიდი ხნის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებთ. ასე რომ, ისრაელის ნაკრებში დანიშვნის შემთხვევაში ლევი დარასელიას უთუოდ იქაც ნაიყვანდა.

"ბუნებრივია, ეს საკითხი ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. რაღა დაგიმალოთ და, ისრაელის ნაკრებში მუშაობის დიდი სურვილი მაქვს, რადგან ჩემი მომავალი კარიერისთვის ეს დიდი ტრამპლინი იქნება", - გვითხრა დარასელიამ.

შარშან მან მწვრთნელის პროლიცენზია მიიღო. სხვათა შორის, გამოცდები ისრაელშივე, ივრითზე ჩააბარა. გიორგი, რომელიც ისრაელში უკვე 12 წელია ცხოვრობს, იქაურ ენას კარგად ფლობს.

პროლიცენზიის მფლობელი სპეციალისტები კი იშვიათად სჯერდებიან მეორე მწვრთნელობას და საინტერესოა, როდის შეუდგება დარასელია რომელიმე გუნდის მთავარმწვრთნელობას: *"ვგრძნობ, რომ ამის დრო უკვე მოვიდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, ისრაელში ავტორიტეტი მაქვს, "მაქაბი"ზე შედარებით მოკრძალებული კლუბები მთავარ მწვრთნელობასაც მთავაზობენ. მოკლედ, ამ ეტაპზეც მალე გადავალ, მაგრამ ცოტა კიდევ უნდა მოვითმინო, რადგან ელიშას ვერ დავალატებ. სე ზონი ერთად უნდა ჩავამთავროთ და ჩემპიონები გავხდეთ, მერე ჩემპიონთა ლიგაზე მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ და ვნახოთ,... ყველაფერი წინ მაქვს და ზუსტად ვიცი, რომ უკვე დავაგროვე იმდენი ცოდნა და გამოცდილება, გუნდს დამოუკიდებლად გავუძღვე"*.

დარასელია ჰაიფადან 80 კილომეტრით დაშორებულ პატარა და წყნარ კიყარ სავაში ცხოვრობს, მაგრამ ისრაელის კეთილმოწყობილი გზით ჰაიფაში ჩასასვლელად ორმოციოდე წუთი ჰყოფნის. "მაქაბის" ვარჯიშებს უმეტესად თავად უძღვება და დიდი მოცულობის "შავ სამუშაოს" ასრულებს – ანარმოებს ფეხბურთელთა ამომნურავ სტატისტიკას, მოიპოვებს მეტოქეთა ვიდეოჩანაწერებს, სისტემატურად ესწრება სამწვრთნელო სემინარებს და გუნდში ახალ-ახალ სავარჯიშოებს ნერგავს.

თემურ ქეცბაია (მარცხნივ) და გიორგი დარასელია

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

აუცილებლად უნდა ვახსენოთ "მაქაბის" ბაზა, რომელიც სადად გამოიყურება, მაგრამ, რაც მთავარია, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დვალიშვილისა და მისი თანაგუნდელების განკარგულებაში უნაკლო გაზონებია. აი, კლუბის სტადიონი კი მშვენიერი უნდა გამოვიდეს – ჰაიფას 35-ათასიანი არენა 2013 წელს დასრულდება და მიუნხენის "ალიანც არენას" მსგავსი იქნება.

საფეხბურთო ინფრასტრუქტურით მხოლოდ ჰაიფელები როდი ინონებენ თავს. თელ ავივსა და ჰაიფას შორის მდებარე ტრასაზე არაერთი სუპერთანამედროვე სტადიონი და ბაზა შევნიშნეთ, სხვათა შორის, ზოგიერთი ქვედალიგელ კლუბებს ეკუთვნით.

დარასელია ისრაელში მეუღლესა და ორ ვაჟთან ერთად ცხოვრობს. უფროსი, **გიორგი** 20 წლისაა და ფეხბურთის თამაშს რამდენიმე თვის წინ დაანება თავი. იგი უკვე ფიფას ლიცენზირებული აგენტია და ისრაელში აქტიურად საქმიანობს, მალე კი ქართულ სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებასაც აპირებს. უმცროსი, **ჯიჯი** 12 წლისაა და თელ ავივის "მაქაბის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობს.

● ზესტაფონი

მამალაძე დაბრუნდა, ორიც ლაზარეთშია

"ზესტაფონმა" სანაკრებო პაუზით ისარგებლა და ვარჯიშებთან ერთად ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. **გია გეგუჩაძის** გუნდი საკუთარ ბაზაზე ნყალტუბოს "სამგურალს" გაეჯიბრა და მეტოქე 7:0 გაანადგურა.

პირველ ტაიმში ნყალტუბოელები ზესტაფონელებს მაგრად დაუდგნენ და მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს – 28-ე ნუთზე ანგარიში **ჯაბა დვალმა** გახსნა. მეორე ტაიმში კი **რატი წინამძღვრიშვილმა** პოკერი, ხოლო **საბა ლომიამ** დუბლი შეასრულეს. თამაშს ორასამდე გულშემატკივარი დაესწრო.

"ზესტაფონმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **მამალაძე (74. მეშველიანი), ელიავა (46. გაგოშიძე), გონიანი (46. თ. გრიგალაშვილი), გრუიცა, ფოფხაძე, ძარია (46. სარდალიშვილი), გორგიაშვილი, შ. გრიგალაშვილი (46. ჭანკოტაძე), ბაბუნაშვილი, დვალი (46. ს. ლომია), წინამძღვრიშვილი.**

როგორც ხედავთ, გუნდს დაუბრუნდა მეკარე **ზურაბ მამალაძე**, რომელიც ესპანურ შეკრებაზე დაშავდა და იყო საფრთხე, რომ სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებდა. სამაგიეროდ, დაახლოებით თვენახევარს ვეღარ ითამაშებენ **ზურაბ მენთეშაშვილი** და **გოგი ფიფია**, რომლებმაც საზარდულის ოპერაცია გაიკეთეს. შეგახსენებთ, "ზესტაფონის" ახალწვეულ მენთეშაშვილს სატრანსფერო ფურცლის ჩამოუსვლელობის გამო საქართველოს ჩემპიონატსა და თასზე თამაშის უფლება ისედაც არ ჰქონდა.

ალექსი ბენაშვილს მიკროტრავმა აწუხებს და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება, მაგრამ მისი დღევანდელ მატჩში თამაში გამორიცხული მაინც არ არის.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

საქართველოს ჩემპიონატი

XXVII ტურის წინასიტყვა

საინტრიგო აპრილი

პროგნოზი გიგა ლიტოლოვა

სანაკრებო მატჩების გამო საქართველოს ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზა იყო გამოცხადებული და აი, დღეიდან სეზონის ბოლომდე, თითქმის ყოველ ტურში საინტერესო მატჩებს უნდა ველოდოთ. მით უფრო, რომ ჩემპიონატის ბოლოსწინა თვემ სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ უნდა გაარკვიოს. ოლონდ, აპრილის თვეში ჩვენს ფეხბურთელებს განსაკუთრებული ფიზიკური მზადყოფნა მოეთხოვებათ — 30 დღის განმავლობაში ხომ ხუთი ტურია დაგეგმილი. თუმცა, რამდენიმე გუნდს სხვადასხვა მიზეზის გამო ხუთზე მეტი მატჩის ჩატარება მოუწევს: „ტორპედოს", „ზესტაფონსა" და „ბაიას" ექვს-ექვსი, ხოლო „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" — შვიდ-შვიდი. „სხვადასხვა მიზეზში" კი გადადებული თამაშები და სათასო პაექრობები იგულისხმება და, აქედან გამომდინარე, მართლაც საინტერესოა, თუ როგორ შეძლებენ ზემოთდასახელებული გუნდების ფეხბურთელები 30 დღის განმავლობაში ექვსი ან შვიდი მატჩის ჩატარებას. მოკლედ, მოვლენებით დახუნძლული და ფრიად საინტერესო მატჩების სიმრავლით გამორჩეული აპრილი გველოდება, — ყველა ტურში, სულ მცირე, ერთი განსაკუთრებული (აი, ცენტრალურ შეხვედრას რომ ვუწოდებთ) დაპირისპირებითა და, რაღა თქმა უნდა, უდიდესი სატურნირო ინტრიგითაც...

		სულ							შინ							სტუმრად						
ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ						გატ	გაშვ	
1	ზესტაფონი	26	17	4	5	51	14	55	13	10	2	1	32	3	32	13	7	2	4	19	11	23
2	ოლიმპი	26	16	6	4	40	19	54	15	13	2	0	27	4	41	11	3	4	4	13	15	13
3	დინამო	24	13	7	4	35	12	46	12	8	4	0	25	6	28	12	5	3	4	10	6	18
4	ვიტ ჯორჯია	25	12	2	11	28	29	38	12	7	1	4	18	14	22	13	5	1	7	10	15	16
5	ბაია	25	10	5	10	25	31	35	14	9	3	2	18	10	30	11	1	2	8	7	21	5
6	ტორპედო	26	8	9	9	17	17	33	11	5	5	1	8	3	20	15	3	4	8	9	14	13
7	სიონი	26	6	8	12	16	33	26	12	5	3	4	11	11	18	14	1	5	8	5	22	8
8	სპარტაკი	26	6	6	14	26	32	24	14	5	4	5	23	15	19	12	1	2	9	3	17	5
9	კოლხეთი	26	6	6	14	16	37	24	13	6	2	5	13	12	20	13	0	4	9	3	25	4
10	სამტრედია	26	5	5	16	20	50	20	12	5	3	4	11	10	18	14	0	2	12	9	40	2

ვიტ ჯორჯია–ზესტაფონი

Bwin: 4.75 3.60 1.60

2.04. თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი **16:00**

პრეზიდენტი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, ი. უკლება; მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

ნიკოლოზ გელაშვილი

სხვა გუნდებისგან განსხვავებით ამ წყვილის მეტოქეებს ერთდროულად ორ ფრონტზე" უწევთ ასპარეზობა და იმის გარდა, რომ „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" თასის ნახევარფინალშიც არიან გასული, ჩემპიონატშიც საკმაოზე მეტი მოტივაცია აქვთ შემორჩენილი. მასპინძლები მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებიან მეორე ეტაპზე და ნამდვილად არავისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ის ფაქტი, როცა მარტის თვის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად „ვეტერინართა" თავკაცი **მერაბ კოჭლაშვილი** მივიჩნიეთ. ჩემპიონატის ლიდერთან მატჩს „ვიტ ჯორჯია" ჩინებულ განწყობაზე ხვდება: ზედიზედ ხუთი გამარჯვება პატარა საქმე ნამდვილად არ არის. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასპინძლები ყველაფერს იღონებენ ამ წარმატებული სერიის გასაგრძელებლად; თანაც მიმდინარე სეზონის უსიამოვნო ტრადიციის დარღვევასაც შეეცდებიან: დღევანდელი მეტოქეების წინა ორი დაპირისპირება ხომ „ზესტაფონის" გამარჯვებით დასრულდა. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ ამ ორ შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქის კარში ვერც ერთხელ შეძლო გოლის გატანა. ამასთან, მასპინძლები **ნიკოლოზ გელაშვილსაც** უნდა უფრთხოდნენ — საქართველოს ნაკრებში გამოძახებულმა ფორვარდმა ამ ჩემპიონატში უკვე ოთხჯერ შეძლო ყოფილი თანაკლუბელების დამნუხრება. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი, რაღა თქმა უნდა, პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩი იყო, როცა გელაშვილის „ჰეთ-თრიქმა" იმ შეხვედრის საბოლოო შედეგიც (3:0) განაპირობა. ეგ კი არა, იმ გამარჯვებით „ზესტაფონი" ზამთრის ჩემპიონის არაოფიციალურ ტიტულსაც დაეუფლა და მართალია, ამ ბოლო დროს კონკურენტები მოუახლოვდნენ, სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის სტატუსი კვლავაც **გია გეგუჩაძის** გუნდს უნდა მივანიჭოთ.

ტორპედო–დინამო

Bwin: 3.10 2.85 2.30

2.04. ქუთაისი. ტორპედო **18:00**

პრეზიდენტი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე; მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

და აი, ტურის მშვენებაც: საქართველოს ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დაპირისპირებაზე მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას გავლენა არასდროს მოუხდენია და გამონაკლისი არც დღევანდელი მატჩი იქნება. მთავარი ის არის, რომ სამწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში კვლავაც აღდგა „ტორპედოსა" და „დინამოს" პაექრობები; არადა, რამდენჯერ მომხდარა, როცა სწორედ ამ ორი გუნდის დაპირისპირებაში ირკვეოდა საქართველოს ჩემპიონის ვინაობა და საერთოდაც, „ტორპედოსა" და „დინამოს" თითქმის ყველა მატჩი უაღრესად საინტერესოდ და უშეღავათოდ მიმდინარეობდა. უმაღლეს ლიგაში სამწლიანი პაუზის მერე დაბრუნებულ „ტორპედოს" თავის დღევანდელი მეტოქისგან განსხვავებული მიზნები კი აქვს ამ სეზონში, მაგრამ „დინამოსთან" შეხვედრის წინ ქუთაისური გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებსა თუ ქომაგებს დამატებითი მოტივაციია ნამდვილად არ სჭირდებათ. ჰო, ქომაგები შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ სეზონში „ტორპედოსა" და „დინამოს" პირველი წრის შეხვედრას ქუთაისში 10000-მდე გულშემატკივარი დაესწრო! ის მატჩი ფრედ დასრულდა: მასპინძელთაგან გოლი **თენგიზ ჩიკვილაძემ** გაიტანა, სტუმართაგან კი — **დონალდ ჯუისმა**. აი, რაც შეეხება მეორე წრის მატჩს, ამ შემთხვევაში ყველაფერი **დავით მუჯირის** საშემსრულებლო ოსტატობამ გადაწყვიტა.

...„ტორპედოსა" და „დინამოს" მატჩის წინ რაიმე პროგნოზის გაკეთებისგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ. ერთი შეხედვით, „ტორპედოს" ჩემპიონატში განსაკუთრებული მოტივაცია აღარ უნდა ჰქონდეს, აი, „დინამო" კი, ვიდრე თუნდაც თეორიული შანსი ექნება, ყველა შემთხვევაში საჩემპიონო რბოლის ერთ-ერთ აქტიურ „ნევრად" უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ **კახა კაჭარავას** გუნდმა ზედიზედ სამი გამარჯვებით ჩემპიონატის დანარჩენ ორ ფავორიტთან სხვაობაც შეამცირა და, რაც მთავარია, ორი მატჩით ნაკლებიც აქვს ჩატარებული...

2010 წლის 11 დეკემბერი. დინამო-ტორპედო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სიონი–ოლიმპი

Bwin: 4.25 3.00 1.85

2.04. ბოლნისი. თ. სტეფანია **16:00**

პრეზიდენტი: თ. გვანცელაძე; ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, მ. ელიკაშვილი; მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

ქვემოქართლური „დერბი" რომ უდიდეს ინტერესს გამოინვევს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; მით უფრო, თუ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას გავითვალისწინებთ: მასპინძლები ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფებიან და უშუალო კონკურენტებთან ზედიზედ სამი პაექრობის წინ ქვეყნის ჩემპიონთან მატჩი სერიოზული გამოცდაც უნდა იყოს. თანაც, გარკვეული პაუზის შემდეგ „სიონში" კვლავ დაბრუნებული **ხვიჩა ქასრაშვილი**, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს, რომ, სულ მცირე, წინა ტურში ნაჩვენები შედეგი გაიმეოროს. შეგახსენებთ, რომ ვიდრე ჩემპიონატში სანაკრებო პაუზა გამოცხადდებოდა, „სიონმა" ცხრილის ერთპიროვნულ ლიდერთან „ზესტაფონთან" სტუმრად ფრედ ითამაშა. თუმცა, ქულები „ოლიმპსაც" რომ სჭირდება, ფაქტია - **თორნიკე მაისურაძის** გუნდი ფეხდაფეხ მიჰყვება თავის უშუალო კონკურენტს „ზესტაფონს" და საერთოდაც, რუსთაველები ნამდვილად არ იტყვიან უარს ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტრიუმფზე. ამისათვის კი, დებიუტანტი მწვრთნელის გუნდს აპრილში სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება — ქვემოქართლური „დერბის" შემდეგ „ოლიმპი" ერთიმეორეზე ძლიერ ოთხ გუნდს უნდა შეხვდეს.

დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, „ოლიმპი" აშკარა უპირატესობას ფლობს; თუმცა, ამ სეზონში ერთი განსაკუთრებული ფაქტი უკვე მოხდა: I წრის შეხვედრაში (როცა „სიონს" ახალგაზრდა მწვრთნელი **გიორგი ყიფიანი** თავკაცობდა), „სიონმა" ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველად შეძლო საშინაო მატჩში „ოლიმპის" დამარცხება. სამაგიეროდ, მეორე წრის შეხვედრაში რუსთაველებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს და 11 დეკემბრის ეს მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე თორნიკე მაისურაძემ პირველი მატჩი ჩაატარა...

და კიდევ ერთი სიახლე ამ წყვილთან დაკავშირებით: „სიონმა" გუშინ კიდევ ერთი მეკარე, **ვლადიმერ ზუხბაია** დაიმატა.

ვლადიმერ ზუხბაია

კოლხეთი–სპარტაკი

Bwin: 1.75 3.20 4.40

2.04. ფოთი. ფაზისი **16:00**

პრეზიდენტი: დ. ხარიტონაშვილი; ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, კ. გაბრიაძე; მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

აი, ამ ტურის ერთ-ერთი საინტერესო წყვილიც: გასავარდნ ზონაში მყოფ დღევანდელ მეტოქეებს ერთნაირი რაოდენობის ქულები აქვთ მოგროვილი, მოგებებიც ერთნაირი აქვთ და „სპარტაკი" მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით უსწრებს „კოლხეთს". ეს „დამატებითი მაჩვენებელი" კი ურთიერთშეხვედრებია (პირველი წრის მატჩი ფოთელებმა 1:0 მოიგეს, მეორე წრის შეხვედრაში „სპარტაკმა" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:0); ანუ, იმის დიდი ალბათობაც არსებობს, რომ სეზონის ბოლოსთვის ამ ორ გუნდს შორის „ურთიერთობის გარკვევას" სწორედ ურთიერთშეხვედრები დასჭირდეს.

გუშინაც გაცნობეთ, რომ დღევანდელი მეტოქეები ამ შეხვედრას გარკვეული სიახლეებით ხვდებიან: მასპინძლებმა **ზამირ ჯანაშია** და **პავლე დათუნაიშვილი** დაიმატეს, ხოლო სტუმრებმა გამოცდილი ფორვარდი **ლაშა ჯაკობია**. თუმცა, „კოლხეთს" დანაკლისიც სერიოზული აქვს: შემტევი ნახევარმცველი **დათა სიჭინავა** ამ გუნდის წამყვან ფეხბურთელად მიიჩნევა, მაგრამ დღევანდელ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. მშობლიურ გუნდში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებული **სოსო ფილია** ამ სეზონში მესამედ გაუძღვება „კოლხეთს" და უმაღლესი ლიგის მწვრთნელებს შორის ყველაზე გამოცდილი სპეციალისტი პირველი გამარჯვების მოლოდინშია. ანალოგიური განწყობით მიემგზავრება ფოთში სტუმართა მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელიაც**, მით უფრო, რომ ბოლო ოთხ ტურში „სპარტაკმა" მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო. სხვათა შორის, ბადრი კვარაცხელიამ „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სადებიუტო მატჩი სწორედ ფოთში ჩაატარა. ოლონდ, იმ დროისათვის (3 ოქტომბრისთვის) „კოლხეთი" თავის დღევანდელ მეტოქეს... ცხრა ქულით უსწრებდა!

სამტრედია–ბაია

Bwin: 2.60 2.95 2.60

2.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე **16:00**

პრეზიდენტი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: ლ. თოდრია, ზ. ფიფია; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

მეორე ეტაპის დაწყებიდან ცხრა ტურია გასული და ყველაზე უარესი შედეგი „სამტრედიას" აქვს: **ლევან ანჯაფარიძის** გუნდმა მხოლოდ ერთადერთი ქულა მოაგროვა თუმცა, რა უნდა მოვთხოვოთ გუნდს, სადაც პირველი ეტაპის შემდეგ შემადგენლობაც, ფაქტობრივად, ძირფესვიანად შეიცვალა და, რაც მთავარია, სადაც მთელი სეზონის განმავლობაში ფინანსური პრობლემებია. შემადგენლობის გადახალისებაც შემთხვევით არ გვიხსენებია: პირველი წრის მატჩში **გელა სანაიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სამტრედიამ" ძლიერ მეტოქეს 3:1 რომ მოუგო, მონინააღმდეგის კარში გატანილი სამივე გოლის ავტორი დღესდღეობით... სხვა გუნდებში აგრძელებენ თავიანთ კარიერას — **ლევან ბაკურაძე, პაატა ბაკარანძე, დავით კირკიტაძე;** კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — მეორე წრის შეხვედრაც ანალოგიური ანგარიშით დამთავრდა და ამჯერად უკვე „ბაიამ" გაიმარჯვა („დუბლი" **ირაკლი ეხვაიამ** შეასრულა, ერთი გოლიც **ირაკლი მალიჩავამ** გაიტანა, ხოლო „სამტრედიის" შემადგენლობაში თავი **ლევან ქებაძემ** გამოიჩინა, დღესდღეობით ასევე სხვა გუნდის ღირსებას რომ იცავს). ისე, ამ სეზონში „ბაია" სტუმრადაც ისეთივე წარმატებულად რომ ასპარეზობდეს, როგორც საკუთარ მოედანზე, **ელგუჯა ქომეთიანის** მეტად საინტერესო გუნდს აშკარად უფრო მაღალი ადგილებისთვისაც შეეძლო ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტურის წინ

ისე რა ჭური

დღეს, 15:45

ვესტ ჰემი VS მანჩესტერ იუნ.

დისკვალიფიკაცია: პოგბა, ბრეიდი, ბლეკეტი, სქოულზი, ევანსი (მან)
ტრავმა: კინი, ედგარი, სტანისლასი, დაიერი, კოლისონი, კურუჩი - პარკი, ანდერსონი, ჰარგრივზი, ვალენსია, ფერდინანდი, რაფაელი, ო'ში

დღეს, 18:00

ბირმინგემი VS ბოლტონი

ტრავმა: პლები, მაკფადენი, დანი - ო'ბრეინი, სემუელი, გარდნერი, დევისი

დღეს, 18:00

ევერტონი VS ასტონ ვილა

დისკვალიფიკაცია: კ. კლარკი, დივაინი (ასტ)
ტრავმა: ბარკლი, ფელაინი, კეჰილი - კეუღარი, დანი

დღეს, 18:00

ნიუკასლი VS ვულვზი

დისკვალიფიკაცია: ტეილორი, ტიოტე - დოჰერტი, სპრეი
ტრავმა: გათრი, სმიტი, აირლენდი, გოსლინგი, ბენ არფა - ედუარდსი, მოუიოკოლო, ზუბარი, ჰანტი, დევისი

დღეს, 18:00

სტოკი VS ჩელსი

დისკვალიფიკაცია: პაპოუ, ტორე (ჩელ)
ტრავმა: კარეუ, ფაიე, სიდიბე - ალექსი

დღეს, 18:00

ვესტ ბრომვიჩი VS ლივერპული

დისკვალიფიკაცია: სამა, კოადი (ლივ)
ტრავმა: დორანსი, იბანესი - კელი, შელვი

დღეს, 18:00

უიგანი VS ტოტენჰემი

ტრავმა: ბოისი - ვან დერ ვაარტი, კრანჩარი, ვუდგეიტი, კინგი, ჰადლსტოუნი, ქაბული

დღეს, 20:30

არსენალი VS ბლექბერნი

დისკვალიფიკაცია: ჟივე, გულონი
ტრავმა: ფაბრეგასი, სონგი, ვერმაელენი, ფლიმპონგი, ფაბიანსკი, შჩესნი - ნილსენი, დანი, ფ. ჯონსი

ხვალ, 16:30

ფულჰემი VS ბლექპული

დისკვალიფიკაცია: დი ჯეი კემპბელი (ბლექპ)
ტრავმა: კამარა, სიდუელი, სენდეროსი - ტეილორ-ფლეტჩერი, გრენდინი, რაჩუბკა, ადამი, ბეშემი, გილესი, ბ. კლარკი

ხვალ, 19:00

მანჩესტერ სიტი VS სანდერლენდი

ტრავმა: ბოატენგი, რიჩარდსი, გივენი, ა. ჯონსონი - კატერმოული, მეილერი, ტერნერი, ზენდენი

ალბათ, აღარც კი გახსოვთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ვესტ ჰემთან" ამ სეზონში ერთხელ უკვე წააგო, თან 4:0 და ახლა, როდესაც პრემიერლიგაში დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხსენებული 4:0 ჩემპიონატში არ მომხდარა, „ქარლინგის" თასზე იყო, თუმცა... რაც გნებავთ, ის თქვით და „ვესტ ჰემი" მაინც „ვესტ ჰემი" იყო და „იუნაიტედი" - „იუნაიტედი". რაც შეეხება პრემიერლიგის პირველ შეხვედრას, ის „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერელთა გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

დღეს, „აპტონ პარკზე", „იუნაიტედის" თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს** ყველაზე მეტი პრობლემა დაცვაში ექნება. მცველთაგან დაშავებულები არიან **რიო ფერდინანდი, ჯონ ო'ში, რაფაელი** და **ჯონ ევანსი**, თუმცა სანაკრებო პაუზის წყალობით სერბმა **ნემანია ვიდიჩმა** გამოჯანმრთელება მოასწრო და ეს სტუმრებისთვის დიდი პლუსია. ფერგიუსონმა, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს შანსი შეეჯიბროს 12 წლის წინანდელ საკუთარ თავს, როდესაც გუნდს ეგრეთ წოდებული ტრებლი - პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ფეხბურთის ასოციაციის თასი და ჩემპიონთა ლიგა — მოაგებინა, თქვა, რომ ამდენი ტრავმების გადამკიდე, იმ შედეგის განმეორება ძალიან გაძნელდება:

„ბოლოს ცუდი პერიოდი გვქონდა. ასეთი ტრავმებით 1999 წლის შედეგის გამეორება ძალიან ძნელი იქნება. მაშინ დაშავებულები არ გვყავდა. რასაკვირველია, სურვილი ახლაც ძალიან დიდი გვაქვს, მაგრამ მცველები თუ არ გამოჯანმრთელდნენ, რთულ დღეში აღმოვჩნდებით".

ჩახედეთ ცხრილს, „იუნაიტედი" 63 ქულით პირველ ადგილზეა და „არსენალს" ხუთით უსწრებს, მაგრამ ჩრდილოლონდონელებს თამაშით ნაკლები აქვთ. გარდა ამისა, მანჩესტერელებს სეზონის დასრულებამდე ორი განსაკუთრებით რთული თამაშიც ელით, სტუმრად უკვე ნახსენებ „არსენალთან" და შინ „ჩელსისთან", რომელიც მესამე ადგილზეა და ამწუთას ლიდერს 9 ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, „ლურჯებსაც" თამაშით ნაკლები აქვთ. ერთი სიტყვით, პრემიერლიგაში ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. „იუნაიტედი", რომელსაც მიმდინარე სეზონში სტუმრად მხოლოდ ოთხი თამაში აქვს მოგებული, 31-ე ტურს ხსნის — „აპტონ პარკზე" თამაში საქართველოს დროით 15 საათსა და 45 წუთზე დაინყება. მანჩესტერელები, რასაკვირველია, იმედოვნებენ, რომ ისე როგორც შარშან, ლონდონში, „ვესტ ჰემთან" ნლეულსაც 4:0-ს მოიგებენ — როგორც ხედავთ, ეს გუნდები ერთმანეთში მხოლოდ უხვგოლიან ფეხბურთს თამაშობენ.

„მანჩესტერ იუნაიტედზე" ბევრი ვილაპარაკეთ და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ რა დღეშია „ვესტ ჰემი"? ფორმალურად, „ჩაქუჩები" გასავარდნთა ზონაზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან, მაგრამ თუ დავაკვირდებით, მათი უპირატესობა მხოლოდ გატანილგაშვებულთა სხვაობაშია. ერთი სიტყვით, **ავრამ გრანტის** შეგირდებს თვით „იუნაიტედთან" მართებთ ყოჩაღობა, მაგრამ ფსიქოლოგიური მომზადებისთვის მათ შეუძლიათ გაიხსენონ, რომ თავიანთ მოედანზე პრემიერლიგის ბოლო სამი თამაში მოგებული აქვთ, მათგან ერთი „ლივერპულთან".

„არსენალს" „ბლექბერნ როვერსთან" საშინაო შეხვედრა დღესვე, საქართველოს დროით საღამოს ცხრის ნახევარზე ეწყება. ცნობისთვის: „მეთოფეებმა" „როვერსი" „ემირეიტ სთედიუმზე" ბოლო შვიდ შეხვედრაში დაამარცხეს და ამ თამაშებში 25 გოლი გაუტანეს მეტოქეს. ჩრდილოლონდონელთა თავკაცი **არსენ ვენგერი** იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელი ფორვარდის, **რობინ ვან პერსის** ტრავმა, რომელიც მან ნაკრებში თამაშის დროს მიიღო, მსუბუქია, თუმცა, სავარაუდოდ, მაინც არ გარისკავს და ვან პერსის „ბლექბერნთან" მაინც არ ათამაშებს. ვენგერს ძალიან ცუდი გამოცდილება აქვს — შარშან ამ ფორვარდმა სწორედ სანაკრებო შეხვედრაში მიიღო ტრავმა, რომელმაც ნახევარი სეზონი გააცდენინა.

„არსენალმა" პრემიერლიგაში ბოლო ორი შეხვედრა „სანდერლენდსა" და „ვესტ ბრომვიჩთან" ფრედ ითამაშა. აქვე შეგახსენებთ, რომ გუნდს ორივე ინგლისურ თასსა და პრემიერლიგაში მოეცარა ხელი. ვენგერმა თქვა:

„ეჭვი არ მეპარება, რომ სეზონის ბოლოს გარჯა დაგვიფასდება, ამიტომ, ყველაფერს სჯობს, მთელი ყურადღება პრემიერლიგაში ჩვენს დაუმარცხებელ სვლაზე გადავიტანოთ და შევეცადოთ შემდეგ თამაში მოვიგოთ".

„ჩელსის," წესითა და რიგით, იოლი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — „სტოკ სიტის" უნდა მოუგოს. „ლურჯების" რიგებში სიახლეა, სათადარიგოთა სკამზე ბრუნდება **იოსი ბენაიუნი**, რომელმაც სამშაბათს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. ბენაიუნს სექტემბრის შემდეგ არ დაუდგამს მოედანზე ფეხი — სექტემბერში მას აქილევსის მყესი გაუწყდა.

„მანჩესტერ სიტი" ორშაბათს „სანდერლენდს" მასპინძლობს და თუ უნდა მეოთხე ადგილზე „ტოტენჰემი" არ გაუშვას, უნდა მოუგოს. „ტოტენჰემი" კი დღეს უიგანშია, ოღონდ სანახევროდ სამშაბათსა და „რეალთან" შეხვედრაზე ფიქრობს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	30	18	9	3	64-30	63
2. არსენალი	29	17	7	5	59-29	58
3. ჩელსი	29	15	6	7	53-24	54
4. სიტი	30	15	8	7	45-27	53
5. ტოტენჰემი	29	13	10	6	41-34	49
6. ლივერპული	30	13	6	11	41-36	45
7. ბოლტონი	30	10	10	10	42-41	40
8. ევერტონი	30	9	13	8	40-39	40
9. სანდერლენ.	30	9	11	10	33-37	38
10. სტოკი	30	11	4	15	36-38	37
11. ნიუკასლი	30	9	9	12	44-45	36
12. ფულჰემი	30	7	14	9	33-33	35
13. ბლეიბერნი	30	9	6	15	39-51	33
14. ასტონ ვილა	30	8	9	13	37-51	33
15. ბლეიკული	30	9	6	15	45-60	33
16. ვესტ ბრომ.	30	8	9	13	41-56	33
17. ვესტ ჰემი	30	7	11	12	36-49	32
18. ვულვზი	30	9	5	16	35-49	32
19. ბირმინგემი	29	6	13	10	28-41	31
20. უიგანი	30	6	12	12	29-51	30

ბომბარდირები: 20 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ბენტი (ასტონ ვილა), ნოლანი (ნიუკასლი), ვან პერსი (არსენალი), ქეროლი (ნიუკასლი); 10 - დემბელი (ფულჰემი), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი);

ფეხბურთი და წესრიგი



ფერგიუსონი მსაჯების უფროსი გახდა

ალექს ფერგიუსონი ინგლისის მსაჯთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტობას დათანხმდა. ამ გადაწყვეტილებამ ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოება შოკში ჩააგდო, თუმცა მხარეებმა ის გაუთავებელი კონფლიქტის დასასრულებლად მიიღეს.

ამიერიდან ფერგიუსონი, როგორც პრეზიდენტი, მოვალე იქნება მსაჯებისა და თანამსაჯების ელჩობა იკისროს და თამაშების შემდეგ მათი კრიტიკისგან თავადაც შეიკავოს თავი. ამაზე ბევრს ეცინება, ამბობენ, რას-რას და, მსაჯების კრიტიკას შოტლანდიელი ვერასდროს მოიშლისო. შეგახსენებთ, რომ სერ ალექსი ახლაც დასჯილია — ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი და ხელფასიც 30 ათასი ფუნტით დაექვითა. მიზეზი: ფერგიმ „ჩელსისთან" თამაშის შემდეგ არბიტრ **მარტინ ატკინსონზე** თქვა მწარე სიტყვები. თუმცა, მსაჯთა ასოციაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა გაზეთ „სანთან" ინტერვიუში თქვა:

„მიუხედავად იმისა, რომ მსაჯები ხანდახან ცდებიან, სერ ალექსი თანახმაა, საქმეს ხელი მოჰკიდოს. ეს ორივე მხარისთვის ოპტიმალური გამოსავალი იყო. ჩვენ ფერგიუსონს ველაპარაკეთ და დავინახეთ, რომ ის მზად არის თავისი დამოკიდებულება შეცვალოს. დარწმუნებულები ვართ, რომ მისი დანიშვნა სწორი მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია.

სერ ალექსმა გვითხრა, რომ სადისციპლინო გარჩევებზე ლონდონში ჩამოსვლამ დაღალა, ხოლო ფული, რომელსაც ჯარიმების სახით ახდევინებენ, უჯობს, ღვინოში დახარჯოს".

საინტერესოა, რომ ფერგიუსონმა უპირველეს ყოვლისა კოლეგებთან, კერძოდ კი „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერთან** ლაპარაკი დაგეგმა.

ამასობაში პრემიერლიგის ხელმძღვანელებმაც ამოიღეს ხმა და განაცხადეს, რომ მზად არიან ბოლო მოუღონ იმას, რაც ამ სეზონში ჭარბად ხდება — არბიტრებთან დაუსრულებელ კამათსა და დავაზეა ლაპარაკი. პროექტი ასეთია: ყვითელი ან სულაც წითელი ბარათით უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც არბიტრს შეურაცხყოფს, მასზე რამენაირად ზემოქმედებს და სთხოვს მონინააღმდეგე გააფრთხილოს. ეს ყველაფერი ლონდონში გადაწყდა. დიდ თავყრილობას პრემიერლიგის ოცივე კლუბის აღმასრულებელი დირექტორები ესწრებოდნენ და რამდენადაც ცნობილი გახდა, მათ ახალ ინიციატივას მხარი დაუჭირეს, თუმცა შეთანხმდნენ, რომ ეს ყველაფერი პრაქტიკაში მომავალი სეზონიდან დაინერგება. გაზეთმა „დეილი მეილმა" კი ინიციატივა გამოიჩინა და გადაწყვიტა ამთავითვე დაიწყოს ურჩი მოჭიჭყინეების გამოვლენა.

პრემიერლიგის აღმასრულებელმა შეფმა **რიჩარდ სკუდემორმა** თქვა:

„ამ სეზონში იყო თამაშები, როდესაც ვნებათაღელვამ ზღვარს გადააჭარბა. ამიტომაც საჭიროა რეაგირება და ჩვენი კრების წევრები შეთანხმდნენ, რომ მომავალი სეზონიდან სადისციპლინო თამასას მაღლა ანევა სჭირდება. ჩვენ კონკრეტული ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საქციელზე არ გვილაპარაკია. ისედაც გასაგებია, რომ რამდენიმე ძალიან ცუდი მაგალითის მომსწრენი გავხდით. ჩვენ ზოგადად ვიმსჯელეთ და მივედით დასკვნამდე, რომ საჭიროა მატჩის მსვლელობის დროს აღიკვეთოს მსაჯთა შეურაცხყოფა, მათ გარშემო შემოჯარვა და მათთვის მონინააღმდეგის გაფრთხილების მოთხოვნა, ხოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ ისეთი კრიტიკა, რომელიც არბიტრების პატიოსნებას დააყენებს ეჭვქვეშ.

ამასთან, გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენ გულუბრყვილონი არ ვართ და არ ვცდილობთ ფეხბურთის მატჩების დროს სალაპარაკო ენის სტილი ზაციას. თამაშს ემოცია სდევს და ასეთ დროს ზოგადად უხეში გამოთქმებისგან თავს ყველა ვერ შეიკავებს. არც კრიტიკის აკრძალვას ვითხოვთ. როდესაც მსაჯი შეცდება, ამაზე ლაპარაკი ბუნებრივია, თუმცა ეს ყველაფერი ინციდენტებში არ უნდა გადაიზარდოს. ჩვენ კრიტიკის მისაღებ ჩარჩოებში უნდა ჩავეტიოთ, ოღონდ ერთია, დღეს, როდესაც პრემიერლიგის დასრულებამდე რვა ტურილა დარჩა, რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და რაიმეს შეცვლა გამორიცხულია. ამ გაზაფხულზე ხალხის დასჯას ვერ დავიწყებთ, ამიტომ მომავალ სეზონს უნდა დაველოდოთ".

გვერდი ამოავსო
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXIX ტურის წინ

დედაქალაქი სამეულისთვის იბრძვის

LIGUE 1

დღეს	
არლი-მონაკო	21:00
ლილი-კაენი	21:00
ნანსი-ბორდო	21:00
პსჟ-ლორიანი	21:00
რენი-ოსერი	21:00
სოშო-ბრესტი	21:00
ტულუზი-მონპელიე	23:00
ხვალ	
ნიცა-ლიონი	19:00
სენტ ეტიენი-ვალანსიენი	19:00
ლანსი-მარსელი	23:00

მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მეხუთე ადგილზე მყარად დამკვიდრებულ პსჟ-ს სეზონის ბოლომდე ერთადერთი ამბიცია აქვს, როგორმე მოახერხოს და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მაინც ჩაიგდოს ხელთ. ჩემპიონობა რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, ამას დედაქალაქელები უკვე რა ხანია მიხვდნენ. ამისთვის მათ "პარკ დე პრენსზე" "ლორიანის" დამარცხება მოუწევთ. **ანტუან კომბუარეს** გუნდს ჩემპიონატის ზედიზედ სამი შეხვედრა დაუგროვდა მოუგებელი, ამ პერიოდსვე დაემთხვა ევროპის ლიგიდან და საფრანგეთის თასის 1/4-ფინალიდან გამოვარდნაც. ერთი სიტყვით, პსჟ-ს ფეხბურთელებში არცთუ სასიამოვნო ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. ამ ყველაფერის გამოსასწორებლად დღეს მასპინძლებს უეჭველად გამარჯვება მართებთ. სწორედ ამას აცხადებდა ტრავმამოშუშებული მეკარე **გრეგორი კუპე**, რომ მის გუნდს სხვა არჩევანი უბრალოდ აღარ დარჩა, გარდა გამარჯვებისა. *"პსჟ-მ საშინელი მარტი გადაიტანა. ახლა კი დრო მოვიდა, რომ დარჩენილ მატჩებში სამ-სამი ქულა ავიღოთ, მით უფრო, როცა შინ ვთამაშობთ. თუკი გვინდა, რომ სამეულში მოვხვდეთ, ეს გეგმა უნდა შევასრულოთ. უპირველესად, ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსასწორებლად არის აუცილებელი. შეცდომის უფლება უკვე აღარ დაგვრჩა, რადგან ხუთთამაშიანი მოუგებელი სერია უკვე ნამეტანია, ამას წერტილი უნდა დავუსვათ. გრძელი დისტანციის მხოლოდ პატარა მონაკვეთი დაგვრჩა გასავლელი, დღეიდან ყოველი დარჩენილი შეხვედრა ფინალივით არის, დაძაბული და მნიშვნელოვანი. ყოველი დაპირისპირების წინ კონკრეტულ მატჩზე უნდა ვიფიქროთ,"* – დასძინა კუპემ.

რაც შეეხება "ლორიანს": ამ გუნდმა ბოლო 6-დან 4 შეხვედრა მოიგო და შესანიშნავი სერიის გაგრძელებაზე უარს არც ახლა იტყვის. თანაც, მათ შესანიშნავი მოგონებები აკავშირებთ "პარკ დე პრენსთან" – შარშან "ლორიანმა" ყველაზე ხმაურიანი გასვლითი მატჩი სწორედ ამ არენაზე მოიგო 3:0 (ვაირუა, გამეირო, ამალფიტანო). პსჟ-"ლორიანის" დაპირისპირებებში ტრადიციულად ძალიან ბევრი გოლი გადის, (საშუალოდ 4,2), რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათ მატჩებს.

კომბუარეს კოლექტივს ნახევარმცველი **კლემენ შანტომი,** თავდამსხმელები **პეგი ლუინდულა** და **ჟან-ედ მორისი** დააკლდებიან. ამ უკანასკნელს ნაკლებად საფეხბურთო პრობლემები აქვს, სიბრძნის კბილი ამოილო და ყბა გაუსივდა. **კრისტიან გურკუფის** გუნდი შემტევ ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ბოლო 4-დან 3 მატჩი მათ უგოლო ფრეებით დაასრულეს.

"ტულუზისა" და "მონპელიეს" მატჩს ის ინტრიგა აქვს, რომ ნაგებული გუნდი პრაქტიკულად თავს ანებებს ევროპის ლიგაზე მოხვედრის ოცნებას. თუკი ცხრილს თვალს გადაავლებთ, მიხვდებით, რომ მსგავსი სხვაობის აღმოფხვრას დარჩენილ ტურებში ეს გუნდები ნამდვილად ველარ შეძლებენ. "ტულუზს" ნამდვილად შეეძლო წინა ტურში გამარჯვება, მაგრამ პირველ ტაიმში თავდამსხმელმა **ფედერიკო სანტანდერმა** კარგი მომენტები ვერ გამოიყენა, საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე კი **მაურო ჩეტომ** საკუთარი კარი დალაშქრა. *"ძალიან გაბრაზებული ვარ, -* განაცხადა ნამატჩევს "მონპელიეს" თავკაცმა **ალან კაზანოვამ**, ვინც სწორედ ამ დღეებში გააფორმა კლუბთან ახალი ხელშეკრულება. – *გვქონდა რამდენიმე შანსი, რათა მეორე გოლი გაგვეტანა, მაგრამ... საშინელებაა, როცა თამაშს იგებ და 3 ქულას დამთავრებამდე წამებით ადრე უშვებ ხელიდან, მაგრამ ამაში ვერავის დავადანაშაულებ, ყველაფერი ჩვენვე გავაფუჭეთ. მრცხვენია ფანების, რადგან, რომ არა ბოლო წამები, ჩვენ ახლა მე-6 ადგილზე ვიქნებოდით და დარჩენილ მატჩებს მეტი ხალისით შევხვდებოდით. პირად ბრალს კი იმაში ვხედავ, რომ ჩემი გუნდი ისე სწრაფად არ იზრდება, მე რომ მინდა". "წარმოუდგენლად ბევრი შეცდომა დავუშვით, რომლის ერთადერთი გამართლება ჩვენი ახალგაზრდობაა, -* ამბობს საფრანგეთის ნაკრების წევრი **მუსა სისოკო**. – *ასეთი გაკვეთილები საჭიროა, რომ გავიზარდოთ, რათა მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდეს".*

"ნიცა"-"ლიონის" წყვილში საინტერესო ის არის, რომ ამ გუნდებს მარტში თამაში არ წაუგიათ (ლაპარაკი არ არის ევროპულ ტურნირებზე). სტუმართა წაუგებელი სერია, რა თქმა უნდა, უფრო დიდია, ის აგერ უკვე 22 მატჩს ითვლის. ასე რომ, ინტრიგა სახეზეა. "ლიონი" საჩემპიონო რბოლაშია ჩაბმული და ყოველი დაკარგული ქულა "ლილის" ბანაკში ზეიმის წინაპირობას უფრო საფუძვლიანს ხდის. „სტად დე ჟერლანის" მკვიდრებს ეს მშვენივრად ესმით. "ნიცას" კი თავისი პრობლემები აქვს, გასავარდნი ზონისგან მაქსიმალურად დაშორება სურს. მასპინძლებს მოგების შემთხვევაში შანსი აქვთ, რომ მე-11 ადგილზეც კი გადაინაცვლონ.

"ნიცას" მცირე ტრავმის შემდეგ მცველი **ფრანსუა კლერი** უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ საზარდულის ტრავმების შემდეგ ვარჯიში განაახლეს, საეჭვოა მინდორზე ვიხილოთ ნახევარმცველები **დიდიე დიგა** და **შაუკი ბენ საადი.** პოსტოპერაციული მკურნალობის კურსი არ დაუსრულებია **დავიდ ელებუიკს**. "ლიონის" თავკაც **კლოდ პიუელს** კი ტრავმები ნაკლებად აწუხებს. უკვე რა ხანია ცნობილი იყო, რომ ის **მიშელ ბასტოსს** ვერ დაიხმარებდა. სხვა დანაკლისი საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონებს არ აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ პიუელსა და კლუბის პრეზიდენტ **ჟან-მიშელ ოლას** შორის იდეალური ურთიერთობები არ არის, ამ უკანასკნელმა მიმდინარე კვირაში განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაში "რეალთან" 3:0 წაგების მიუხედავად, მწვრთნელის გუნდიდან გაშვების საფუძველს უბრალოდ ვერ ხედავს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლილი	28	15	10	3	49:27	55
2. მარსელი	28	14	9	5	41:24	51
3. რენი	28	14	8	6	32:21	50
4. ლიონი	28	13	10	5	47:26	49
5. პსჟ	28	12	9	7	42:30	45
6. სტ. ეტიენი	28	10	9	9	35:33	39
7. მონპელიე	28	10	9	9	24:30	39
8. ბორდო	28	9	11	8	37:34	38
9. ლორიანი	28	10	8	10	35:34	38
10. ტულუზი	28	11	4	13	29:30	37
11. სოშო	28	10	5	13	40:35	35
12. ბრესტი	28	9	8	11	28:32	35
13. კაენი	28	9	8	11	31:38	35
14. ნანსი	28	10	5	13	30:41	35
15. ნიცა	28	8	10	10	19:28	34
16. ვალანსიენი	28	7	12	9	33:31	33
17. ოსერი	28	6	14	8	32:34	32
18. მონაკო	28	5	14	9	26:29	29
19. ლანსი	28	6	10	12	28:42	28
20. არლი	28	1	9	18	16:55	12

ლევან ბიბილაშვილი

ლუდოვიკ ჟიული ბენფიკასთან მატჩში, ვეტერანს ისევ ევროპის ლიგის საგზურისთვის მოუწევს ბრძოლა

● პრიმერადივიზიონიდან გაქცეულები



დავიდ სილვას ნაკრებში „მანჩესტერ სიტიდან" იძახებენ

ესპანური ლეგიონი, უკვე ყველგან

ესპანეთის პრიმერადივიზიონი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ძლიერი ტურნირია, უეფას რეიტინგში ის მხოლოდ ინგლისურ პრემიერლიგას ჩამორჩება. თანაც, ესპანეთის ჩემპიონატი ტრადიციულად ძლიერია, ამიტომაც, როგორც წესი, იბერიელი ფეხბურთელები იშვიათად მიდიოდნენ საზღვარგარეთ სათამაშოდ. მაგრამ ნელ-ნელა ვითარება შეიცვალა და ახლა ესპანელებს სად აღარ ნახავთ. დიდი ხანია, რაც „ფურია როხაშიც" გამოჩნდნენ ლეგიონერები.

დავიწყოთ „ნისლიანი ალბიონით" ევროპის საუკეთესო ლიგაში ესპანური ლეგიონი რიცხვით მესამეა ირლანდიელების და ფრანგების შემდეგ - პრემიერლიგაში 22 ესპანელი ირიცხება! ამათგან ერთი კარგი ესპანური გუნდიც კი შეკოწინდებოდა, ისეთი, რომელიც „ბარსელონასა" და „რეალს" ჩემპიონობისთვის კონკურენციას გაუწევდა. აქვე დავაზუსტებთ, რომ ამ 22-დან ზოგიერთი იჯარის წესით სხვაგან თამაშობს - მაგალითისთვის, „ლივერპულის" 20 წლის ნიჭიერი ფორვარდი **დანი პარეხო** ჩემპიონშიპის „ნორვიჩ სიტიშია" განათხოვრებული. ასევე ლივერპულელი 20 წლის მცველი **დანიელ აიალა** კი იჯარით „დერბი ქაუნთიში" თამაშობს.

დავანებოთ თავი მომავლის ვარსკვლავებს, ინგლისში მეწინავე პოზიციებზე არიან: **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **დავიდ სილვა** (მანჩესტერ სიტი), **პეპე რეინა** (ლივერპული), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი), **მანუელ ალმუნია** (არსენალი), **მიკელ არტეტა** (ევერტონი), **კარლოს კუელიარი** (ასტონ ვილა) და სხვები.

იბერიულ ლეგიონზე მოთხოვნილება მხოლოდ დიდ კლუბებში არ არის. „უიგანი" ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ესპანელთა დახმარებით იბრძვის, ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა საყრდენი ნახევარმცველი **ხორდი გომესი**, ახლახან პრემიერლიგაში დებიუტი ჰქონდა მცველ **ადრიან ლოპესს** (იგივე **პისკუ**), რიგშია კიდევ ერთი ესპანელი ტალანტი, ტანმაღალი მცველი **რომან გოლობარტი**. ჯერ მხოლოდ თასის თამაშებში აჩვევენ „არსენალის" ხელმძღვანელები 193 სმ სიმაღლის მცველ **იგნასი მიგელს**. „ვესტ ბრომვიჩის" დაცვის ხაზის ლიდერი **პაბლო იბანიესია**, მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილი წევრი. ინგლისურ პრემიერლიგას ლამის მშობლიურად მიიჩნევს „ნიუკასლის" მარცხენა მცველი **ხოსე ენრიკე**, რომელიც 2007 წლიდან „კაქკაჭია", არადა, ჯერ 25 წლისაა. „ბოლტონში" თამაშობენ ბრაზილიური წარმოშობის ესპანელი ფორვარდი **როდრიგო** და **მარკოს ალონსო, ჩაბის** უმცროსი ძმა. „ბლექბერნში" ასრულებს კარიერას „რეალის" ყოფილი ვარსკლავი **მიჩელ სალგადო**. ამ კლუბმა ახლახან ერთი ახალგაზრდა ესპანელი მცველიც შეიძინა, **რუბენ როჩინას**, „ბარსელონას" სარეზერვო კლუბის ყოფილ წევრს პრემიერლიგაში დებიუტი მარტის დასაწყისში ჰქონდა. ტრავმის გამო თვეებია ვერ თამაშობს საყრდენი ნახევარმცველი **ვალეს პრატი** („ბირმინგემი").

ინგლისის რანგით მეორე ლიგაში, ჩემპიონშიპში 8 ესპანელი ირიცხება, აქედან ხუთი „სუონსიშია" (**ხორდი, ორლანდი, პინტადო, რანგელი და სერანი**). ამათგან, ხორდი მერაბ ჟორდანიას „ვიტესში" გადავიდა იჯარით.

ბუნდესლიგაში სულ სამი ესპანელია, სამივე „შალკეში" - აქედან ორი ნაღდი ვარსკვლავი **რაულ გონსალეს ბლანკო** და **ხოსე მანუელ ხურადო**, „ხუმარების" რიგებშია აგრეთვე მარცხენა მცველი **სერხიო ესკუდერო**. ამით ბუნდესლიგის ესპანური ლეგიონი ამოიწურება.

» მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანური ლეგიონი, უკვე ყველგან

« ... ფეი-ნ გვერდიდან

10 ესპანელი ირიცხება სერია A-ში. ისინი არ არიან აპენინებზე მთავარ როლებში, თუმცა არც სიტუაციას აფუჭებენ. „ნაპოლიმ" ამ ზამთარში „ესპანიოლიდან" მიიწვია მცველი **ვიქტორ რუისი** და არც ნანობს. „მილანმა" სამომავლოდ შეიგულა ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველი **დიდაკ ვილა**, რომელიც ალბათ ახალ სეზონში სასტარტოსთვის იბრძოლებს. 21 წლის დიდაკი ძალზე ნიჭიერია, მარცხენა ფრთაზე მას ესპანეთის ნაკრებში **კაპდევილას** შემცვლელად მოიაზრებენ. თავიანთ გუნდებში სათამაშო პრაქტიკას არ უჩივიან: **ხაიმე რომერო** (ვალენსია), **მანუ გავილანი** (ბოლონია), **ჩიკო** (ჯენოა), **ხავიერ გარიდო** (ლაციო). „პარმელები" **ფერნანდო მარკესი** და **ანტონიო კალვო** კი ტრავმების გამო ვერ თამაშობენ. სერია B-ს „პადოვაში" თამაშობს „სევილიას" ყოფილი მცველი **ხოსე ანხელ კრესპო**.

ლიგა 1-ის ჩემპიონის რიგებში თამაშობს **სესარ ასპილიკუეტა**, „ოსასუნას" ყოფილმა მარჯვენა მცველმა ნოემბერში მუხლი ისე დაიზიანა, ამ სეზონში თამაში აღარ მოუწევს. აუტსაიდერ „არლში" „რეალის" ორი ყოფილი ფეხბურთელი იყო, **ფრანსისკო პავონი** ახლაც ცდილობს ამ კლუბის ხსნას გავარდნისგან, ხოლო **ალვარო მეხია** იანვარში თურქულ „კონიასპორში" გადაბარგდა.

პორტუგალიურ ლიგა საგრეშიც მოიძებნებიან ესპანელი ლეგიონერები. ჩემპიონ „ბენფიკას" კარს მეკარე **რობერტო** იცავს, აქვეა ნახევარმცველი **ხავი გარსია**, ყოფილი რეალელი. ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობს 25 წლის ნახევარმცველი **ალბერტო საპატერი**, „აკადემიკაშია" ყოფილი სევილიელი **ენრიკე კარენო**.

უეფას კოეფიციენტით ამ ლიგების შემდეგ ევროპაში ყველაზე ძლიერი ახლახან დანყებული რუსული პრემიერლიგაა. გგონიათ, აქ მაინც არ იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ქვეყნის შვილები? ცდებით - „ვოლგაში" ქართველთა მხარდამხარ ირჯება „ბარსელონას", „ლიონისა" და „სელტიკის" ყოფილი ფეხბურთელი **მარკ კროსასი**, რომელიც სულ რაღაც 23 წლისაა. **სერხიო როდრიგესმა** „ერკულესი" მოსკოვის „სპარტაკზე" გაცვალა, ხოლო **სესარ ნავასი** უკვე „რუბინის" ძირძველი მცველია. ორი ესპანელია უკრაინულ პრემიერლიჰაშიც - სეგუნდადივიზიონის ლიდერი „რაიო ვალეკანო" „კარპატიზე" გაცვალეს **ლუკას პერესმა** და **ბორხა გომესმა**.

ჰოლანდიურ ერედივიზიეში 2008 წლიდან ამსტერდამის „აიაქსის" ღირსებას იცავს, 31 წლის მარჯვენა მცველი **ოლეგერი**, რომელიც, როცა ინვევდნენ, ესპანეთის ნაკრებში თამაშს ყოველთვის უარობდა (კატალონიელი ვარო), ფეიენოორდში" ირიცხება (მაგრამ იშვიათად თამაშობს) **დანი ფერნანდესი**, ასევე „ბარსას" აღზრდილი. **მერაბ ჟორდანიას** გუნდში არიან **ხორდი ლოპესი** და **მარტი რივეროლა**.

ერთ დროს „რეალის" კაშკაშა ვარსკვლავი თამაშობს თურქეთში - **გუტი** „ბეშიქთაშშია", ყოფილი მალიორკელი **ფერნანდო ვარელა** კი „კასიმფაშას" ღირსებას იცავს.

ესპანელ ლეგიონერთა სავანედ საბერძნეთი იქცა, ელადაში 21 იბერიელი თამაშობს! მარტო 6 ესპანელი „არისს"ჰყავს (**ხავიტო, ხუანმა, კოკე, ორიოლი, პორტილია, ტონი კალვო**), 4 „ოლიმპიაკოსს" (**რაულ ბრავო, ფუსტერი, მოისესი** და **რიერა**), „პანათინაიკოსში" არიან **ხოსუ სარიეგი** და **ლუის გარსია**. როგორც ხედავთ, საბერძნეთის ესპანური ლეგიონი არა მარტო მრავალფეროვანია, არამედ ხარისხიანიც - ჩამონათვალში ბევრი ცნობილი ფეხბურთელია.

ჩვენ ევროპის მონინავე 10 ჩემპიონატი ჩამოვთვალეთ. ესპანელი ლეგიონერები სხვაგანაც არიან, თუმცა ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაგალითად, 11 ესპანელი თამაშობს კვიპროსის უმაღლეს დივიზიონში, რომელთა შორისაა ყოფილი ბარსელონელი **ხოსე მანუელ რუედა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის წინ

ტური, რომელიც გაღარჩა

და კაცი, რომელმაც გაბედა

დღეს, 20:00
რეალი სპორტინგი VS
დისკვალიფიკაცია: ჩაბი ალონსო (რეალი)
ტრავმა: პედრო ლეონი, კაკა, გაგო, ბენზემა, იგუაინი (?), რონალდო, მარსელო - ტორე

დღეს, 22:00
ხეტაფე ვალენსია VS
დისკვალიფიკაცია: ბოატენგი - ხოაკინი
ტრავმა: უსტარი, მანე, გავილანი, კოლუნგა, მარიო, ა. ლოპესი - მადურო, მოია, ალბელდა, დომინგესი

დღეს, 00:00
ვილიარეალი ბარსელონა VS
დისკვალიფიკაცია: ჩავი (ბარ)
ტრავმა: ოლივა, ა. ლოპესი, ნილმარი, სენა, სისინიო - აბიდალი, პუიოლი, მესი (?), კრიჩი (?), პედრო, მაქსველი

ხვალ, 19:00
ესპანიოლი რასინგი VS
ტრავმა: პენა, ფორლინი, დატოლო, მატიონი, ალვარესი, მარკესი - ციოლისი, გონსალესი, როდრიგესი, სერანო

დღეს, 19:00
დეპორტივო მალიორკა VS
დისკვალიფიკაცია: დე გუზმანი (მალ)
ტრავმა: რიკი, კასტრო, ხისკო, ვალერონი, ვალერონი, ურტა - ენრიხი, ვიქტორი, პინა, ნადალი

დღეს, 19:00
ლევანტე მალაგა VS
დისკვალიფიკაცია: ხავი ტორესი (ლევ)
ტრავმა: ლარეა, დელ ორნო, ნ. გონსალესი, სერხიო, კოლომერი, პერესი - კალა, როსარიო, მალაგუენო, ასენხო, ბაპტიშტა, რუბენი

დღეს, 19:00
სოსიედადი ერკულესი VS
ტრავმა: ხ. ლორენტე, დემიდოვი - ტრეზეგე, გომესი, პენა, ტოტე, ტომერი

დღეს, 21:00
სევილია სარაგოსა VS
დისკვალიფიკაცია: დობლასი (სარ)
ტრავმა: კონე, ჩიგარინი, გუარენტე, ჰალოპი, სანჩესი, აკოსტა - ლაფიტა, ლაგუარდია, ბუტაჰარი

ხვალ, 23:00
ოსასუნა ატლეტიკო VS
დისკვალიფიკაცია: აგუერო (ატლ)
ტრავმა: რუპერი, ოიერი, არანდა, პანდიანი, რობერტო - პუელიდო

ზეგ, 23:00
ალმერია ბილბაო VS
დისკვალიფიკაცია: პელერანო (ალმ)
ტრავმა: ნიეტო - აურტენეჩე, კასტილიო, ი. გომესი, იტურასპე, რომალიო, ტოკერო

ხოსეპ გვარდიოლა

ესპანეთის ჩემპიონატის ექვს კლუბს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ ამ უქმეებზე 30-ე ტურს ვნახავთ. მათ რომ არ ეჩივლათ, LFP მთავრობასთან ჭიდაობას აპირებდა, ტური 12 ივნისისთვის უნდა გადადებულიყო, ანუ ჩემპიონატი უსაშველოდ გაწელილიყო. ამას რომ გადავურჩით, „ვილიარეალის" დამსახურებაცაა, თუმცა არანაირად „ბარსელონასი". პირველი გაფიცვის წინააღმდეგი იყო, მეორე კი - მომხრე.

ამაღამ ისინი „ელ მადრიგალზე" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, „ელ კლასიკომდე" ამაზე კარგი მატჩი არ იქნება, საჩემპიონო ინტრიგაც შეიძლება აქ ჩაიხლართოს. მესამეადგილოსანი „ვილიარეალი" ძლიერი გუნდია, ხოლო „ბარსას" გარკვეული პრობლემები აქვს.

მართალია, კატალონიელებს თამაში „ვილიარეალთან" აქვთ, მაგრამ მაინც „რეალზე" ფიქრობენ. რატომღაც მათმა ხელმძღვანელებმა ახალი შემოტევა წამოიწყეს „სამეფო კლუბზე" - რამდენიმე დღის წინათ კლუბის პრეზიდენტი **სანდრო როსელი** არ მოერიდა და აღნიშნა, რომ 20 აპრილს თასის ფინალში მისი გუნდი „რეალს" 5:0-ს მოუგებს. როსელის ამ დაუფიქრებელმა ნათქვამმა ძალიან ბევრი გააღიზიანა მადრიდში... თურმე არა მარტო მადრიდში. **ხოსეპ გვარდიოლაც** უკმაყოფილო ყოფილა როსელის ამ ნათქვამით, რაც მან წინასამატჩო პრესკონფერენციაზე გამოხატა: *„მე მის ადგილზე ამას არ ვიტყოდი, მესმის, რა მიზნითაც გააკეთა როსელმა ასეთი განცხადება, მას სურს გუნდში საბრძოლო განწყობა იყოს, მაგრამ ფინალში „რეალის" 5:0 დამარცხება წარმოუდგენელია. როგორმე თავი უნდა შეეკავებინა ასეთი რამის თქმისგან. მე, როგორც მწვრთნელს შემეძლო მეთქვა, რომ „ბარსა" თუნდაც 60:0-ს მოუგებს „რეალს", მაგრამ მას სულ სხვა სტატუსი აქვს".* არ ვიცით, რა ხდება იქ, კატალონიაში, მაგრამ ჩვენი გადასახედიდან, კლუბის პრეზიდენტის ასე საჯაროდ გაკრიტიკებას (სამართლიანადაც) დიდი გამბედაობა სჭირდება. სხვათა შორის, ჰეპის ეს სიტყვები (ცოტა შელამაზებული) „ბარსელონას" ოფიციალურ საიტზეც გამოქვეყნდა. მოკლედ, მთელ ესპანეთში თუ არა, კატალონიაში დემოკრატიას არ უნდა უჭირდეს.

ბუნებრივია, ჰეპმა მომავალ თამაშზეც ილაპარაკა: *„ფიზიკურ მზადყოფნასა და ტაქტიკურ განსწავლულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემპიონობა ამის დიდ სურვილს მოაქვს. მეტოქე ძალზე სერიოზულია, ბოლო წლებია „ვილიარეალი" მუდამ ლიდერებშია. ისინი ყოველთვის ძნელად დასამარცხებლები არიან".* „ბარსას" ახალგაზრდა მწვრთნელი მოხარულია, რომ მესიმ თავიდან აიცილა სერიოზული ტრავმა: *„მიხარია, რომ მესიმ ამდენი მატჩი ითამაშა და მაინც მწყობრშია, თუმცა ჯერ ძნელი სათქმელია, ითამაშებს თუ არა ლეო „ელ მადრიგალზე", მისთვის, მილიტოსთვის და მასკერანოსთვის მეტად მომქანცველი მგზავრობა იყო".*

გუშინ „კამპ ნოუზე" მოვარჯიშე „ბარსას" **ერიკ აბიდალმა** მიაკითხა, ოპერაციიდან 15 დღის შემდეგ ფრანგმა თანაგუნდელები გაამხნევა. ფეხბურთელებმა ძალიან გაიხარეს აბიდალის ნახვით. ვალენსიის მხარეში ჰეპს 19 ფეხბურთელი მიჰყავს, აქედან 16 პირველი გუნდის წევრია, მათ შორის არიან **ლეო მესი** და **ბოიან კრკიჩი**, რომელთა თამაში საეჭვოა. მწვრთნელი კატალონიაში **პუიოლს, პედროს** და **მაქსველს** ტოვებს. მათ თითქოს უკვე შეეძლოთ თამაში, მაგრამ გვარდიოლამ გადაწყვიტა, ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ მათი ჯანმრთელობით არ გაერისკა. ჩავი დისკვალიფიცირებულია.

სხვათა შორის, „ვილიარეალი" მოგებას აპირებს. „ყვითელი წყალქვეშა ნავის" მესაჭე **ხუან კარლოს გარიდო** ამბობს, რომ „ბარსას" დამარცხება „ელ სუბმარინოს" დიდ გუნდად აქცევს, მოგებისკენ მოუწოდებს თანაგუნდელებს **სანტი კასორლაც**. მასპინძლებს არ ეყოლებათ ბრაზილიელი თავდამსხმელი **ნილმარი**, რაც ძალზე სერიოზული დანაკლისია.

„ბარსას" მდევარი „რეალი" დღეს „სპორტინგს" მიიღებს. მართალია, კონკურენტთან შედარებით მეტოქე „რეალს" უფრო სუსტი ჰყავს, მაგრამ პრობლემები უფრო სერიოზული დაუგროვდა - **კრიშტიანო რონალდო** და **ქარიმ ბენზემა** არათუ „სპორტინგთან", არამედ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ტოტენჰემთანაც" არ იქნებიან. რომ არა **გონსალო იგუაინის** გამოჯანმრთელება „რეალს" წინა ხაზში დიდი პრობლემა ელოდა. ჟოზე მოურინიოს სულ ორი ჯანმრთელი ფორვარდი ჰყავს დღეისათვის იგუანი და **ემანუელ ადებაიორი**. ასტურიელებს შეიძლება ეს ეყოს კიდეც, აი, ლონდონელებთან კი, რა მოგახსენოთ...

ჟოზემ 20-კაციანი განაცხადი „რეალ კასტილიას" სამი ფეხბურთელით (**ხუან კარლოსი, ალექსი, ხუანფრანი**) შეავსო. მადრიდელებს არც **გაგო, მარსელო** და **კაკა** ეყოლებათ, **ჩაბი ალონსო** კი დისკვალიფიცირებულია.

ჟოზე მოურინიო: *„შაბათის მატჩი „სპორტინგთან" უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ტოტენჰემთან" დაპირისპირება. ლიგაზე ორი თამაშია, აქ კი თუ „სპორტინგს" ვერ მოვუგებთ, ჩემპიონობაზე ფიქრი უნდა დავივიწყოთ. ძალიან გვიხარია ყველას, რომ იგუაინი მწყობრში ჩადგა, თუმცა ჯერ ძნელია თქმა, ითამაშებს თუ არა გონსალო „სპორტინგთან" მატჩში".*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	29	25	3	1	81-15	78
2. რეალი	29	23	4	2	69-21	73
3. ვილიარეალი	29	16	6	7	48-30	54
4. ვალენსია	29	16	6	7	42-33	54
5. ესპანიოლი	29	14	1	14	37-41	43
6. ბილბაო	29	13	3	13	44-41	42
7. სევილია	29	12	6	11	43-43	42
8. ატლეტიკო	29	11	6	12	42-39	39
9. მალიორკა	29	11	5	13	30-38	38
10. ოსასუნა	29	9	8	12	34-33	35
11. სოსიედადი	29	11	2	16	39-48	35
12. ლევანტე	29	10	5	14	30-39	35
13. ხეტაფე	29	9	7	13	39-45	34
14. რასინგი	29	8	9	12	28-43	33
15. სპორტინგი	29	7	11	11	27-35	32
16. დეპორტივო	29	7	10	12	23-39	31
17. სარაგოსა	29	7	9	13	28-40	30
18. მალაგა	29	8	5	16	38-59	29
19. ალმერია	29	5	11	13	30-48	26
20. ერკულესი	29	7	5	17	25-47	26

ბომბარდირები: 27 - ლეო მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 13 - პედრო (ბარსელონა); 12 - ხოსე რონდონი (მალაგა); 11 - ნილმარი (ვილიარეალი), ფელიპე კაისედო (ლევანტე), სერხიო აგუერო (ატლეტიკო); 10 - დავიდ ტრეზეგე (ერკულესი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ალვარო ნეგრედო (სევილია), ლუიზ ფაბიანო (სევილია).

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცხოური ფეხბურთი

BUNDES LIGA

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის წინ

ინტრიგების კასკადი

დორტმუნდში ბრძოლა, მიუნხენში კლასიკა, ვოლფსბურგში კითხვა: მაგათი თუ დაუმი?

გუშინ

ზანკტ პაული	**0**
შალკე	**2**

88-ე წუთზე თამაში შეწყდა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბორუსია (დ)	27	19	5	3	54-16	62
2. ლევერკუზ.	27	16	7	4	56-34	55
3. ჰანოვერი	27	16	2	9	39-36	50
4. ბაიერნი	27	14	6	7	59-34	48
5. მაინცი	27	14	2	11	42-34	44
6. ნიურნბერგი	27	12	6	9	42-36	42
7. ჰამბურგი	27	12	4	11	43-44	40
8. ფრაიბურგი	27	11	4	12	34-38	37
9. ჰოფენჰაიმი	27	9	9	9	42-39	36
10. შალკე	27	9	6	12	31-33	33
11. კიოლნი	27	9	5	13	37-49	32
12. ვერდერი	27	8	8	11	37-53	32
13. კაიზერსლ.	27	8	7	12	36-43	31
14. აინტრახტი	27	9	4	14	27-37	31
15. შტუტგარტი	27	8	5	14	46-49	29
16. ზტ. პაული	27	8	4	15	29-47	28
17. ვოლფსბურ.	27	6	9	12	31-40	27
18. ბორუსია (მ)	27	6	5	16	38-61	23

ბომბარდირები: 19 - გომესი (ბაიერნი); 18 - სისე (ფრაიბურგი); 16 - გეკასი (აინტრახტი);

დღეს, 17:30
ბაიერნი VS ბორუსია (მ)
ტრავმა: ვან ბუიტენი, ოლიჩი - ვისინგი, დე კამარგო

დღეს, 17:30
ვერდერი VS შტუტგარტი
დისკვალიფიკაცია: პისარო (ვერდერი)
ტრავმა: ბიონიში, ნალდო, პრიოდლი, ბარგფურედე, დ. იენსენი - ბიჩაქჩიჩი, ფუნკი

დღეს, 17:30
ბორუსია (დ) VS ჰანოვერი
ტრავმა: კაგავა, კრინგე - ცილერი, ავევორი, ანდრეასენი

დღეს, 17:30
მაინცი VS ფრაიბურგი
ტრავმა: ჰ. მიულერი, კარჰანი, სოტო, შალაი - პუპლინი, იეგერი, ვილიამსი, ბეხმანი, რაიზინგერი

დღეს, 17:30
კაიზერსლაუტ. VS ლევერკუზენი
ტრავმა: შიმუნეკი, ილიჩევიჩი - კასტრო, მ. ფრიდრიხი

დღეს, 20:30
ჰოფენჰაიმი VS ჰამბურგი
დისკვალიფიკაცია: ვან ნისტელროი (ჰამბურგი)
ტრავმა: იაისლე, ვაისი, ობასი - დრობნი, კასტელენი

ხვალ, 17:30
კიოლნი VS ნიურნბერგი
დისკვალიფიკაცია: პინოლა, ჩანდლერი (ორივე ნიურნბერგი)
ტრავმა: იანულისი, შორხი, ფაასენი - ფრანტცი, ბუნიაკუ, შიბერი

დღეს, 19:30
ვოლფსბურგი VS აინტრახტი
დისკვალიფიკაცია: პეკარიკი (ვოლფსბურგი)
ტრავმა: ჩიგერჩი - კრისი, ბაირამოვიჩი

ხვალ, ვოლფსბურგში ფელიქს მაგათისა და კრისტოფ დაუმის უმძაფრესი დუელია

სანაკრებო პაუზის შემდეგ, გერმანიაში საკლუბო ფეხბურთელი გაზრდილი ინტრიგით ბრუნდება. გუშინ, რალფ რანგნიკს „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ჰქონდა. დღეს, ყურადღების ცენტრში დორტმუნდია, სადაც ლიდერი „ბორუსია“, რომელსაც ორმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, მესამე ადგილზე მყოფ „ჰანოვერს“ მასპინძლობს. მიუნხენის „ბაიერნი“ ბუნდესლიგის კლასიკაში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ხვდება და მერე რა, რომ „გლადბახი“ ბოლო ადგილზეა - თუ გადარჩენა უნდა, ამ გუნდმა უდიდესი თავგანწირვით უნდა იბრძოლოს. რომ არა „სამწვრთნელო საგიჟეთი“, კვირას „ვოლფსბურგსა“ და ფრანკფურტის „აინტრახტს“ შორის დაგეგმილი მატჩი ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა იქნებოდა. ახლა კი, ამ თამაშს უდიდესი ინტრიგა აქვს, რადგან ერთმანეთს თვით ფელიქს მაგათი და კრისტოფ დაუმი უპირისპირდებიან - თანაც, ორივე გუნდი გადარჩენისთვის იბრძვის.

მოიგებს დორტმუნდი?

„დორტმუნდმა“ ზედიზედ ორი თამაშის მოგება ვერ შეძლო (0:1 „ჰოფენჰაიმთან“, 1:1 „მაინცთან“), რის შემდეგაც, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ცოტათი დაიძაბა. ამ ტურის წინ, „ლევერკუზენი“ „ბორუსიას“ 7 ქულით ჩამორჩება და საკმარისია, **იურგენ კლოპის** ბიჭებმა „ჰანოვერთანაც“ ნაიფორხილონ, ხოლო „ფარმაცევტებმა“ კი „კაიზერსლაუტერნს“ მოუგონ, რომ ვეღარავინ იტყვის, დორტმუნდელთა ჩემპიონობას „წყალი აღარ გაუვაო“. „ჰანოვერი“ კი (მით უმეტეს ამ სეზონში) ნამდვილად განეკუთვნება ისეთი კლუბების კატეგორიას, რომლებსაც „ბორუსიას“ გამწარება შეუძლიათ - **მირკო სლომკას** ძალიან კერკეტი გუნდი ჰყავს, რომელიც 27 ტურის შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად მესამე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ცხადია, ქვემოსაქსონიელებს ამ პოზიციის შენარჩუნება სურთ.

ხუთშაბათს, გერმანიის კრიმინალისტიკურმა სამსახურმა „ვესტფალენშტადიონის“ შესასვლელებთან ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოაჩინა და ამით, სავარაუდოდ, უდიდესი ტერორისტული აქტი აღკვეთა (გუშინელ ნომერში დაწვრილებით ვწერდით). მიუხედავად ამისა, თამაში არ გადადებულა - დორტმუნდის პოლიცია მობილიზებულია და ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ფანების უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება გარანტირებული.

„დორტმუნდმა“ რომც წაიფორხილოს, „ლევერკუზენს“ სამი ქულა ნამდვილად არ აქვს გარანტირებული, რადგან „ფარმაცევტები“ გადარჩენისთვის მებრძოლ „კაიზერსლაუტერნს“ სტუმრობენ, „ფრიც-ვალტერ-შტადიონზე“ მოგება კი, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია.

კლასიკა მიუნხენში

ის ფაქტი, რომ „გლადბახი“ ბოლო ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრება, „ბაიერნისა“ და მიონხენგლადბახური კლუბის კლასიკურ დუელს დამატებით ინტრიგას სძენს. დღეისათვის ქულების დაკარგვა არც მიუნხენურ გრანდს ეპატიება, რადგან რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და არც მიონხენგლადბახურ კლუბს, რომელიც ბოლო დროს აზრზე მოვიდა, ქულების დაგროვება დაიწყო და ჯერ კიდევ აქვს გადარჩენის იმედი. ეჭვგარეშეა ის, რომ **ლუსიენ ფავრის** ბიჭები „ალიანს არენაზე“ უდიდესი თავგანწირვით იბრძოლებენ და თუ რამდენად საკმარისი იქნება ეს მიუნხენიდან თუნდაც ქულის წასაღებად, ამას უშუალოდ მატჩი გვიჩვენებს. „გლადბახი“ სარელეგაციო მე-16 ადგილს 5 ქულით ჩამორჩება, რის გამოც ფავრის გუნდს მიუნხენში დიახაც 3 ქულა სჭირდება, რაც ერთი შეხედვით უტოპიად გვეჩვენება, მაგრამ მეორე მხრივ, გამორიცხული არაფერია...

მთავარი თემა გადარჩენისთვის ბრძოლაა „ვერდერისა“ და „შტუტგარტის“ დაპირისპირებაშიც. ბრემენელები მე-12 ადგილზე არიან, შვაბები კი მე-15 პოზიციაზე იმყოფებიან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სამი ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მატჩის წაგება ორივესთვის ძალიან ცუდი იქნებოდა. ბრემენელებს პირველი ნრის მატჩის გახსენებაც კი არ სურთ - „შტუტგარტმა“ „ვერდერი“ საკუთარ მოედანზე 6:0 გაანადგურა. „მუსიკოსებს“ შურისძიებისთვის ბრძოლა მთავარი გოლეადორის, **კლაუდიო პისაროს** გარეშე მოუწევთ - პერუელი თავდამსხმელი დისკვალიფიცირებულია. შვაბთა თავკაც **ბრუნო ლაბადიას** კი **კაკაუ** და **ბოკა** გამოუჯანმრთელდნენ.

მაინცის „ბრუხვეგშტადიონზე“ ერთმანეთს ადგილობრივი გუნდი და „ფრაიბურგი“ დაუპირისპირდებიან. ეს გუნდები არც ჩემპიონობისთვის იბრძვიან და არც გადარჩენისთვის, სამაგიეროდ, საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად იბრძვიან - მაინცელებიც და ფრაიბურგელებიც ევროპის ლიგის საგზურზე ოცნებობენ. „მაინცი“ სწორედ მეხუთე ადგილზეა და „ფრაიბურგი“ **თომას ტუხელის** გუნდს შვიდი ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრაის“ დღეს მხოლოდ გამარჯვება ანყობს. თუ ბრაისგაუელები „ბრუხვეგშტადიონიდან“ სამ ქულას ვერ წაიღებენ, სეზონის დარჩენილი მატჩების მშვიდად, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ჩატარება მოუნევთ და მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი**, რომელიც ზაფხულში „ლევერკუზენს“ ჩაიბარებს, ფრაიბურგის პუბლიკას ნერვაუტოკებლად დაემშვიდობება.

იონინგს პოსტის შენარჩუნება უნდა

შაბათის საღამოს მატჩი „ჰოფენჰაიმისა“ და „ჰამბურგის“ ჯახია. იმ დროს, როცა „ჰოფენჰაიმს“ პრაქტიკულად არაფრის შანსი აღარ აქვს და არც ელიტიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება, ჰამბურგელები ჯერ კიდევ ოცნებობენ ევროპის ლიგის საგზურზე. თუკი HSV ამ მიზანს მიაღწევს, დიდი შანსია, რომ დროებით მწვრთნელი **მიხაელ იონინგს** ხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმონ.

მაგათი და დაუმი ფოკუსში

ხვალ, პირველი დაპირისპირება კიოლნში შედგება, სადაც ასევე საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაზე მეოცნებე „ნიურნბერგი“ ჩადის. მართალია, „კიოლნი“ მე-11 ადგილზეა, მაგრამ გასავარდნ ზონას მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „თხები“ ჯერ კიდევ არ არიან სამშვიდობოს. თუმცა **ლუკას პოდოლსკის** და კომპანიას ზედიზედ ექვსი საშინაო მატჩი აქვთ მოგებული და რაკი ხვალაც საკუთარ მოედანზე თამაშობენ, „ნიურნბერგს“ დიდი სიფრთხილე მართებს. ერთი სიტყვით, მატჩის წინ „კიოლნი“ დაძაბულია, ნიურნბერგელები კი მშვიდად არიან. მართალია, ფრანკები საუკეთესო ხუთეულზე ოცნებობენ, მაგრამ ვალდებულები სულაც არ არიან, რომ ევროპის ლიგის საგზური მოიპოვონ. სწორედ ასეთი მდგომარეობაა მათი სიმშვიდის გარანტია.

ტურის ბოლო მატჩში კი, რომელიც „ფოლკსვაგენ-არენაზე“ გაიმართება (ვოლფსბურგი-აინტრახტი), ყურადღების ცენტრში პირველიდან ბოლო წუთამდე მწვრთნელები იქნებიან. ორივე გუნდი გადარჩენისთვის იბრძვის და ორივე გუნდს ახალი დამრიგებელი ჰყავს - თანაც, რა დამრიგებლები: ფელიქს მაგათი, რომელიც ვოლფსბურგის პუბლიკის წინაშე წელინადნახევარიანი პაუზის შემდეგ პირველად წარსდგება და კრისტოფ დაუმი. მაგათის განმეორებითი დებიუტი ნინა ტურში შედგა (1:1 შტუტგარტში), დაუმისთვის სწორედ ხვალინდელი თამაშია სადებიუტო. ფაქტია, ამ შეხვედრაში ნაგებუელის მდგომარეობა ძალიან დამძიმდება.

● *ჰანოვერი*

ჩვენც ვივაუკაცებთ!

ჰანოვერელები დორტმუნდელებს ემუქრებიან

რამდენიმე კვირის წინ, გერმანიის ჩემპიონატის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, რადგან დორტმუნდის „ბორუსიას“ 12-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა. მას მერე დორტმუნდელებმა ორი თამაში ჩააგდეს და ახლა BVB უახლოეს მდევრად „ლევერკუზენს“ მხოლოდ შვიდი ქულითღა უსნრებს. დღეს კი, „ჰანოვერს“ შეუძლია, სეზონის მიწურულს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ დაძაბოს. „ვესტფალენშტადიონზე“ გასამართი მატჩის წინ, ჩემპიონთა ლიგის საგზურზე მეოცნებე ჰანოვერელები იმუქრებიან, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიძაბოს და ქომაგებს სეზონის მიწურულს ყველანაირად საინტერესო ფინალი ვაჩუქოთო.

„თუ დორტმუნდიდან სამ ქულას წამოვიღებთ, ბუნდესლიგას დაუბრუნდება ის ინტრიგა, რომელზეც გერმანიაში მხოლოდ დორტმუნდელები არ ოცნებობენ. ჩვენ ვიცით, რომ „ბორუსიას“ გამწარება შეგვიძლია და სნორედ ამისთვის ვიბრძოლებთ,“ აცხადებს „ჰანოვერის“ თავკაცი **მირკო სლომკა**.

ჰანოვერელები ძალიან თავდაჯერებულები ჩანან, რაც ფეხბურთელების კომენტარებიდანაც ჩანს. მაგალითად, მცველი **ქარიმ ჰაგი** ამბობს: *„ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ჩვენ დორტმუნდიდან სამი ქულის წამოღება შეგვიძლია? უარს არც ფრეზე ვიტყოდით, მაგრამ მოგება გვინდა. „ბორუსია“ ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ბოლო ორ ტურში დამტკიცდა, რომ ყველა თამაშს ვერ მოიგებს. თუ ჩვენც ვივაუკაცებთ, შესაძლოა, დორტმუნდელთა უპირატესობა ოთხ ქულამდე შემცირდეს და თანაც, ბორუსიელები ძალიან ანერვიულდებიან. შესაბამისად, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ფაქტობრივად თავიდან დაიწყება.“*

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ბორუსიამ“ ჰანოვერში 4:0 მოიგო, მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა: სლომკას გუნდი დღეს მესამე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ „წითლებს“ მართლაც შეუძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლის უკიდურესად დაძაბვა...

● *ლევერკუზენი*

ბალაკი დასაჯეს!

20 მარტს, „შალკესთან“ მოგებული თამაშის (2:0) შემდეგ, „ლევერკუზენის“ გამოცდილმა ნახევარმცველმა **მიხაელ ბალაკმა** მეგაფონი აიღო და ფანებს ელაპარაკებოდა. იმ შეხვედრაში ბალაკმა ძალიან კარგად ითამაშა, რის გამოც გულშემატკივრები მას უდიდესი ოვაციებით ამკობდნენ, მიხაელი კი იმდენად აჟიტირებული იყო, რომ ბოლოს „ლევერკუზენის“ მოსისხლე მტრის, „კიოლნის“ ლანძღვა-გინებას მოჰყვა. *„Scheiss 1. FC Koln, Scheiss 1. FC Koln!“* – ყვიროდა ბალაკი და ეს სიტყვები თარგმანს არ საჭიროებს.

„ლევერკუზენის“ ფანები მან სამით ძალიან გაახარა და მართალია, მოგვიანებით კიოლნელებს მოუბოდიშა, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ ეს ამბავი „ასე არ დატოვა“ და მიხაელი დასაჯა: ბალაკი 8000 ევროს გადაიხდის. ეს თანხა მიხაელს ნამდვილად არ გააღარიბებს, „ლევერკუზენის“ ქომაგების გული კი სამუდამოდ მოიგო...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცი

ასე აგინა მიხაელ ბალაკმა კიოლნს და კიოლნელებს

იტალია. სერია A. XXXI ტურის წინ

დერბი სკუდეტოსთვის და არა მარტო...

გადადეთ ყველა საქმე და ჩაუჯექით კალჩოს

დღეს, 20:00
ბრეშა VS ბოლონია
დისკვალიფიკაცია: მარეკო (ბრეშა).
ტრავმა: დალამანო – მონტელონგო, გარიჩი, მუდინგაი, ხიმენესი.

დღეს, 22:45
მილანი VS ინტერი
დისკვალიფიკაცია: იბრაჰიმოვიჩი - ლუსიო.
ტრავმა: ინძაგი, ამბროზინი, იანკულოვსკი, ბონერა – სამუელი, კივუ.

ხვალ, 14:30
ნაპოლი VS ლაციო
დისკვალიფიკაცია: რადუ, ლედესმა, მათუზალემი (ლაციო).
ტრავმა: გრავა, ცუნიგა – როკი, დიაკიტე, ლედესმა, მეგნი, რადუ.

ხვალ, 17:00
კატანია VS პალერმო
დისკვალიფიკაცია: ლიამა - კამოციერი.
ტრავმა: კაპუანო, ბელუში, შაკა, პოტენცა, ბიაჯანტი, მარტინიო, ლიამა—ილიჩიჩი, პინილია.

ხვალ, 17:00
კიევო VS სამპდორია
დისკვალიფიკაცია: ტისონე (სამპდორია).
ტრავმა: ლუჩანო, პულეტი, ფრეი – პოცი, სემიოლი.

ხვალ, 17:00
ჩეზენა VS ფიორენტინა
დისკვალიფიკაცია: ლაურო (ჩეზენა).
ტრავმა: ფატჩი – იოვეტიჩი, ფრეი, ბეჰრამი.

ხვალ, 17:00
ჯენოა VS კალიარი
დისკვალიფიკაცია: კონტი (კალიარი).
ტრავმა: ველოზო, კუჩკა, მილანეტო, დესტრო – პიზანო, ნენე, პელიციოლი.

ხვალ, 17:00
ლეჩე VS უდინეზე
დისკვალიფიკაცია: ჯაკომაცი – პინცი.
ტრავმა: ჯულიატო, ოფერე – ბასტა, ფერონეტი, ანჯელა.

ხვალ, 17:00
პარმა VS ბარი
დისკვალიფიკაცია: გალიპა, ჯემაილი, ჯოვინკო, ვალიანი (პარმა).
ტრავმა: კალვო, პალადინო – ს. მაზიელო, კუტუზოვი, ბარეტო, ოკაკა, კასტილო.

ხვალ, 22:45
რომა VS იუვენტუსი
ტრავმა: ფულიო სერგიო – დე ჩელიე, მარტინესი, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა, იაკინტა, კიელინი, დელ პიერო, ტრაორე.

რაც არ უნდა ხდებოდეს სხვა ევროპული ქვეყნების საფეხბურთო მოედნებზე, გირჩევთ, რომ ამ უქმეებზე იტალიას მიაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება და იმ პაექრობებს, რომლებსაც სერია A-ს XXXI ტური გვთავაზობს. ცენტრალური შეხვედრა "სან სიროზე" გაიმართება, სადაც ორი მილანური გრანდი შეასკდება ერთმანეთს - ამ ჯახს რომ ზედმეტი რეკლამა არ სჭირდება, ალბათ დაგვეთანხმებით. თანაც, სატურნირო ცხრილში ისეთი მდგომარეობაა, მოედანზე ნამდვილი ომი უნდა გაჩაღდეს. რომ არა მილანური დერბი, ტურის ცენტრალური პაექრობის არჩევა ნამდვილად გაგვიჭირდებოდა: დედაქალაქში "რომა" "იუვენტუსს" უმასპინძლებს, ნეაპოლში კი "ნაპოლი" "ლაციოს" შეეტოქება. "ოლიმპიკოზე" იტალიური ფეხბურთის აღიარებული გრანდები შეერკინებიან ერთმანეთს, მაგრამ სატურნირო ცხრილს თუ ჩავხედავთ, "მილიონერთა ქალაქში" დაგეგმილი ჯახი უფრო საინტერესოდ და პრინციპულად მოსჩანს. და „დესერტად" სიცილიური დერბი: „კატანია" „პალერმოს" ნინაალმდეგ - ეს მხოლოდ ფეხბურთი არაა და ეჭვგარეშეა, რომ კუნძულზე კარაბინერთა დამატებითი ჯგუფების გადასხმა მოხდება.

მილანურ დერბიზე იმდენი ითქვა და დაინერა, რომ რაიმე ახლის და განსაკუთრებულის თქმა გაგვიჭირდება. ორივე გუნდი განსაკუთრებულად ემზადება ამ დიდი პაექრობისთვის, თუმცა კომენტარები ერთობ ფრთხილი კეთდება – მაგალითად, **მასიმო მორატი** მიიჩნევს, რომ დერბით არ მთავრდება ჩემპიონატი და როგორც არ უნდა დასრულდეს მილანური გრანდების ჯახი, სასკუდეტო იტრიგა ბოლომდე შენარჩუნდება. დაახლოებით ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა **ადრიანო გალიანიმ**, რომელიც აშკარად უფრთხის მეტოქეს. და საერთოდაც, თითქოს თავს იზღვევენ მხარეები, რადგან ნარუმატებელი რეზულტატის შემთხვევაში, არც გულშემატკივრებმა შექმნან ტრაგედია და არც ფეხბურთელებმა ჩამოყარონ ყურები.

თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ორივე მწვრთნელი ერთ ტაქტიკას: 4-3-1-2-ს აირჩევს. **მასიმილიანო ალეგრის** გაუმართლა, რომ **ალესანდრო ნესტა** და **ტიაგო სილვა** მწყობრში ჰყავს. მიმდინარე სეზონში, არცთუ ისე ხშირად ხდება, როცა ორივე ჯანზეა და ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ, სწორედ ამ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მარჯვენა ფლანგზე, სავარაუდოდ, **ინაციო აბატეს** ვიხილავთ, ხოლო მარცხნივ **ლუკა ანტონინი** გაირჯება. საყრდენის პოზიციაზე შემდეგი სამეულის გამოჩენაა ნავარაუდები: **მარკ ვან ბომელი, ჯენარო გატუზო, კევინ პრინც ბოატენგი.** არის მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც ძირითად შემადგენლობაში გამოჯანმრთელებულ **ანდრეა პირლოს** ვიხილავთ, ვან ბომელს კი სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ყურყუტი. ფორვარდების უკან **კლარენს ზეედორფი** გაირჯება, შეტევის წინა ხაზზე კი **ალეშანდრე პატოსა** და **რობინიოს** გამოჩენას ველოდებით. **ანტონიო კასანოს** ჟურნალისტები თადარიგში ყოფნას უნინასწარმეტყველებენ და ვნახოთ, გამართლდება თუ არა მათი პროგნოზი. მასიმილიანო ალეგრის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი პაექრობისთვის ემზადება მის სამწვრთნელო კარიერაში:

"ფეხბურთელები დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან და ვფიქრობ, სტადიონზე მოსული გულშემატკივარი უდიდეს სიამოვნებას მიიღებს. ეჭვგარეშეა, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პაექრობა ჩემს სამწვრთნელო კარიერაში და მჯერა, რომ წარმატებით ჩაივლის. ჩვენი ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა, ასეთ შემთხვევაში მთავარ მეტოქეს მთელი ხუთი ქულით გავუსწრებთ და დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოვიპოვებთ. ბევრი თვლის, რომ ფავორიტი "ინტერია" – დაე იყოს ეგრე, პრინციპულ პაექრობებში ხშირად სწორედ ფავორიტები მარცხდებიან".

ლეონარდოს რომ "მილანში" აქვს გატარებული თითქმის მთელი საფეხბურთო კარიერა და ფაქტობრივად მშობლიური გუნდის წინააღმდეგ უწევს დაპირისპირება, ასევე გადაღეჭილი თემაა. საინტერესოა, როგორ მიიღებენ მას "როსონერის" გულშემატკივრები, ნომინალური მასპინძელი ხომ სწორედ "მილანია" და შესაბამისად, ქომაგთა 70% სწორედ "შავ-წითლებს" დაუჭერს მხარს. თუმცა, ბრაზილიელი სპეციალისტი ამაზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობს და ტაქტიკა-სტრატეგიის შემუშავებასა და შემადგენლობის შერჩევაზეა კონცენტრირებული. ლეოს დაცვის ცენტრში აქვს პრობლემები, **ლუსიოს** და **ვალტერ სამუელს** რომ ტრავმა აქვთ, ძველი ამბავია, ამიტომ, სასტარტოში **ანდრეა რანოკიასა** და **ივან კორდობასგან** შემდგარ ტანდემს ვიხილავთ. მარჯვენა ფრთაზე **დუგლას მიიკონი** გაირჯება, მარცხნივ კი **ხავიერ ძანეტი.** ნახევარდაცვაში წესით შემდეგი ოთხეული უნდა ვიხილოთ: **ესტებან კამბიასო, ტიაგო მოტა, დეიან სტანკოვიჩი** და **ვესლი სნეიდერი.** ეს უკანასკნელი წინ იქნება აწეული და ტრადიციულად, გამთამაშებლის პოზიციაზე იმოქმედებს. ლეო ერიდება ჟურნალისტებთან ურთიერთობას და ცდილობს, სრული მობილიზება მატჩისწინა სამზადისზე მოახდინოს. ვნახოთ, წინ მართლაც დიდი ჯახი გველოდება.

ტურინში ჯერ კიდევ აქვთ სულ მცირე იმედი იმის, რომ სასწაული მოხდება და „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ეს მცირე იმედიც მოკვდება, თუ „ბიანკონერი" „რომასთან' გასვლით პაექრობაში დაკარგავს ქულებს, მოვლენათა ასეთი განვითარების ალბათობა კი საკმაოდ დიდია. ჯერ ერთი, „ჯალოროსიც" ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოსახვედრად იბრძვის, ასევე რთულ მდგომარეობაშია და აუცილებელი ხომ ამ ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული, ხუთი კი ტრავმირებული, ანუ მისი დანაკლისი გაცილებით უფრო სერიოზულია. ბოლოს ის ვთქვათ, რომ დიდია შანსი, XXXI ტური ყველაზე წარმატებული „უდინეზესთვის" გამოდგეს - მთავარია ფრიულელებმა „ლეჩე" დაამარცხონ გასვლაზე და კონკურენტები რომ ქულებს დაკარგავენ, წყალი არ გაუვა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	30	18	8	4	51-22	62
2. ინტერი	30	18	6	6	56-32	60
3. ნაპოლი	30	18	5	7	46-27	59
4. უდინეზე	30	17	5	8	56-30	56
5. ლაციო	30	16	6	8	36-25	54
6. რომა	30	14	8	8	47-41	50
7. იუვენტუსი	30	12	9	9	45-38	45
8. პალერმო	30	13	4	13	45-46	43
9. ფიორენტინა	30	10	11	9	35-31	41
10. ბოლონია	30	11	10	9	33-37	40
11. კალიარი	30	11	6	13	36-36	39
12. ჯენოა	30	10	9	11	29-33	39
13. კიევო	30	8	11	11	30-32	35
14. პარმა	30	7	11	12	29-41	32
15. კატანია	30	8	8	14	25-40	32
16. სამპდორია	30	7	10	13	25-34	31
17. ჩეზენა	30	7	8	15	25-41	29
18. ლეჩე	30	7	7	16	31-52	28
19. ბრეშა	30	6	8	16	24-38	26
20. ბარი	30	3	8	19	17-45	17

ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა

ბომბარდირები: 25 – დი ნატალე (უდინეზე); 22 – კავანი (ნაპოლი); 19 - ეტოო (ინტერი); 18 – დი ვაიო (ბოლონია); 16 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

ლაშა წიკლაური

● ამბები

ინტერს შეჰნი მოუნდა

მილანის „ინტერის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** „ნერაძურის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობს, რომ ძალიან მოსწონს დორტმუნდის „ბორუსიას" თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი.**

„ეს ფეხბურთელი ამ სეზონში ძალიან კარგად გამოიყურება, „ბორუსიას" წარმატებები პირველ რიგში მისი დამსახურებაა. ჩვენ შაჰინს დიდი ხანია, ვაკვირდებით და არ დავმალავ, რომ მისი ყიდვა გვინდა. ზაფხულში „ბორუსიას" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების წამოწყებას აუცილებლად შევეცდებით," - აცხადებს ბრანკა.

რას ამბობ, რაულ?

როგორც ჩანს, **რაულმა** ჯერ კარგად არ იცის, როგორ ვერ იტანენ „შალკეს" ფანები დორტმუნდის „ბორუსიას" და პირიქით. ესპანელ თავდამსხმელს ჯერ კარგად არ აქვს გაცნობიერებული „რურის დიდი მტრობა", თორემ ნამდვილად არ იტყოდა იმას, რაც თქვა. 33 წლის რაულმა „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „შალკემ" ყველაფერში „დორტმუნდს" უნდა მიბაძოს. რაულმა „ბორუსია" საუკეთესო ეპითეტებით შეამკო, რაც გელზენკირხენელ ქომაგებს ნამდვილად არ მოეწონებათ. მართალია, ესპანელი ძალიან უყვართ, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, მომდევნო სამინაო შეხვედრაში რაულს მინიმუმ დიდ ტრანსფარანტს გადმოუფენენ, რომლითაც აუხსნიან, რას ნიშნავს „რურის დიდი დერბი"...

გოტფრიდ ლენცი

ანჩელოტი და ლუიზი საუკეთესოები

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** და ცენტრალური მცველი **დავიდ ლუიზი** გამოკითხვის შედეგად მარტში შესაბამისად პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელად და ფეხბურთელად დასახელდნენ. "არისტოკრატებმა" ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ იპოვეს თავისი თამაში და შეიძლება ითქვას, რომ საჩემპიონო რბოლაში ჩაბმა ხელახლა შეძლეს. "ჩელსიმ" ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო და გულშემატკივრებს მომავლის იმედი გაუღვიძა. იტალიელი სპეციალისტისთვის ეს მესამე აღიარება იყო ინგლისურ კარიერაში. ერთხელ თვის მწვრთნელად ის საჩემპიონო ნელს დასახელდა, უკვე ორჯერ კი მიმდინარე სეზონში.

23 წლის დავიდ ლუიზმა კი, ვინც ლონდონში ლისაბონის "ბენფიკადან" იანვარში გადავიდა, უმალ მოახერხა ანჩელოტის სქემებში ჩაჯდომა და "ჩელსის" დაცვის ლიდერად ქცევა. რამდენად რთულია ეს მაშინ, როცა "სტემფორდ ბრიჯზე" **ჯონ ტერი** თამაშობს, თავად განსაჯეთ. გარდა უშუალო მოვალეობებისა, დავიდს გადამწყვეტი გოლებიც გააქვს. როგორც ჩანს, ის განსაკუთრებით მანჩესტერელებს "ემტერება", რადგან "იუნაიტედსაც" შეუგდო და "სიტისაც", თუმცა გასვლაზე არც "ბლექპული" დაინდო.

ფიფა-უეფა 1 აპრილსაც არ ხუმრობს

ფიფამ და უეფამ გუშინ, 1 აპრილს სრულიად არასახუმარო გადაწყვეტილება მიიღეს და ბოსნია-ჰერცეგოვინის ფეხბურთის ფედერაციას თავიანთი წევრობა შეუჩერეს. აღნიშნულ პრობლემაზე რამდენიმე დღის წინ უკვე ვწერდით, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოს მონყობის პოლიტიკურ სქემას ემთხვევა და ქვეყანაში მცხოვრები სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის - ბოსნიელების, სერბებისა და ხორვატების ინტერესს ითვალისწინებს. შესაბამისად, ფეხბურთის ფედერაციასაც სამი პრეზიდენტი ჰყავს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ეს უცნაურობა დიდხანს ითმინა და ბოლოს ერთი კონკრეტული პიროვნების არჩევა მოითხოვა, რაზეც ბოსნიიდან უარი მიიღო. ზემდგომთა რეაქციამაც არ დააყოვნა.

ლევან ბიბილაშვილი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

ბერძენ-რომაელთა გერმანული წილი

დორტმუნდში მიმდინარე მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში დღეს ბერძენ-რომაელებიც ჩაებმებიან. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ტურნირში ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **მათე სოფაძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120).

დღეს ჩემპიონატში ოთხი - 55, 66, 84 და 120 წონითი კატეგორიის ფალავნები იჭიდავებენ. ნუხელ გაიმართა წილისყრა. ყველაზე მეტად გოგიტაძეს არ გაუმართლა. ის თავიდან შედარებით სუსტ მეტოქეს კი ხვდება - სლოვაკ **ნიკოლას ლაკატოსს**, მაგრამ წონის ლიდერებიც ბადის ამ ნახევარში მოხვდნენ. სლოვაკთან წარმატების შემთხვევაში მეორე წრეში მისი სავარაუდო მეტოქე ძლიერი სომეხი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **რომან ამოიანია**, რომელიც ბოლო ხუთი წელინადია, უმედლოდ სეზონს არ ტოვებს. მეოთხედფინალამდე შემხვედრ კანდიდატთა შორის თურქი **ბაირამ ოზდემირი** და რუსთა ბურიატი ფალავანი **ვალერი ბორგოიაკოვი** არიან, ოღონდ ისინი ჩვენებურამდე ერთმანეთს ხვდებიან.

დიდად არც მამაგეიშვილს გაუმართლა - პირველ წრეში ახალგაზრდა სომეხ **სასუნ ჩამბარიანს** ეჭიდავება, თუ ძლევს მერე პორტუგალიელ **მანუელ ალმეიდასა** და რუსეთის სახელით მოასპარეზე **ამბაკო ვაჩაძეს** შორის მოგებულს შეხვდება. ვაჩაძემ შარშან ევროპაც მოიგო და - მსოფლიოც, ის ევროპის ბოლო ორი პირველობის გამარჯვებულია და მესამედაც შეეცდება ტიტულის დაცვას, მაგრამ მოსამზადებელი პერიოდი მთლად კარგად არ გაუვლია. ყოველ შემთხვევაში, რუსთა ნაკრების ქართველი თავკაცი და ვაჩაძესავით ქუთაისელი **გიორგი კოლუაშვილი** არც მალავდა, რომ მისი მომზადებით უკმაყოფილო იყო, თუმცა ვაჩაძე მაინც წაიყვანა დორტმუნდში.

ჩვენი დებიუტანტი, ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრი მათე სოფაძე პირველ შეხვედრას სლოვენიელ **დეიან სერნეკთან** გამართავს, ამათში მოგებულს კი მეორე წრეში ბელარუს **ალიმ სელიმაუს** და თურქ **აპმეტ ილდირიმს** შორის გამარჯვებული ელოდება. ბადის ამავე ნახევარში არიან აზერბაიჯანელთა ირანელი მსოფლიოს პრიზიორი **აპმან სამან ტახმასები** (ეტყობა, ეს მაინც გადაურჩა დოპინგზე ჩავარდნას), ხორვატი ევროპის პრიზიორი **ნენად ზუგაი** და რუსთა ოსი **ალან ხუგაევი**, რომელიც ბოლო თვეებში ჩინებულ ფორმაშია.

ჯავახიშვილს ბედმა პირველ მეტოქედ სერბი **მილოშ სპასიჩი** არგუნა, რომელმაც შარშან ნაკრებში ევროპის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი **რადომირ პეტკოვიჩი** შეცვალა. ნახევარფინალამდე ამ ბადეში ერთადერთი ტიტულოვანი ფალავანია - ესტონელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ჰეიკი ნაბი**. ნახევარფინალში სავარაუდო კონკურენტთა შორის არიან ბელარუსთა ქართველი ევროპის პრიზიორი **იოსებ ჩუგაშვილი**, რუსთა მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევი** და უკვე გვარიანად შებერებული უნგრელი, 35 წლის ევროპის ჩემპიონი **მიშალ დეაკ-ბარდოსი**.

ორთაბრძოლები დორტმუნდში დღეესაც თბილისის დროით საღამოს 17 საათზე დაიწყება. ჩემპიონატი ხვალ დარჩენილი სამი წონის ფალავანთა გამოსვლებით დამთავრდება.

ირაკლი თავაძე

● მძლეოსნობა

კვლავაც მხნედ და შემართებით სპორტის სამსახურში

სახელოვან ქართველ მძლეოსან **რობერტ შავლაყაძეს** ქართული სპორტის მატიანეში საპატიო ადგილი უკავია. სიმაღლეზე ხტომის დიდოსტატმა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა (1962), სსრკ ჩემპიონმა (1964) და სამგზის მეორე პრიზიორმა სოციალისტური ქვეყნების თამაშები შვიდჯერ (1957-1963) მოიგო, ხუთჯერ ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირზე იყო პირველი, 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში კი ამერიკელ სიმაღლეზე მხტომელთა ჰეგემონია დაამხო: 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასას პირველსავე ცდაზე გადაევლო და თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოლიმპიური რეკორდით ავიდა. თუმცა, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე შეურყია მან ოკეანისგაღმელებს ტახტი, როცა აშშ-სსრკ „გიგანტთა მატჩში“ ყველა დაჯაბნა სიმაღლეზე ხტომაში. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მან მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილა.

სეოკ-ის აღმასკომის წევრის, ლეგენდარული ათლეტის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა - დაჯილდოებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სეოკ-ისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით. უაღრესად კეთილშობილი და ჭეშმარიტად რაინდი პიროვნება სპორტის სამინისტრომ შარშან სპორტის რაინდის ორდენითაც დააჯილდოვა.

დიდუბის მძლეოსნობის მანეეში ოლიმპიურ ჩემპიონ რობერტ შავლაყაძეს გუშინ დაბადებიდან 78-ე წლის აღსანიშნავად საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და ფულადი ჯილდოც გადასცეს.

ლადო ვარძელაშვილი, სპორტის მინისტრი: *„რობერტ შავლაყაძე - ეს არის კაცი ლეგენდა, რომელმაც უდიდესი წარმატება მოუტანა სამშობლოს, მრავალ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სპორტისაკენ. წლთა სიმრავლის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება და ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია ქართული მძლეოსნობისთვის. ეს კი ის სპორტის სახეობაა, რომლის განვითარებაც დიდწილად განსაზღვრავს სხვა სახეობების შედეგიანობასაც. ამდენად, ოლიმპიური ჩემპიონის საქმიანი რჩევები ბევრად წადგება „სპორტის დედოფალს“. ბატონ რობერტს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ“.*

გია ნაცვლიშვილი, სეოკ-ის პრეზიდენტი: *„რომის ოლიმპიადაზე რობერტ შავლაყაძემ შეუძლებელი შეძლო - ფავორიტად მიჩნეულ ამერიკელ მხტომელებს აჯობა. ეს იგივეა, დღეს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ბრაზილიის ეროვნულ გუნდს რომ მოუგოს. ამიტომაც აღიქვეს თავის დროზე ქართველი მძლეოსნის წარმატება სენსაციად. ამ შორეული გადასახედიდანაც ის გამარჯვება მსოფლიო სპორტის ისტორიაში უნიკალურ მოვლენად მიგვაჩნია. ოლიმპიური ჩემპიონის მდიდარი გამოცილება ახალგაზრდა მძლეოსნებს დაოსტატებაში დაეხმარება“.*

ალექსი ახვლედიანი, მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: *„სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებს რობერტ შავლაყაძის წარმატება დღემდე საამაყოდ გვაქვს და მომავალშიც ასე იქნება. რომის ოლიმპიადის ოქროს მედლის მოპოვებით მან ქართველ მძლეოსნებს გზა გაუკაფა ოლიმპისკენ. 78 წლის მოუხედავად, იგი აქტიურად არის ჩართული ქართულ სპორტში და საქმიანი რჩევა-დარიგებებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მძლეოსნობის განვითარებაში“.*

რობერტ შავლაყაძე: *„ოლიმპიური ჩემპიონობა საოცარი გრძნობა და დიდი სიამაყეა. გამარჯვება კი უდიდესი შრომით მოდის. გარჯა და სიძნელეთა დაძლევა უნდა ვასწავლოთ ჩვენს ახალგაზრდებს და დარწმუნებული ვარ, წარმატებები კვლავაც მოვა. ბედნიერი ვარ, რომ არ ავიწყდებათ ჩემი წვლილი. დიდი მადლობა ყველას მოლოცვისთვის. სასიამოვნოა, როცა გაფასებენ. მომავალშიც „სპორტის დედოფლის“ გვერდით ვიქნები“.*

ვაჟა დანელია

● ბოგბურთი

ქართველთა ფინალი, ნახევარფინალი და მეოთხედფინალი

თუჯი ოკლაჰომა სიტის საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი დოლარი) პირველ წრეში **ნიკოლოზ ბასილაშვილს** (705) ურეიტინგო მეტოქის დაძლევა გაუჭირდა, მას მერვედფინალში პრობლემა არ ჰქონია რეიტინგში 300 ადგილით წინ მყოფ ბრიტანელ **ჯემი ბეიკერთან** (401) - 6:1, 6:2. ჩვენებური მეოთხედფინალში ბულგარელ **დიმიტარ კუტროვსკის** (562) შეხვდება. 19 წლის ქართველმა ერთეულთა თანრიგში წლეულს პირველად შეძლო მოგება.

მაკა ჩახნაშვილისა (232) და ხორვატი **ივანა ლისიაკის** (241) დუეტი წარმატებული გამოდგა. ეს გოგონები ერთად პირველად თამაშობენ და პირველივე ტურნირში ფინალში გავიდნენ, თან არც ტურნირია ურიგო - ესპანურ მონსონში საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ნახევარფინალში ქართველმა და ხორვატმა პირველ ნომრად განთესილი **მარია კამერინისა** (117) და **დარია კუსტოვას** (171) დუეტი დაამარაცხეს - 6:3, 6:2. მონსონის ფინალში მაკა და ივანა რუსებს - **ელენა ბოვინას** (221) და **ვალერია სავინიხის** (197) წყვილს ეთამაშებიან.

ეკა გორგოძე (552) ანთალიის ტურნირის ნახევარფინალშია. მე-4 ნომრად განთესილმა ქართველმა მესამე წრეში **ბეატრის სედერმარკი** (შვედეთი, 925) დაამარცხა - 6:7 (7), 6:4, 6:1. ახლა ქართველის მეტოქე შვედი **სანდრა რომაა**, რომელიც ამჟამად ურეიტინგოა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● პროფესიული კრივი

ქართველი დე საკრივო ელიტა

დიდი ხანი არ გასულა, რაც თბილისში **ავთანდილ ხურციძემ** საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი მოიპოვა. მართალია, კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია (იბო) არ არის ყველაზე პრესტიჟული პროფესიულ სამყაროში, მაგრამ ფაქტია, ქართველებს ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს და ის მართლაც საუკეთესოთა შორისაა.

კარგი მონაცემთა ბაზა აქვს საიტ „ბოქსრეკს“, რომელსაც უნიკალური რეიტინგებიც გამოჰყავს (მოგეხსენებათ, პროფესიულ კრივში ათამდე ორგანიზაცია ატარებს ბრძოლებს). ვნახოთ, როგორ აისახა თბილისური წარმატება „ჩაქუჩას“ რეიტინგზე. არც სხვა ქართველებს დავტოვებთ განზე.

„ბოქსრეკის“ მონაცემთა ბაზაში 88 პროფესიონალი ქართველი მოკრივეა აღრიცხული, მათგან 50-ს ქუცა მაინც აქვს - დაწყებული ხურციძიდან, რომელსაც 258 ქუცა დაუგროვდა, თითოქულიანი ბიჭებით დამთავრებული.

კიევში მოვარჯიშე 31 წლის ხურციძე მართლაც გამორჩეული მოკრივეა ქართველთა შორის. მან პროფესიულ რინგზე 27 ორთაბრძოლა გამართა, რომელთაგან 23 მოიგო (13 ნოკაუტით), 2 ფრედ დასრულა და 2 წააგო (1 ნოკაუტით). **მარიუშ სენდროვსკის** ქუცებით, მაგრამ დამაჯერებლად დამარცხებამ ქუთაისელი მოკრივე იბო-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. საშუალო წონაში რეგისტრირებულ 18 ქართველს შორის ის (ბუნებრივია) პირველია რეიტინგით, ხოლო მსოფლიოში (1173 რეგისტრირებულ მოკრივეს შორის) „ჩაქუჩა“ მე-16 გახლავთ.

ამ წონის მსოფლიო ლიდერი 36 წლის არგენტინელი **სერხიო მარტინესია** (51 ორთაბრძოლა, 47 გამარჯვება), რომელმაც 12 მარტს ვბს-ს ვერსიით საშუალო წონაში ბრილიანტის ქამარი მოიპოვა - მარტინესს 956 ქუცა აქვს. მეორეა ვბა-ს ჯილა, გერმანელი **ფელიქს შტურმი** (38-35) - 674 ქუცა, მესამე კი 30 წლის ავსტრალიელი **დანიელ ჯილი** (იბფ) - 524 ქუცა (25-24). ეს სამეული ქუცებით ბევრად უსწრებს დანარჩენებს, რომელთაც აქვე ჩამოვთვლით: 4. **ენდი ლი** (ირლანდია) - 383 ქუცა; 5. **ჰასან ნდამ ნჯიკამი** (საფრანგეთი) - 382; 6. **დმიტრი პიროგი** (რუსეთი) - 378; 7. **სებასტიან სილვესტერი** (გერმანია) - 376; 8. **გართ ვუდი** (ავსტრალია) - 336; 9. **დარენ ბარკერი** (ბრიტანეთი) - 313; 10. **მეთიუ მაკლინი** (ბრიტანეთი) - 312. მაგალითისთვის, პოლონელი სენდროვსკი, ვისაც ჩვენებურმა მოუგო „ბოქსრეკის“ რეიტინგში 77-ე ადგილზეა.

სხვა ქართველთაგან გამორჩეული მოკრივეაო, ვერავიზე ვიტყვით - 54 ქუცა აქვს ხურციძის წონაშივე მოასპარეზე **შალვა ჯომარდაშვილს** (32 ორთაბრძოლა, 28 გამარჯვება), რომელიც მსოფლიოში 101-ე ადგილზეა. გორელი ჯომარდაშვილი ჯერ 24 წლისაა.

40 ქუცა აქვს **ლევან ღვამიჩავას**, რომელიც ირლანდიურ კორკში ვარჯიშობს. 25 წლის ღვამიჩავა დიდი ხანი არაა, რაც მოყვარულებიდან გადავიდა პროფესიონალებში. ლევანი 63,5 კგ წონით კატეგორიაში გამოდის. მან რინგზე ჯერ სამი ორთაბრძოლა გამართა და სამივე მოიგო. მსოფლიო რეიტინგში ის თავის წონაში 159-ე ადგილზეა. ამდენივე (40) ქუცა აქვს კრეისერის წონაში მოასპარეზე **იაგო კილაძეს**, რომელიც დონეცკში ვარჯიშობს. ის ვბა-ს ინტერკონტინენტული ქამრის პატრონია. წონაში იაგო რეიტინგით 109-ეა.

მოკლედ, ჩამოვთვლით ქართული ათეულის სხვა წევრებსაც. **ვლადიმერ ტერაშვილი** (საშუალო წონა) - 37 ქუცა; **გიორგი თევდორაშვილი** (ქვემძიმე წონა) - 29; **სანდრო სიპროშვილი** (ქვემძიმე) - 27; **ვლადიმერ ჭანტურია** (მძიმე) - 25; **ბორის მდინარაძე** (საშუალო) - 23; **სერგო ვართანოვი** (ქვესაშუალო) - 22; **ლევან ჯომარდაშვილი** (კრეისერის წონა) - 22.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ავთანდილ ხურციძე

● ჭადრაკი

დაკარგული შანსი

ფრანგულ ექს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 7-7 ქუცით 12 დიდოსტატი ინარჩუნებდა მედლების მოპოვების რეალურ შანსს. მათ შორის გაბლდათ კონტინენტის პირველობების ნინა ორი წლის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც ბოლო 6 ტურში 5,5 ქუცა მოაგროვა. გუშინ იგი თეთრი ფიგურებით რუს **ვლადიმირ პოტკინს** ეთამაშა. მე-18 სვლისთვის ჩვენებურს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო, მეტიც - მომდევნო 8 სვლაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა და გამარჯვებაც მეტოქეს მოულოცა. პოტკინი 10 შესაძლებლიდან 8 ქუცით უნგრელ **იუდით პოლგართან** (მოლდოველი **ვიორელ იორდაჩესკუ** დაამარცხა) და პოლონელ **რადოსლავ ვოიტაშეკთან** (რუს **ილდარ ხაირულინს** სძლია) ერთად დანაურდა. 10 მოჭადრაკეს 7,5-7,5 ქუცა აქვს. ჯობავამ გუშინდელი მარცხით, ფაქტობრივად, მედლის მოპოვების შანსი დაკარგა. ახლა მთავარია, 23 საუკეთესოში მოხვდეს, რათა მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება დაიმსახუროს..

დანარჩენ ქართველთა მე-10 ტურის პარტიები ასე დამთავრდა: **ლევან ფანცულაია**-ვიქტორ ლაზნიჩკა (ჩეხეთი) 1:0, ზბინეკ ჰრაჩეკი (ჩეხეთი)-**თორნიკე სანიკიძე** 1:0, **დავით ლობჟანიძე**-პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 0:1, **ლუკა პაიჭაძე**-ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი) 1:0, **ლელა ჯავახიშვილი**-ზდენკო კოზული (ხორვატია) 1:0, **სალომე მელია**-სვეტლანა ჩერედნიჩენკო (უკრაინა) 0.5:0.5, **დავით ზარქუა**-ალენ ფეიარდი (საფრანგეთი) 1:0. მონაგარი: ჯობავა-7, ფანცულაია-6,5, ჯავახიშვილი, პაიჭაძე-6-6, სანიკიძე-5,5, მელია, ზარქუა, ლობჟანიძე-5-5 ქუცა.

დღეს ბოლო ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ემზარ ზენაიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს ემზარ ზენაიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

დავამტკიცოთ: 5 ქართველი 5 რუსზე ძლიერია

გასულ შაბათს საქართველოსა და ბელგიის ნაკრებები გავშიფრეთ, პლუს-მინუსები დავუწერეთ და მივიღეთ ქართველთა მცირე უპირატესობა - 81:79. იქვე მოგახსენეთ, რომ შაბათობით საქართველოს ნაკრებს რუსეთთან, სლოვენიასთან, უკრაინასთან და ბულგარეთთან შევახვედრებთ (ასევე ვირტუალურად). ეს გუნდები ხომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი მეტოქეები არიან.

დღეს დიდი მატჩია - საქართველო-რუსეთი. ვიქტორ სანიკიძემაც აღნიშნა, რომ ამ შეხვედრისთვის პოლიტკური სარჩულის დადება არამართებულია. ნაგება ტრაგედია ნამდვილად არ იქნება, რადგან საქართველოს ნაკრების მიზანი ევრობასკეტზე არა რუსეთის დამარცხება, არამედ ჯგუფიდან გასვლაა. რუსული გამოცემა „სპორტს.რუ-ს" ჟურნალისტმა ივარაუდა: რუსებისთვის ქართველებთან შეხვედრა რიგითი მატჩი იქნება, ქართველებისთვის კი ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშიო... ასეცაა, ქართველები სპორტულად ეცდებიან დამტკიცებას, რომ არა მხოლოდ 15/15-ზე (რაგბში), არამედ 5/5-ზეც რუსებზე უკეთესები ვართ. ეს კალათბურთელებმა ერთხელ უკვე დაამტკიცეს - ჩრდილოელი მეზობელი ამხანაგურ მატჩში 87:71 დაამარცხეს (2004 წელს).

I პერიოდი

ჩემპიონატი, ევროთასეგი, განწყობა

შევუდგეთ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების შედარებას და თითო მეოთხედში 40 ქულა ორად გავყოთ. ვნახოთ, ვის რამდენი ერგება.

რუსეთის პირველობის ორი წარმომადგენელი წლეულს ევროლიგაზე თამაშობდა. მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ ჩემპიონატების შედარებისას რუსეთს დიდი ფორა მივანიჭოთ.

„ხიმკი" და ცსკა - ევროლიგაზე, „უნიქსი" და „კრასნიე კრილია" (წითელ ფერს ვერ ელევიან) - ევროთასზე, ექვსი კლუბი - ევროჩელენჯზე. რუსული კლუბები საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის წინ შემადგენლობას სერიოზულად აძლიერებენ. მათ ჩემპიონატში რეალმოვლილი მეისი, სიენამოვლილი დომერკანტი და ეზე, კიდევ უამრავი ვარსკვლავი თამაშობს. მათ გვერდით თუნდაც ხვოსტოვი დიდ გამოცდილებას მიიღებს, იმაზე მეტს, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კალათბურთელები. თუმცა, ერთიც უნდა გავითვალისწინოთ: წამყვან რუსულ კლუბებში მთავარ როლს ლეგიონერები თამაშობენ.

რუსებიც და ქართველებიც კარგად მომზადებულები რომ შეხვდებიან ევრობასკეტს, წინასწარ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ. ფსიქოლოგიურ მომზადებაზე კი ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევჩერდეთ: საქართველოს ნაკრებისთვის პოლონეთთან 2010 წლის 2 აგვისტოს მატჩს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც აქაფებული შამპანურისთვის საცობის მოხსნას - იფეთქა, ძლიერი პოლონელების 19 ქულის სხვაობით დამარცხებამ ევროპა საქართველოზე აალაპარაკა. ასეთ მატჩებს ქართველები ყოველთვის გაორმაგებული ენერგიით თამაშობენ, თუმცა მთავარია ენერგია ჰქონდეთ და 20 აგვისტოს ბელგიასთან მატჩის მსგავსად გამოფიტულები არ იყვნენ. ვერავინ დამარწმუნებს, რომ უშუალოდ მატჩის წინ რუსები ქართველებზე მეტად შემართულები იქნებიან.

შევაჯამოთ პირველი მეოთხედი: ჩემპიონატსა და ევროთასებზე რუსებს დიდი უპირატესობა აქვთ, რასაც ოდნავ ანეიტრალებს ფსიქოლოგიური ფონი. 40 ქულიდან რუსეთს პირობითად 29 მივანიჭოთ, საქართველოს - 11.

II პერიოდი

უკანახაზელები

პირველ რიგში **ჯეი არ ჰოლდენი** უნდა ვახსენოთ, რომელმაც 2007 წლის ევრობასკეტის ფინალში რუსეთის ნაკრებს გადამწყვეტი ორქულიანით ჩემპიონობა მოაპოვებინა. ჰოლდენი ახლა 34 წლისაა, მოსკოვის ცსკა-ში თამაშობს და რუსეთის ნაკრებში დაუბრუნების სურვილიც საჯაროდ დააფიქსირა.

რუსეთის ნაკრების უკანახაზელთა სტატისტიკას გავეცნოთ:

ჯეი არ ჰოლდენი (ცსკა, რუსეთი): 14თ, 31.5წთ, 10.1ქ, 3.4პ.

სერგეი ბიკოვი (ცსკა, რუსეთი): 18თ, 13.5წთ, 4.6ქ, 1.1პ.

ვიტალი ფრიზონი („ხიმკი", რუსეთი): 15თ, 23.2წთ, 10.7ქ, 1.9პ.

დიმიტრი ხვოსტოვი („დინამო", რუსეთი): 18თ, 32.9წთ, 9.3ქ, 4.4პ.

ანტონ პონკრაშოვი („პეტერბურგი", რუსეთი): 18თ, 33.3წთ, 12.9ქ, 5.5პ.

რუსეთის ნაკრებს სამი კარგი უკანახაზელი ჰყავს: პონკრაშოვი, ფრიზონი და ჰოლდენი, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრინი, მარკოიშვილი და ცინცაძე (შევთანხმდით, რომ შედარებისას ორივე გუნდის კალათბურთელები სათანადო ფორმაში უნდა იყვნენ) რუს თანაამპლუელებს თუ არ სჯობიან, არც ჩამოუვარდებიან.

შეიძლება, ვინმემ თქვას - ჰოლდენი ყველა ჩვენს უკანახაზელს გადაწონისო. შეიძლება ასეც ყოფილიყო 2007 წელს, მაგრამ ახლა იგი 34 წლისაა. თუ იგი საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ გრინს გამოცდილებით სჯობნის, სისხრაფეში უპირატესობა ტორინის მხარესაა.

ჩემი აზრით, უმნიშვნელო უპირატესობა მაინც ქართველ უკანახაზელთა მხარესაა - 21:19. პირველი ტაიმის ანგარიშია 48:32.

III პერიოდი

ფორვარდები

დაისვენეთ? მაშ, ფორვარდებს მივხედოთ.

ანდრეი ვორონცევიჩი (ცსკა, რუსეთი): 17თ, 21.9ქ, 5.6მ.

სერგეი მონია („ხიმკი", რუსეთი): 17თ, 31.1წთ, 12.1ქ, 6.2მ.

ანდრეი კირილენკო („იუტა", NBA): 64თ, 30.8წთ, 5.1მ, 3.0პ.

რუსების იმედი NBA-ს ვარსკვლავი **ანდრეი კირილენკოა**, რომელმაც 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე არ ითამაშა და ჯერ არ უთქვამს, დაეხმარება თუ არა ნაკრებს 2011 წლის ევრობასკეტზე.

სერიოზული ტრავმა აქვს **ვიქტორ ხრიაპას**, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში თამაშობდა.

გვრჩება ორი მაღალი დონის ფორვარდი: **ანდრეი ვორონცევიჩი** და **სერგეი მონია**.

- თუ რუსეთის ნაკრებს კირილენკო დაუბრუნდება, წინ ვერავინ დაგვიდგება, - დაიმუქრა რუსების მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა.**

ჩემი აზრით, კირილენკომ რომც ითამაშოს, საქართველოს ნაკრებზე ძლიერი ფორვარდთა ხაზი მაინც არ ეყოლება - ჩვენს გუნდში მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ანდრეის მეურვეობას იკისრებენ, აკი თქვა 2005 წელს გერმანიის ნაკრების თავკაცმა **დირკ ბაუერმანმა**: **ნოვიცკის** წინააღმდეგ **ვლადიმერ ბოისამ** რომ ითამაშა, ასე ბევრს არ შეუძლიაო.

იტალია. 2004 წელი

საქართველო	**87**
რუსეთი	**71**

15:18, 30:21, 21:17, 21:15

საქართველო: უილიამსი (26ქ, 7პ), მარკოიშვილი, სანიკიძე (11ქ, 7მ), ვ. ბოისა (30ქ, 5მ), ფაჩულია (19ქ, 21მ), ცინცაძე (1ქ), ტუღუში, ბერძენიშვილი.

რუსეთი: პადიუსი (14ქ), მონია (14ქ), ტოპოროვი (11ქ), დიაჩოკი (9ქ), მიხაილოვი (6ქ), პენკინი (6ქ), ზოზულინი (4ქ), სავრასენკო (3ქ), ეოხმიანინი (3ქ), მორგუნოვი, სამოილენკო.

რუსები ნერენ, ქართველებთან არ გვითამაშიაო... ჩვენ კი ნამდვილად ვერასოდეს დავივიწყებთ იტალიის ქალაქ სან ჯორჯოს ტურნირზე გახსნით მატჩში რუსეთთან დამაჯერებელ მოგებას და მათი მთავარი მწვრთნელის **სერგეი ბაბკოვის** *ნათქვამს:*

- მესმის, რომ ქართველებთან წაგება გულშემატკივრებს გააკვირვებს, მაგრამ მათმა ლიდერებმა შთამბეჭდავად ითამაშეს: ფაჩულია ამერიკიდან ჩამოვიდა და 21 მოხსნა მოაგროვა, უილიამსმა ამერიკული დრიბლინგებით დიდი პრობლემები გაგვიჩინა, ხოლო სლოვენიის „ოლიმპიას" ლიდერმა ბოისამ 30 ქულა ჩააგდო.

ეგება ზოგი არ დაგვეთანხმოს, მაგრამ ვფიქრობ, ფორვარდებშიც მცირე უპირატესობა გვაქვს - 21:19.

IV პერიოდი

ცენტრები და მწვრთნელები

შევაჯამოთ სამი ათწუთეული: 11:29, 21:19, 21:19. მეოთხე პერიოდის წინ რუსეთი 14 ქულის სხვაობით იგებს (67:53). ვნახოთ, ცენტრები და მწვრთნელები თუ აღმოფხვრიან ასეთ დეფიციტს.

ტიმოფეი მოზგოვი („ნიუ იორკი"/"დენვერი", NBA): 42თ, 12წთ, 3.7ქ, 2.7მ.

საშა კაუნი (ცსკა, რუსეთი): 6თ, 19.7წთ, 6.5ქ, 2.8მ.

კაუნს ტრავმა ჰქონდა და ამ სეზონში ცსკა-სთან ერთად თებერვლის შემდეგ თამაშობს. მოზგოვი კი პირიქით: სეზონის დასაწყისში „ფინიქსში" კარგად ირჯებოდა, შუა სეზონში „დენვერში" გადავიდა და ზოგჯერ საერთოდ არ უწევს მოედანზე გამოსვლა.

რუსებს **ტიმოფეი მოზგოვის** იმედი აქვთ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ **ზაზა ფაჩულიასთან** ჭიდილში მოზგოვსაც ისეთი ბედი ეწევა, როგორიც 2 აგვისტოს პოლონელ **გორტატს** (რომელსაც ამ სეზონში, NBA-ში მოზგოვზე უკეთესი სტატისტიკაც აქვს და ფაჩულიაზეც). მით უმეტეს, რომ წინა სეზონში ტიმოფეის „პანათინაიკოსი"-"ხიმკის" მატჩისას **გიორგი შერმადინმაც** დიდი თავსატეხი გაუჩინა. მას მერე გიორგიმ სერიოზული პროგრესი განიცადა. მისი და ფაჩულიას დუეტი მოზგოვი-კაუნისას ნამდვილად სჯობს. გავთამამდები და სხვაობას ასეთ სახეს მივცემ: 15:5 ჩვენს სასარგებლოდ.

მატჩის ბოლო ხუთ წუთში მწვრთნელებზე შევჩერდეთ. დევიდ ბლატი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. სწორედ მისი დამსახურებაა, რუსებმა 2007 წელს ევრობასკეტი რომ მოიგეს, ხოლო შარშანდელ მსოფლიოზე მეშვიდე ადგილი დაიკავეს - სტანდარტული (ერთი-ორის გამოკლებით) კალათბურთელებისგან მონოლითური გუნდი შეკრა. ცხადია, ბლატს **იგორ კოკოშკოვთან** შედარებით უპირატესობა აქვს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოკოშკოვს საქართველოს ნაკრების თამაშის მოწესრიგებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

ბლატი-კოკოშკოვი - 11:9.

რუსეთი საქართველოს ასპარეზზე

ერთვალი

1993 - ჯგუფში ბრონზა
1995 - მე-7 ადგილი
1997 - მე-3 ადგილი
1999 - მე-6 ადგილი
2001 - მე-5 ადგილი
2003 - მე-8 ადგილი
2005 - მე-8 ადგილი
2007 - 1-ლი ადგილი
2009 - მე-7 ადგილი

74 მატჩი, 46 მოგება, 28 წაგება.

მსოფლიო ჩემპიონატი

1994 - ჯგუფში ჩარჩა
1998 - ჯგუფში ჩარჩა
2002 - მე-10 ადგილი
2010 - მე-7 ადგილი

ოლიმპიადა

2000 - მე-8 ადგილი
2008 - მე-9 ადგილი

მწვრთნელებისა და ცენტრების შედარების შედეგად მეოთხე პერიოდი 24:16 მოვიგეთ.

ვირტუალური მატჩის საბოლოო ანგარიში ასეთია: 83:77, მოიგო რუსეთმა. ასე რომ, „საგაზეთო თამაშში" საწყისი ორი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს თითო მოგება-წაგება აქვს. მომდევნო შაბათს ჩვენი ვირტუალური მეტოქე სლოვენიაა.

ვერ წარმოიდგენთ, ამ პუბლიკაციაზე მუშაობისას როგორ მინდოდა რუსების დამარცხება. წერა ხალისით დავიწყე და უხალისოდ დავამთავრე... მაგრამ მჯერა, რომ ჩვენი კალათბურთელები ყოველგვარ ლოგიკას „დაამსხვრევენ", თავს ზემოთ და ფარსზემოთ ახტომაც შეუძლიათ, დაამტკიცებენ, რომ 5 ქართველი 5 რუსზე ძლიერია.

...დიდ ფორას მოგვცემს კირილენკოს არყოფნაც. არც ჰოლდენის თამაშია გადაწყვეტილი.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

1 აპრილი (ქუთაისი)
ქუთაისი – დინამო 18:00

1 აპრილი (რუსთავი)
ენერჯი – შსს 18:00

სპორტის ხახახეე

2 აპრილი
არმია – ბათუმი 12:00
სტუ – თსსუ live 14:00
თსუ – სსაუ 16:00

2004 წლის
22 ივლისი.
საქართველო-რუსეთი.
ფაჩულიამ
21 მოხსნა ჩაინერა

სუპერლიგა. XX ტური

1 აპრილი. რუსთავი

ენერჯი-შსს 68:90

15:23, 15:19, 18:19, 20:29

ენერჯი: მაჭავარიანი (16ქ, 3პ), აბაიშვილი (14ქ, 6პ), გუგავა (12ქ), ლამუ (16ქ, 10მ), თვარაძე, არაბული (5ქ, 8მ, 3პ, 4ჩ), აბულაძე (5ქ, 4პ), ობგაიძე, გ. ბერუაშვილი.

შსს: ლაფანაშვილი (7ქ), ბ. ლეჟავა (16ქ), ნიკოლაძე (5ქ), ი. ბერიშვილი (4ქ), კოტონი (13ქ, 4პ), მარკოიშვილი (8ქ), ტუჯანი (4ქ), დ. ბარბაქაძე (18ქ, 6მ), შერმადინი (6ქ), დეკანოიძე (2ქ), ნიჭინავაძე (7ქ, 9პ), სუხიშვილი.

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე.

კომისარი: გ. სანაძე.

1 აპრილი. ქუთაისი

ქუთაისი-დინამო 93:70

25:19, 12:14, 31:20, 25:17

ქუთაისი: კვერნაძე (2ქ), ბაბუნაშვილი, დიდია (17ქ, 10პ, 5მ), კვიმსაძე (11ქ, 3პ), ტუკვაძე (12ქ, 8მ), ლომინაშვილი (9ქ, 9მ), გ. ბარბაქაძე (27ქ, 6მ, 4ჩ), ცეკვავა (2ქ), ვ. კოლუაშვილი (16ქ, 1მ, 3ჩ), ქორიძე (5ქ), კუჭავა (2ქ).

დინამო: ივანეიშვილი (14ქ, 5მ, 3პ, 2დ), ეძგვერაძე (5ქ, 6მ, 7პ, 3ჩ), პატარაია (9ქ), თვაური (2ქ), გლუნჩაძე (2ქ), ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (8ქ), თავამაიშვილი (8ქ), გულდედავა, ჩაველაშვილი (11ქ), გ. კოლუაშვილი (11ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე.

კომისარი: რ. ხომერიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

ექვსი საგზურისთვის ცხრა იბრძვის

გიორგი ჟღენტი (მარცხნიდან მეორე)

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. პლეი ოფის ექვს საგზურზე პრეტენზიას ერთბაშად ცხრა გუნდი აცხადებს. მათ შორისაა ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი, „კასტრი", „მონპელიე", „კლერმონი" და „ტულონი". სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაურკვეველია, შეინარჩუნებენ თუ არა დივიზიონში ადგილს სხვა „ქართული გუნდები", „აუენი" და „ბრივი".

23-ე ტურმა, წესით, ბევრ კითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი. თავდაპირველად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლთა შესახებ ვისაუბროთ. **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი", რომელიც 37 ქულით მე-12 ადგილზეა, უშუალო კონკურენტს, ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ლა როშელს" მასპინძლობს, რომელსაც 33 ქულა აქვს.

ლაროშელელებისთვის ეს მატჩი ფინალის ტოლფასია. ჩვენებურთა გუნდთან მარცხის შემთხვევაში ჩამორჩენა მინიმუმ რვა ქულას მიაღწევს, რისი აღმოფხვრაც მათთვის ძალიან რთული, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება.

„ბრივს", რომელმაც ბოლო ხანს თავის თამაშს მიაგნო და მძლავრად ათამაშდა აუცილებლად მოგება სჭირდება. მით უფრო, რომ მომდევნო ორ ტურში უმძიმესი მატჩები ელის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან, „ბიარიცთან" და „მონპელიესთან".

ამ გუნდების შეხვედრა პირველ წრეში „ლა როშელმა" მოიგო 26:21. ხინჩაგიშვილი და კაკოვინი განაცხადში არიან.

planetrugby-ს პროგნოზით, „ბრივი" მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებს.

ბრიველებზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს **ბექა შეყლაშვილის** „აუენს", რომელიც 38 ქულით მე-11 ადგილზეა. აუენელები 23-ე ტურში უმასპინძლებენ **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრს", რომელსაც 63 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე საფეხური უჭირავს.

კასტრელები გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფის საგზურს, ფაქტობრივად, გაინაღდებენ. თუმცა ჩვენებურთა გუნდს, რომელმაც ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, ამის მიღწევა ძალიან გაუჭირდება, რადგან „აუენი" ბოლო ტურებში შესანიშნავად ასპარეზობს და საკუთარ მოედანზე ასევე ოთხჯერ მოიგო.

აუენელებმა 22-ე ტურში შინ გმირულ ბრძოლაში დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონი „კლერმონი". იქამდე კი მურად ბურჯელალის ვარსკვლავურ „ტულონს" სძლიეს. ერთი სიტყვით, ადვილი შესაძლებელია მათ კიდევ ერთი ლიდერიც დაამარცხონ, რითაც საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას.

შეყლაშვილი განაცხადშია, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გიორგაძე არ ითამაშებს. პირველ წრეში „კასტრმა" შინ დიდი ანგარიშით 38:11 მოიგო.

planetrugby-ს მიაჩნია, რომ თამაში ძალიან მძიმე იქნება და მინიმალური სხვაობით სტუმრები მოიგებენ.

„კასტრის" გარდა პლეი ოფში მოხვედრის შესანიშნავი შანსი აქვს **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს", რომელიც 61 ქულით მე-5 ადგილზეა და სტუმრად ეთამაშება სრულიად უმოტივაციო, დივიზიონიდან უკვე გავარდნილ „ბურგუენს".

მონპელიელებმა წინა, 22-ე ტურში უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხეს შინ „სტად ფრანსე", რამაც მათი შანსი, გუნდის ისტორიაში პირველად ითამაშოს პლეი ოფში, ერთიორად გაზარდა. „მონპელიეს" სამი კვირით დაკლდება ლიდერი და კაპიტანი **ფულენსე უოდრაოგო,** არ ითამაშებს ასევე ფულბეკი ბენჟამინ ტიერი. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათმა არყოფნამ მატჩის შედეგზე რაიმე გავლენა იქონიოს.

გორგოძე და ჟღენტი, რომლებიც ბოლო შეხვედრებში „მონპელიეს" ლიდერები არიან, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ, შველიძე სათადარიგოთა შორის იქნება, ჩხაიძე განაცხადში არ არის. პირველ წრეში „მონპელიემ" შინ 28:3 მოიგო.

planetrugby-ს პროგნოზით „ბურგუენი" სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გასწევს. „მონპელიე" მინიმუმ 15 ქულით მოიგებს.

წლეულს უჩვეულოდ ცუდად ასპარეზობს საფრანგეთის ჩემპიონი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი". „ვულკანებმა" რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე 58 ქულა დააგროვეს და მე-7 ადგილზე არიან. თუმცა პლეი ოფში მოხვედრა მაინც შეუძლიათ. იქ კი ყველაფერი თავიდან იწყება. ამდენად, კლერმონელების ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

„ზირაქას" გუნდი დღეს ბასკურ „ბიარიცს" დაუპირისპირდება, რომელიც 62 ქულით მე-4 ადგილზეა. თამაში საკმაოდ რთული გამოვა, რადგან ორივე გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია. მასპინძელთა გუნდში ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ დავით ზირაქაშვილი, **გონსალო კანალე, ტიბო პრივა, ორელიან რუჟრი, ბრენტ რასელი, გევინ ვილიამსი, ჟულიენ მალზიო** და **ჯიმი კუდმორი.** თუმცა უკვე ჯანმრთელად არიან და ითამაშებენ პირველხაზელები **ტომა დომინგო** და **მარტინ სკელცო,** ასევე მესამეხაზელი **ალექსანდრ ოდობერტი.**

არანაკლები პრობლემები აქვს „ბიარიცს". „ვულკანების" წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ საფრანგეთის ნაკრების წევრები **დიმიტრი იაშვილი, იმანოლ არინორდოკი** და **დამიენ ტრაი.**

პირველ წრეში ბასკებმა 16:13 მოიგეს.

planetrugby-ს მიაჩნია, რომ რადგან „კლერმონი" შინ დაუმარცხებელია, ამჯერადაც, მინიმუმ რვა ქულით „ვულკანები" მოიგებენ.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონს", რომელიც 56 ქულით მე-8 ადგილზეა, დარჩენილ შეხვედრებში ნაგების უფლება აღარ აქვს. ნინა ტურში, სტუმრად „კასტრთან" მარცხის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა მოთამაშეებს პირველად უსაყვედურა. „დროა მორაგბეებმა პასუხისმგებლობა იკისრონ, ბოლოს და ბოლოს, როდისღა უნდა გაამართლონ ის, რომ მაღალი ანაზღაურება აქვთ"- თქვა მან.

ტულონელები 23-ე ტურში შინ „სტად ფრანსეს" ეთამაშებიან, რომელსაც პლეი ოფში მოხვედრის შანსი აღარ აქვს და არც დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება.

ქუბრიაშვილი განაცხადში იქნება. პირველ წრეში „სტად ფრანსემ" 22:15 მოიგო.

planetrugby-ს პროგნოზით, მინიმუმ 10 ქულით „ტულონი" მოიგებს.

XXIII ტური

პერპინიანი-ტულუზი, ბაიონი-მეტრო რასინგი, ბრივი-ლა როშელი, ბურგუენი-მონპელიე, ტულონი-სტად ფრანსე, კლერმონი-ბიარიცი, აჟენი-კასტრი

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 69 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 68, 3. კასტრი - 63, 4. ბიარიცი - 62, 5. მონპელიე - 61, 6. პერპინიანი - 58, 7. კლერმონი - 58, 8. ტულონი - 56, 9. ბაიონი - 54, 10. სტად ფრანსე - 49, 11. აჟენი - 38, 12. ბრივი - 37, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუენი - 10.

ბურთით მამუკა გორგოძე

საქართველოს თასი

აკადემია-აია, 2010 წელი

მეოთხედფინალში, როგორც პირველ ჯერში

საქართველოში საშინაო სეზონი ერთი კვირის წინ „შევარდენის სანაკრებო" ბაზაზე გამართული შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპით გაიხსნა. დღეს კი საქართველოს თასის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. ამ ტურნირში გადატვირთული სეზონის გამო წლეულს მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდები იასპარეზებენ.

საინტერესოა, რომ წილისყრამ გუნდები ისე დააწყვილა, როგორც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელიც ერთი კვირის თავზე, 9 აპრილს გაიმართება.

მეოთხედფინალში ყველაზე დიდ ინტერესს ქვეყნის ჩემპიონის „ლოკომოტივისა" და დებიუტანტის, ახლად შექმნილი „არმიას" დაპირისპირება იწვევს. რკინიგზელებს წლევანდელი სეზონის წინ მატება აქვთ. გუნდში უცხოეთიდან დაბრუნდა შუამარბი **ლუკა ხაჩირაშვილი.** თითქმის სრულად შეინარჩუნეს შერკინება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და მობილურია.

აქვე „ლოკომოტივმა" რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე შარშან პირველ ლიგაში მოასპარეზე „ივერიადან" დაიმატა -**გიორგი ვეფხვაძე, ნიკოლოზ კაზალიკაშვილი, ირაკლი სვანიძე** და **ხვიჩა ბუჯიაშვილი.**

კვლავ მნყობრში არიან და წლეულსაც გუნდის წამყვანი მოთამაშეები იქნებიან, შერკინების კვაჭი **დავით გასვიანი,** მგეზავი **ბობა კვინინიძე** და მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე,** რომელიც ახლახან ინგლისში გამართულ ტურნეში, „მომავლის ბორჯღალოსანთა" შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ყველა დიდი ინტერესით ელოდება „არმიას" დებიუტს. გამომცდელი ამ ახლად შექმნილ გუნდს სერიოზული ჰყავს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არმიელებმა ძალზე ძლიერ შემადგენლობას მოუყარეს თავი.

მათ რიგებში წლეულს საქართველოს ნაკრების სამი მორაგბე ითამაშებს. **ბიძინა სამხარაძე** და **ირაკლი ნატრიაშვილი** საქართველოში რუმინეთის „ფარულიდან" დაბრუნდნენ, **ჯაბა ბრეგვაძე** კი „არმიაში" თბილისის „ყოჩებიდან" გადავიდა. ძალზედ მნიშვნელოვანი შენაძენია არმიელთათვის **გიორგი ელიზბარაშვილი** (აკადემია), **მამუკა ნინიძე** (ბათუმი XV), მამუკა ცხადაძე (ხარები) და გიორგი კალმახელიძე (ყოჩები).

„არმიას" მთავარ მწვრთნელად საქართველოს A ნაკრების თავკაცი **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** დაინიშნა, მისი თანაშემწეები იქნებიან **ლევან (ლეონსიო) ცაბაძე, კახა კობახიძე** და **ბადრი ბოხუა.** ამ უკანასკნელის გარდა ყველა მოთამაშე მნვრთნელები არიან. გუნდს კიდევ ერთი ვეტერანი ჰყავს, საქართველოს ნაკრების ყოფილი გარემარბი **არჩილ ქავთარაშვილი.**

არმიელთა რიგებში სხვა ბევრი საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა მოთამაშეებიც არიან და, სავარაუდოდ, წლეულს ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნებიან.

საქართველოს თასის ამჟამინდელი მფლობელი „ლელო" „არმაზს" ეთამაშება. ლელოელებმა სეზონის წინ სატრანსფერო პოლიტიკა, ფაქტობრივად, არ აწარმოეს. გუნდს მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე დაემატა ჭაბუკთა A ლიგიდან. ტრავმები მოიშუშეს და „ლელოს" დაუბრუნდნენ გარემარბი **სანდრო თოდუა** და მგეზავი **ლაშა ხმალაძე,** რომლებიც საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან.

თუ შემადგენლობას თვალს გადავავლებთ, ყველაზე უარეს მდგომარეობაში „არმაზია". გუნდის ხელმძღვანელებმა მოახერხეს ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და რამდენიმე თავისივე აღზრდილი ახალი მოთამაშეც დაიმატეს. ერთი სიტყვით, „არმაზი" ყოველთვის ბოლომდე მებრძოლი გუნდი იყო და არც წლეულს დაუთმობს ვინმეს რამეს.

საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართება ვანში, სადაც ქუთაისის „აია" რუსთავის „ხარებს" უმასპინძლებს. ქუთათურებს ამბიცია არასდროს აკლდათ და წლეულსაც მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ. „აიას" ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი საფრანგეთიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების შუამარბი **ირაკლი გიორგაძეა.**

საკმაოდ სერიოზული მატება აქვს „ხარებსაც", რომელმაც შარშან, „აიასგან" განსხვავებით, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე შესანიშნავად ჩაატარა და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდი იყო. რუსთაველებს წლეულს საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრები, მგეზავი **პალიკო ჯიმშელაძე** და მეორეხაზელი **კახაბერ უჩავა** გააძლიერებენ.

თანაბარი ბრძოლაა მოსალოდნელი „ყოჩებისა" და „ აკადემიის" დაპირისპირებაში. „ყოჩებმა" წლეულს სამი წამყვანი მოთამაშე დაკარგეს. ბრეგვაძის და კალმახელიძის შესახებ უკვე ვთქვით. კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, მგეზავი **თემურ სოხაძე** პირველლიგელ „ბათუმი XV"- ში გადაბარგდა.

„აკადემიამ" კი მხოლოდ გიორგი ელიზბარაშვილი დაკარგა. გუნდის მთავარი პრობლემა, ბოლო დროს, მოკლე სათადარიგო სკამი იყო, რომელიც, წესით, წლეულს უნდა აღმოიფხვრას, რადგან აკადემიელთა განაცხადში ბევრი ახალგაზრდა მორაგბეა, რომლებიც ასაკობრივი ნაკრებების წევრები არიან.

მეოთხედფინალი

ყოჩები-აკადემია, ლოკომოტივი-არმია, აია-ხარები, ლელო-არმაზი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის აზიური სახეობები

სეპაკ ტაკრაუ

სეპაკ ტაკრაუ აზიური თამაშია, რომელსაც ტაილანდში ტაკრაუს ან ტაკროს ეძახიან, ფილიპინებზე - სეპაკს, ხოლო მალაიზიაში - სეპაკ რაგას. სახელწოდება „სეპატ ტაკრაუ“ 1965 წელს სამხრეთაზიურ თამაშებზე დადგინდა („სეპაკ“ მალაიზიურად დარტყმას ნიშნავს, ხოლო „ტაკრაუ“ ტაილანდურად - ბურთს).

სეპაკ ტაკრაუს თამაშობენ რატანის ფოთლებისაგან დაწნული სფერული ბურთით, რომლის გარშემოწერილობა 40 სანტიმეტრია, ხოლო წონა - 28 გრამი. ბადე მინიდან 155 სმ-ის სიმაღლეზე, ძელებზეა დამაგრებული. მოედნის ზომებია 13,41X6,71 მ. შეხვედრაში მონაწილეობს ორი 3-3 კაციანი „რეგუ“, ანუ გუნდი. ერთი მოთამაშე, რომელსაც ტეკონგი ჰქვია, დგება მთავარი ხაზის პირას, ნახევარწრესთან; მეორე მოთამაშეა აპიტ კირი, ანუ თავდამსხმელი, ხოლო მესამე - ჩამწოდებელი. სეპაკ ტაკრაუს წესები ბადმინტონისა და ფრენბურთის წესების ნაზავია, თუმცა ხელით თამაში აკრძალულია. გუნდი, რომელსაც თამაშის მსვლელობისას ბურთი მოედანზე დაუვარდება, ქულას კარგავს. ჩანოდება ხდება დარტყმით. ბურთის ბადის იქით გადაგდება თავითაც შეიძლება. გუნდს უფლება აქვს თავის მოედანზე ბურთს სამჯერ შეეხოს, მეოთხე შეხებისას კი ის აუცილებლად მეტოქის ნახევარზე უნდა გადაგდოს. გეიმი 15 ქულამდე გრძელდება. გამარჯვებისთვის საჭიროა სამიდან ორი სეტის მოგება.

რაიმე ცნობა სეპაკ ტაკრაუს წარმოშობის შესახებ შემორჩენილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსგავსი თამაშები არსებობდა და ვითარდებოდა ტაილანდში, ფილიპინებზე, მალაიზიასა და ბირმაში. ლეგენდების მიხედვით, ყველაზე ძველია სეპაკ ტაკრაუს მალაიზიური ვარიანტი, რომელსაც თითქოსდა მითური გმირი ჰანგ ტუაჰი თამაშობდა. ძველი მალაიზიური ვერსიით, მოთამაშეები წრეს კრავდნენ და ცდილობდნენ, მოწინააღმდეგეზე დიდხანს ეთამაშათ ისე, რომ ბურთი მინაზე არ დავარდნოდათ. ზოგჯერ შეჯიბრება ორ კაცს შორის ტარდებოდა. მოგვიანებით, კოლონიზაციის ეპოქაში, სეპაკ ტაკრაუს ბრიტანელებიც გაეცნენ.

1982 წლიდან სეპაკ ტაკრაუ აზიური თამაშების პროგრამაშია. მას ბევრი მოყვარული გამოუჩნდა ევროპაშიც, კერძოდ, გერმანიაში, ფინეთში, ჰოლანდიაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში, თუმცა ეს თამაში განსაკუთრებით პოპულარულია სინგაპურსა და მალაიზიაში.

2008 წელი. ჰეკინი (ჩინეთი) XXIX ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი

საინტერესო ამბები

1658 წელს ლორდო-პროტექტორ ოლივერ კრომველის მმართველობისას ინგლისში აიკრძალა „სპორტის წიგნით“ კვირაობით ნებადართული თამაშები და შეჯიბრებები. ასევე აიკრძალა დოღიც.

ტოკიოში ოლიმპიური ჩირაღდნიდან თამაშების ცეცხლი აანთო იაპონელმა ჭაბუკმა **ი. საკაიმ,** რომელიც სწორედ იმ დღეს დაიბადა, როცა იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში სამჯერ გადაიდო ეს კომპლექსური სპორტული ასპარეზობა მსოფლიოს მომცველი ომების გამო. ეს მოხდა 1916, 1940 და 1944 წლებში (რიგითობა არ დარღვეულა). თუმცა ოლიმპიზმმა ინვნია ბოიკოტი 1980 და 1984 წლებში.

თარიღი. 2 - 8 აპრილი

02. 1927 წ. დაიბადა **ფერნეც პუშკაში**-ფეხბურთი (უნგრეთი)

03. 1905 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა)

03. 1975 წ. ქადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონად გამოაცხადა **ანატოლი კარპოვი,** რადგან ამ ტიტულის მფლობელმა **ბობი ფიშერმა** უარი განაცხადა პრეტენდენტთან თამაშზე.

05. 1927 წ. ამერიკელმა მოცურავემ და მსახიობმა **ჯონი ვაისმიულერმა** სხვადასხვა დისტანციაზე გაცურვისას მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა.

05. 2008 წ. აზერბაიჯანის საფეხბურთო ნაკრებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა **ბერტი ფოგთსმა.**

06. 1896 წ. ათენში საზეიმოდ გაიხსნა თანამედროვეობის I ოლიმპიური თამაშები.

08. 1950 წ. დაიბადა **გუეგოჟ ლიატო**-ფეხბურთი (პოლონეთი)

08. 1979 წ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი გახდა.

ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

1. თუ თამაშგარე მდგომარეობაში მყოფ ფეხბურთელს მეტოქის მცველი წააქცევს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მსაჯი?

ა — გააფრთხილებს დამნაშავეს
ბ — გააძევებს დამნაშავეს
გ — დანიშნავს თერთმეტმეტრიანს

2. რომელ წელს აშენდა ბრაზილიაში მსოფლიოში უდიდესი სტადიონი „მარაკანა“?

ა — 1948 წელს
ბ — 1950 წელს
გ — 1956 წელს

3. სად ჩატარდა ფეხბურთში 1950 წლის ჩემპიონატი?

ა — ბრაზილიაში
ბ — შვეიცარიაში
გ — შვეიცარიაში

4. მონაწილეობდა თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) გუნდი ჰელსინკის (1952წ) ოლიმპიურ თამაშებში?

ა — მონაწილეობდა გდრ-თან ერთად
ბ — მონაწილეობდა ფიფას დროშით
გ — არ მონაწილეობდა

5. რომელი მეკარე შეიყვანეს მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში?

ა — მორო, იტალია
ბ — ბარბოსა, ბრაზილია
გ — სპენსონი, შვეიცია

ᲞᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲥᲐ

... ყველი საჭადრაკო მატჩი თუ ტურნირი დიდ ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალას მოითხოვს. ხანში შესულ მოჭადრაკეს კი ხშირად საამისოდ ენერგია არ ჰყოფნის. 1954 წელს მოსკოვის XI საჭადრაკო ოლიმპიადის ერთ-ერთ ტურში საფრანგეთის ნაკრების თავკაცი დიდოსტატი **ოსიპ ბერნშტაინი** დანიელ მოჭადრაკეს, ცნობილ დიდოსტატს **ბენტ ლარსენს** შეხვდა და შუა თამაშში... ჩაეძინა. ლარსენი იძულებული გახდა მსაჯებისათვის მიემართა. არბიტრებმა გაალვიძეს ბერნშტაინი და სთხოვეს თამაში გაეგრძელებინა.

რა არ ხდება ჭადრაკში ...

უნგრელ მოჭადრაკეს **შტრეკს** პარტიის თამაშში ჩაეძინა. მას ეზმანა, რომ ორთაბრძოლა ბრწყინვალე შეწირვით მოიგო, რისთვისაც მაყურებელმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. „გამარჯვებულს“ მალე გაეღვიძა და ის იყო წასასვლელად მოემზადა, რომ მეტოქის ხმა მოესმა: „მაესტრო, თქვენი სვლაა!“ დაბნეულმა შტრეკმა მეტოქეს უპასუხა, პარტია უკვე დამთავრდა და მის გარჩევას არ დავიწყებო!

ᲞᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ...

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. გამოჩენილი მოჭადრაკე და თეორეტიკოსი; 5. საბჭოთა პერიოდის ცნობილი ტანმოვარჯიშე, ნელი... ; 7. გამოჩენილი ინგლისელი საფეხბურთო მწვრთნელი; 9. საბჭოთა პერიოდში დიდი კომპლექსური სპორტული შეჯიბრება; 10. ნარდის თამაშში საპატიო მოგება; 11. თანამედროვეობის უმსხვილესი სპორტული ასპარეზობა; 13. ფეხბურთელ ალექსანდრე იაშვილის მეტსახელი; 14. ავტომობილის სიჩქარის მაჩვენებელი ხელსანყო; 17. ყოფილი ბელგიელი ფეხბურთელი; 19. მწვრთნელი... საკი; 20. ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 22. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 24. თბილისის "დინამოს" პირველი თაობის მცველი; 26. იაპონური სპორტული ინტელექტუალური თამაში; 27. მსაჯის ბრძანება ძიუდოში მსაჯებისა და მონაწილეთა მისალმებისათვის; 28. თანამედროვე იაპონელი ფეხბურთელი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. გამოჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 2. თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი; 3. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი, ჯესი...; 4. კოტდივუარელი მეკარე; 5. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრი; 6. გამოჩენილი საბჭოთა ფრენბურთელი ქალი; 8. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 12. თავისუფალი მცველი ფეხბურთში; 14. კარგი მსროლელი; 15. ტიტულოვანი თბილისელი აკრობატი ქალი; 16. თამაშის სეგმენტი ბეისბოლში; 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 21. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი ალუ ...; 23. ფორმულა-1-ის ერთ-ერთი გუნდი; 25. ლეგენდარული ავტომრბოლელი ... პროსტი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

ᲓᲔᲕᲘᲡᲐᲕᲐᲠ ᲐᲜᲗᲐᲫᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲮᲔᲓᲘᲗ

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ

თამაშის დაუშვებელ ხერხს განი ეწოდება:

ა) სახიფათო თამაში;

ბ) აკრძალული ხერხით ბურთის გაჩერება ან წართმევა;

გ) მეკარეზე თავდასხმა დაშვებული ხერხით, მაშინ როდესაც იგი თავის საჯარიმო მოედანზეა და ბურთს არ ფლობს ან მოწინააღმდეგეს არ უკეთებს ბლოკირებას;

დ) გამიზნული ბლოკირება მეტოქისადმი, რომელიც არ ცდილობს ბურთის დაუფლებას ან წართმევას;

ე) როდესაც მეკარე ბურთით ხელში 4 ნაბიჯზე მეტს გადადგამს;

ვ) როდესაც მეკარე განზრახ აყოვნებს თამაშს დროის გაყვანის მიზნით;

სახიფათოა ისეთი მოქმედება, როდესაც ფეხბურთელი ყოველგვარი განზრახვის გარეშე დაშავების საშიშროებას უქმნის მოწინააღმდეგეს.

მაღალ ანეული ფეხი - ეს არის სახიფათო თამაშის ხერხი, რომლის დროსაც ფეხბურთელი ცდილობს ბურთი ჩამოხსნას მოწინააღმდეგის კორპუსის სიმაღლეზე ორთაბრძოლის დროს.

„მაკრატელა“ არ არის სახიფათო თამაში, მაგრამ თუ მას მოთამაშე ასრულებს მოწინააღმდეგესთან უშუალო სიახლოვის დროს ზედ მიბჯენილი, მაშინ მსაჯი ასეთ მოქმედებას სახიფათოდ მიიჩნევს.

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ „ᲐᲜᲗᲐ“

„ანთა“ ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვევა არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ᲐᲜᲗᲐ					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									5-1	9	I
B									2-2	4	II
C									1-2	3	III
D									2-5	1	IV

ᲬᲘᲜᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲐᲜᲗᲐ					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		0:3	1:0	3:0	3	2	0	1	4-3	6	I
B	3:0		0:1	0:0	3	1	1	1	3-1	4	II
C	0:1	1:0		1:1	3	1	1	1	2-2	4	III
D	0:3	0:0	1:1		3	0	2	1	1-4	2	IV

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲝᲜᲒᲘᲖ ᲗᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ჩხუბი ასე იწყებოდა

სპურსს კვალში ჩაუდგნენ

გუშინ რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა, თუმცა ორივეში სეზონის ფავორიტები იღებდნენ მონაწილეობას. ამერიკელმა ჟურნალისტებმა „სან ანტონიოსა“ და „ბოსტონის“ დაპირისპირებას ტიტანთა ბრძოლა უწოდეს. „სპურსი“ კვლავინდებურად ინარჩუნებს პირველ ადგილს რეგულარულში, თუმცა წამყვანი მოთამაშეების ტრავმების გამო ამ შეხვედრას ოთხმატჩიანი ნაგებათა სერიით შეხვდა. რაც შეეხება „ბოსტონს“, ის აღმოსავლეთში პირველობისთვის იბრძვის.

მატჩის წინ გაირკვა, რომ „სან ანტონიოს“ ამჯერად სამივე ლიდერი - **დანკანი**, **ჯინობილი** და **პარკერი** დაეხმარებოდნენ, ამიტომაც მასპინძლებს უკვე ნახსენები უიღბლო სერიის შენყვეტის იმედი ჰქონდათ. ერთი დაბრუნება შედგა „ბოსტონის“ შემადგენლობაში - 36 მატჩის გამოტოვების შემდეგ „კელტების“ რიგებში ვიხილეთ **ჯერმეინ ო'ნილი**.

თამაში დაძაბული და თანაბარი გამოვიდა და პირველმა ტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 49:49. მესამე მეოთხედის სტარტზე მეტოქეებმა მინი-სპურტები გაცვალეს: ჯერ „სპურსმა“ ჩააგდო ხუთი უპასუხო ქულა, შემდეგ კი „ბოსტონი“ გაიქცა - 8:0. სტუმრები ამით არ დაკმაყოფილდნენ და მეოთხედის ბოლოს უფრო სერიოზული სპურტი განახორციელა - 14:0 და პირველად მიაღწია ორნიშნა უპირატესობას. ამ მონაკვეთში ბრწყინვალე იყო **რონდო**, რომელიც თითის მოურჩენელი ტრავმით თამაშობს. „კელტების“ გამთამაშებელმა საერთო ჯამში 22 ქულა, 14 პასი და 5 მოხსნა დააგროვა და მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა.

მატჩის ბოლო ნაწილი „ბოსტონმა“ იდეალურად ჩაატარა და არ მისცა „სპურსს“ შეხვედრის გადარჩენის შანსი. სხვათა შორის, „სელტიქსი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც „სან ანტონიომ“ 2010-11 წლების სეზონში ვერ მოუგო.

მოგების მიუხედავად, ბოსტონელებმა ბოლომდე კარგი განწყობით ვერ დატოვეს სან ანტონიო. ამჯერად ტრავმა მიიღო **ნენად კრსტიჩმა**, რომელმაც ექიმების დახმარებით დატოვა მოედანი. ახლა სერბს სამედიცინო შემოწმება ელის და სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა მუხლის ტრავმის ხარისხი.

რაც შეეხება რეგულარულში დაბრუნებულ ტიმ დანკანს, როგორც ჩანს, ამ კალათბურთელზე არ უმოქმედია ბოლო ოთხი მატჩის გამოტოვებას. ვეტერანმა 20 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი და 2 დაფარება მიითვალა. გარდა ამისა, მას კარიერაში 11 967 მოხსნა დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით ლიგის ისტორიაში 21-ე ადგილზე გადავიდა - გაუსწრო **დენის როდმანს**.

■ ■ ■

დღის მეორე მატჩში „ჩემპიონი“ ლეიკერსი“ „დალასს“ მასპინძლობდა. ორივემ იცოდა „სან ანტონიოს“ მარცხის შესახებ და ბუნებრივია, ორივე ეცდებოდა ლიდერთან მაქსიმალურად მიახლოებას.

აქ ბრძოლა მხოლოდ პირველ ნახევარში იყო, მეორეში კი „კოვბოების“ თამაში მთლიანად მოიშალა. მასპინძლებმა მესამე მეოთხედის სტარტიდანვე დაიწყეს გაქცევა და მეოთხეს დასაწყისში **ლამარ ოდომმა** გამანადგურებელი გახადა სხვაობა - 20 ქულა.

სტუმრებმა მოინდომეს და საფინალო სირენამდე 7 წუთითა და 41 წამით ადრე სხვაობა 11 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ იქვე მეტოქეს პერსონალური 8:0 სპურტით უპასუხა **ბრაიანტმა**.

უფრო საინტერესო იყო ამ მატჩში ამტყდარი ჩხუბი. თამაშის ბოლოს წაგებით ანერვიულებულმა **ჯეისონ ტერიმ** სრულიად უწყინარ სიტუაციაში ზურგში ხელი ჰკრა ფარქვეშ შესულ **სტივ ბლეიკს**. მასპინძლების გამთამაშებელი სამართლიანად აღშფოთდა, მაგრამ დალასელს ბოდიშის მოხდა არც უფიქრია, პირიქით, გამომნვევად დაუდგა წინ მეტოქეს. ბლეიკის დაცვა **მეტ ბარნსმა** ითავა. კალიფორნიელთა ფორვარდმა ხელი უბიძგა ტერის და მოედანზე კინაღამ გრანდიოზული ჩხუბი ატყდა. საბოლოოდ, მსაჯებმა ეს სამეული მოედნიდან მიაბარძნეს და **ბრენდან ჰეივუდიც** მათ გზას გაუყენეს.

სან ანტონიო-ბოსტონი 97:107

33:31, 16:18, 21:28, 27:30

ს-ა: პარკერი (23+8 პასი), დანკანი (20+13 მოხსნა), ჯეფერსონი (14).

ბ: რონდო (22+14 პასი+5 მოხსნა), პირსი (21+11 მოხსნა+7 პასი), დეივისი (16+8 მოხსნა), ალენი (13).

ლეიკერსი-დალასი 109:82

28:26, 26:25, 28:19, 27:12

ლ: ბრაიანტი (28+5 მოხსნა), გასოლი (20+7 მოხსნა), ბინუმი (18+13 მოხსნა), ოდომი (16+11 მოხსნა), არტესტი (13+6 პასი).

დ: ნოვიცკი (27+13 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13), ბარეა (10), ჩენდლერი (7+10 მოხსნა).

ევროლიგა. 1/4 ფინალი. IV მატჩები

ახალ ჩემპიონს ვნახავთ

მეოთხედფინალური სერიის მორიგი მატჩების შემდეგ „ოთხთა ფინალის“ სამი მონაწილე გაირკვა. ბარსელონაში თამაშის უფლება მიიღეს: „მაკაბიმ“, „მონტეპასკიმ“ და „პანათინაიკოსმა“. ამ უკანასკნელმა მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა“ გამოთიშა ბრძოლას. ახლა გასაკვეცი დარჩა ერთი ნახევარფინალისტი - „რეალისა“ და „ვალენსიას“ წყვილში მეხუთე მატჩის ჩატარება გახდა საჭირო.

მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი 88:76

29:18, 21:18, 18:25, 20:15

მ: ჰეირსტონი (25+7 მოხსნა), ლავრინოვიჩი (19), იარიჩი (12), სტონრუკი (10+5 მოხსნა).

ო: ბურუსისი (16+5 მოხსნა), გორდონი (16), ტეოდოშიჩი (10), ჰალპერინი (10).

სერია: 3-1

პირველი მატჩის სამარცხვინოდ წაგების შემდეგ არავის სჯეროდა, თუ იტალიის ჩემპიონი ფეხზე დადგებოდა და ზედიზედ სამჯერ მოუგებდა ბერძნულ გრანდს.

ამ მატჩს ორი მნიშვნელოვანი მომენტი ჰქონდა. სადებიუტო მეოთხედში 17:16-ზე **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** და **მალიკ ჰეირსტონმა** ზედიზედ ექვსი საჯარიმო ჩააგდეს, გარდა ამისა, ლიტველმა სამქულიანიც გამოიყენა, ბერძნებმა კი ამ დროის განმავლობაში ერთი ქულაც ვერ აიღეს და „მონტეპასკი“ 10 ქულით გავიდა წინ.

ამის შემდეგ მოხდა პატარა სასწაული. მეორე ნახევარში „ოლიმპიაკოსმა“ შეძლო 15-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და წინ ხუთი ქულით გასვლა - 66:61. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს დროებითი ნარმატება იყო. მასპინძლები მალე მოვიდნენ გონს და საპასუხო დარტყმა მიაყენეს მეტოქეს.

მატჩის გმირი გახდა ჰეირსტონი, რომელმაც თამაშიდან ტყორცნების 61 პროცენტი გამოიყენა, 25 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. ამან მას გასული სათამაშო დღის MVP-ის სტატუსი მოუტანა.

ამ სერიის ანტიგმირად კი **მილოშ ტეოდოშიჩი** უნდა მოვნათლოთ. სახელოვანი სერბი გამთამაშებელი პირველ ორ მატჩში საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე, მესამეში ერთი შედეგიანი პასი გააკეთა და ოთხი შეცდომა დაუშვა, ბოლოში კი თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო.

მაკაბი-კ. ლაბორალი 99:77

25:23, 26:29, 28:10, 20:15

მ: პარგო (26+7 პასი), პნინი (22+4 პასი), ბლიუ (17), ელიაშუ (12), ჰენდრიქსი (8+8 მოხსნა).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (17), ოლესონი (13), უერტასი (12+6 პასი), ბარაცი (10), ბატისტა (9+6 მოხსნა), სან ემეტერიო (8+7 პასი+5 მოხსნა).

სერია: 3-1

დიდი შესვენების შემდეგ „მაკაბიმ“ დაცვაში ბრწყინვალე თამაშის წყალობით 14:0 გაქცევა მოაწყო და 16-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. დარჩენილ 13 წუთში ესპანეთის მოქმედ ჩემპიონს თამაშის გადარჩენის შანსი არ ჰქონია, პირიქით, მასპინძლებმა კიდევ ერთი მინი-სპურტი (7:0) განახორციელეს და ამით **დევიდ ბლატის** შეგირდებმა „ოთხთა ფინალის“ საგზური მოიპოვეს.

გადამწყვეტ მესამე მეოთხედში „მაკაბიმ“ თამაშიდან 13-ჯერ ისროლა და 10-ჯერ ჩააგდო, იმ დროს, როცა „კახა ლაბორალის“ 17 ნასროლიდან მხოლოდ ოთხმა მიაღწია მიზანს. შთამბეჭდავი იყო მასპინძელთა ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი: ორქულიანები - 63.8 და სამქულიანები - 66.6. **პარგომ**, **ბლიუმ** და **პნინიმ** ერთად 13 შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში.

ვალენსია-რეალი 81:72

17:14, 23:24, 19:17, 22:17

ვ: კუკი (16+7 პასი), სავანოვიჩი (12), დე კოლო (12+5 პასი), იავტოკასი (12+7 მოხსნა).

რ: ტომიჩი (20), ტაკერი (14), პრიჯიონი (11+6 პასი), ლიული (9).

სერია: 2-2

ეს არის ერთადერთი წყვილი, რომელშიც გამარჯვებულის გარკვევას მეხუთე მატჩის ჩატარება დასჭირდა. ეს შეხვედრა 6 აპრილს მადრიდში გაიმართება.

არადა, „რეალს“ შეეძლო აქამდე არ მიეყვანა საქმე და ზედიზედ მეორედ მოეგო გასვლითი შეხვედრა. მესამე მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე **ფიშერმა** კიდევ ერთხელ დააწინაურა მადრიდული კლუბი 6 ქულით, მაგრამ ამის შემდეგ „რეალს“ უცნაური რამ დაემართა. მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში მან ვერც ერთი ქულა ვერ აიღო და შესაბამისად 14:0 სპურტი მიიღო. დარჩენილ დროში სხვაობის ექვს ქულამდე შემცირების შემდეგ **ეტორე მესინას** გუნდმა ვეღარ შეძლო წინსვლა და წაგება აღიარა.

ამ სერიის მეხუთე მატჩის წინ ძალიან საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. თუ „ვალენსია“ შეძლებს მოგებას, მაშინ პირველად ევროლიგის ისტორიაში „ოთხთა ფინალში“ გავლენ ის გუნდები, რომლებმაც ტოპ16-ის ჯგუფებში მეორე ადგილები დაიკავეს და მეოთხედფინალში არ ფლობდნენ საკუთარი მოედნის უპირატესობას.

პანათინაიკოსი-ბარსელონა 78:67

16:12, 18:21, 22:14, 22:20

პ: კალატესი (12+3 ჩაჭრა), ფოცისი (11+6 მოხსნა), დიამანტიდისი (11+5 პასი), სატო (10), ვუოუკასი (10).

ბ: ბატისტი (14+5 მოხსნა), ანდერსონი (13), ლორბეკი (9+4 პასი).

სერია: 3-1

ცენტრალურ სერიაში ყველა წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მეოთხე შეხვედრამაც დაადასტურა. მესამე მეოთხედში მასპინძლების მოკრძალებულმა 9:2 გაქცევამ მორალურად გატეხა ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი.

დარჩენილ დროში „პანათინაიკოსი“ ისე თამაშობდა, თითქოს ის აგებდა სერიასა და მატჩს. ბერძნებმა „ბარსელონას“ სამი წუთის განმავლობაში ქულა არ ააღებინეს. ხოლო ათენში 13-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება პრაქტიკულად შეუძლებელია. სასწაული არც ამჯერად მომხდარა.

„ბარსელონას“ წაგების მიზეზი გახდა მისი წამყვანი მცველების - **რიკი რუბიოსა** და **ხუან კარლოს ნავაროს** ცუდი თამაში. რუბიომ, რომელიც მომავალ სეზონში NBA-ში გადასვლას აპირებს, მხოლოდ 3 ქულისა და ამდენივე მოხსნის მოგროვება შეძლო. რაც შეეხება ნავაროს, მან ოთხიდან ერთი სამქულიანი ჩააგდო და ზედიზედ მეორე მატჩში ვერ მიაღწია ათქულიან ზღვარს.

ოთხთა ფინალი

6 მაისი. 1/2 ფინალი

მაკაბი-რეალი/ვალენსია

პანათინაიკოსი-მონტეპასკი

ფინალი ბარსელონაში 8 მაისს გაიმართება.

ხუან კარლოს ნავარო

● ფორმულა 1

ბაჰრეინის გრანპრი დეკემბერში?

იტალიელი ჟურნალისტების ინფორმაციით, პოლიტიკური სიტუაციის გამო გაუქმებული ბაჰრეინის გრანპრი, შესაძლოა, სეზონის ბოლოს დეკემბერში გაიმართოს. ამ ეტაპის ბედს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია პირველ მაისამდე გადაწყვეტს.

იმის გამო, რომ მჭიდრო კალენდარში რთულია თავისუფალი ადგილის მონახვა, სავარაუდოდ, ამ გრანპრის გამართვა გვიან შემოდგომით ან ზამთრის დასაწყისშია ნავარაუდები.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ამ ცვლილების გამო ბრაზილიის გრანპრის გადმოტანაა დაგეგმილი 27 ნოემბრიდან 13 ნოემბერს. სეზონის დასრულება კი ერთ კვირაში ზედიზედ ორი გრანპრით არის დაგეგმილი - 27 ნოემბერს აბუ დაბიში და 4 დეკემბერს - ბაჰრეინში.

თუმცა შეიძლება იმის ვარაუდი, რომ მსგავსი გადაწყვეტილება არ მოეწონებათ გუნდებს. გრძელი სეზონის ბოლოს დამატებითი რბოლის ჩატარება ახალ ენერგიასა და ფინანსურ შესაძლებლობებს მოითხოვს. ამასთან, ტრასაზე ზედმეტი კვირა უარყოფითად იმოქმედებს ახალი სეზონისთვის მზადებაზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

პრეზიდენტის თასი ვანკუვერს

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ოთხ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. არსებობის ისტორიაში პირველად „პრეზიდენტის თასის" მფლობელი გახდა „ვანკუვერ კენაქსი". ეს პრიზი გადაეცემა რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ გუნდს.

კანადურმა კლუბმა პირველი ადგილი „ლოს ანჯელეს კინგზის" ძლევის შემდეგ გაინაღდა. თამაში „ვანკუვერმა" 3:1 მოიგო. ამ მატჩში ორი ქულა (1+1) დააგროვა წლევანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **დანიელ სედინმა**. ის გახდა პირველი მოთამაშე მიმდინარე რეგულარულში, რომლის მონაგარმა 100 ქულა შეადგინა.

„კინგზის" დამარცხების შემდეგ „ვანკუვერს" 78 მატჩში 113 ქულა დაუგროვდა. მის უახლოეს მდევარს - „ფილადელფია ფლაიერზს" 77 შეხვედრაში 102 ქულა აქვს. ასე რომ, „კენაქსმა" დარჩენილი ოთხივე შეხვედრა რომც წააგოს, მას კონკურენტები ვეღარ დაეწევიან.

რაც შეეხება დანიელ სედინს, ახლა მისი მონაგარი რეგულარულ ჩემპიონატში 41 გოლსა და 59 შედეგიან გადაცემას უდრის. ბომბარდირთა დავაძი მეორე ადგილზე იმყოფება „ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდი **მარტინ სენტ ლუისი**, რომელმაც 92 ქულის მოგროვება მოასწრო.

„ვანკუვერ კენაქსი" 1970 წელსაა დაარსებული და მას არც სტენლის თასი მოუგია თავისი არსებობის ისტორიაში.

ბოსტონი-ბორონტო 3:4 (ბ)

0:1, 3:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 შენი-5 (გუნარსონი-14, ლუპული-15), 1:1 მარნანდი-21, 2:1 კრეისი-13 (ლუჩიჩი-30, ჰორტონი-27), 2:2 ლუპული-12 (კესლი-30, ბოგაკი-17), 3:2 ფერენსი-3 (მარნანდი-19, ბერგერონი-34), 3:3 ლუპული-13 (კესელი-31, შენი-16).

ბულიტები გაიტანეს: კადრი (ტორონტო).

ანაჰეიმი-რენჯერსი 6:2

0:1, 4:0, 2:1

გოლები: 0:1 პოსპალი-6 (გაბორიკი-23), 1:1 კომო-22 (ბეილი-16, ჰამონიკი-20), 2:1 მარტნეკი-3 (პარენტმი-32, ტავარესი-35), 3:1 ფოესუ-5 (მარტინეკი-13, ჰილენ-17), 4:1 პარენტმი-19 (მოულსონი-19, რიისი-2), 5:1 მოულსონი-31 (ტავარესი-36, რიისი-3), 6:1 ფილი-2 (რიისი-4, მარტინი-9), 6:2 პრუსატი-13 (ბოილი-13).

ფილადელფია-ატლანტა 0:1

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 ანტროპოვი-15 (ე. კეინი-23).

ვაშინგტონი-კოლამბუსი 4:3 (ო)

1:0, 2:2, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 კარლსონი-7 (ლეიჩი-27, ჩიმერა-16), 1:1 ვერმეტი-19 (კალვერტი-7, კუბალიკი-1), 2:1 ნუბლი-21 (ბექსტროომი-42, ოვეჩკინი-49), 2:2 ტოუტინი-7 (კუბალიკი-2, კალვერტი-8), 3:2 არნოტი-16 (ბტურმი-9), 3:3 აპშოლი-22 (მაკენზი-13), 4:3 ჩიმერა-9 (ლეიჩი-28, კარლსონი-28).

ფლორიდა-ოტავა 1:4

0:1, 1:3, 0:0

გოლები: 0:1 ფოლინო-13, 0:2 გრინინგი-5 (სვატოსი-3), 1:2 რეპიკი-2 (რისონერი-16), 1:3 გრინინგი-6 (სვატოსი-4, ფილიპსი-7), 1:4 კუბა-1 (კონდრა-5, შენონი-14).

ტამპა ბეი-პიტსბურგი 2:1

2:0, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 დაუნი-9 (საიმონ განიე-19, სტემკოსი-45), 2:0 სენტ ლუისი-30 (ლეკავალიე-28, ჰედმაინ-23), 2:1 რუპი-7 (კოვალიოვი-16).

მინესოტა-ედმონტონი 4:2

2:0, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 მიეტინენი-15 (კულენი-27, ბრუნეტი-26), 2:0 ფიდლიკი-7 (ბუშარი-23, ბროძიკა-19), 3:0 შტაუბიჭი-2 (ნისტრიომი-7, მადენი-13), 4:0 პავლატი-22 (კობესიუ-6, ბერნსი-28), 4:1 გილბერტი-6 (ჯონსი-6, ჰაიარვი-18), 4:2 უმარკი-4 (გილბერტი-20, ვანდერმეერი-12).

კოლორადო-ნეშვილი 2:3

0:1, 0:1, 2:1

გოლები: 0:1 უილსონი-16 (ჰალიშუკი-6, ჯოფრონი-2), 0:2 ტუტუ-6 (ფრენსონი-19, ერატი-32), 0:3 ერატი-16 (ფიშერი-19, ს. კოსტიცინი-26), 1:3 შრასტინი-22 (ჰეიდუკი-33, დუშენი-35), 2:3 ჯონსი-26 (ლაილსი-38, პორტერი-10).

ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 3:1

0:1, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 კოიფორდი-6 (დაუტი-28, რიჩარდსონი-12), 1:1 დ. სედინი-41 (ორეშკოვიჩი-3), 2:1 ერპოფი-13 (ჰასსანი-18), 3:1 კესლერი-37 (დ. სედინი-59, საალო-4).

სან ხოსე-დალასი 6:0

1:0, 2:0, 3:0

გოლები: 1:0 ბოილი-7 (ჰაველსკი-44, ველვუდი-3), 2:0 კუტური-31 (ქლოუ-37, ჰიტლი-36), 3:0 ვლასიჩი-3 (ჯ. ტორნტონი-46, სეტოგუჩი-17), 4:0 მარლო-34 (მეიერსი-10, უაიტი-22), 5:0 მარლო-35 (ჯ. ტორნტონი-47, ჰიტლი-37), 6:0 იგერი-6 (მეიერსი-11, ვლასიჩი-13).

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა

პიტერბრო-ბორნმუთი	3:3

იტალია

სერია B

ტორინო-გროსეტო	1:0

ესპანეთი

II დივიზიონი

ლას პალმასი-ელჩე	2:1

გერმანია

სტ. პაული-შალკე	0:2 შეწყდა

II ბუნდესლიგა

არმინია-აუგსბურგი	0:2
კოტბუსი-ინგოლშტადტი	1:2
კარლსრუე-ოსნაბრიუკი	2:2

III ბუნდესლიგა

ვერდერი A-ოფენბახი	0:0

რეგიონალლიგა (სამ)

მემინგენი-კარლსრუე A	2:2

რეგიონალლიგა (დას)

ლევერკუზენი A-კაიზერი A	0:1
ლოტე-არმინია A	0:2
ელვერსბერგი-კიოლნი A	1:3

საფრანგეთი

II დივიზიონი

აიაჩო-შატორუ	1:1
ევიანი-ნიმი	1:0
ლავალი-კლერმონი	1:1
ჰავრი-ისტრი	1:2
ლე მანი-ანჟერსი	0:0
მეცი-გრენობლი	0:1
რეიმსი-ტური	4:1
ტრუა-სედანი	0:2
ვანი-დიჟონი	2:4

პოლანდია

II დივიზიონი

ვეენდამი-კამბური	1:1
ომნიფორლდი-ეინდჰოვენი	3:0
ფორტუნა-მაასტრიხტი	0:0
ტელსტარი-ცვოლე	0:0
აპელდოორნი-ვოლენდამი	2:1
დენ ბოში-დორდრეხტი	0:0
ჰელმონდი-ემენი	2:2
სპარტა-ვაალვიკი	3:4

ბელგია

II დივიზიონი

ბრიუსელი-ანტვერპენი	1:0

პორტუგალია

ლეირია-მარიტიმუ	1:3

დანია

II დივიზიონი

კიოგე-ბრონსჰოი	2:1

ნორვეგია

ვოლერენგა-ოლესუნდი	2:0

ავსტრია

II დივიზიონი

ადმირა-ვენა	1:3
ჰარტბერგი-გრიოდიგი	1:1
გრატკორნი-სტ. ანდრე	3:2
სტ. პოლტენი-ალტახი	1:0
ლუშტენაუ-აუსტრია (ლ)	1:2

შვეიცარია

ჩემპიონატი

კიასო-ლოკარნო	1:2

ირლანდია

სტ. პატრიკსი-ბოჰემიანსი	0:0
ბრეი-დერი	1:2
დროგედა-შემროკი	0:4
დანდალკი-უნივერსიტი	3:1
გალვეი-სლიგო	0:1

II დივიზიონი

კორკი-მონეგანი	2:2
შელბურნი-ლიმერიკი	1:1
უეძსფორდი-მერვუ	3:5

უელსი

ბალა-ეგერისტვიტი	2:1
ბანგორი-პრესტატინი	1:2
ლანელი-ნითი	4:0

ჩეხეთი

ბოლესლავი-სიგმა	2:0

II დივიზიონი

დუკლა-ვიძტორია	1:1
ჟილინა-სლოვანი	0:0

უკრაინა

ილიჩივეცი-შახტარი	1:3

პოლონეთი

ლეჩია-ბელხატოვი	0:0
ლეხი-ულიონსკი	2:2

ხორვატია

ლოკომოტივა-სპლიტი	0:0

სლოვენია

პუგლიკუმი-ნაფტა	3:0
დომჟალე-ნოვა გორიცა	2:0

უნგრეთი

კაპოშვარი-ვაშაში	0:1
ფერენცვაროში-უიპეშტი	1:0

რუმინეთი

ასტრა-ვიძტორია	2:0
ვასლუი-უნირეა	2:0
ბრაშოვი-ოცელული	1:0
უნივერსიტატეა (კლ)-დინამო	2:1

ბულგარეთი

ცსკა-სლივენი	2:0
ჩერნომორეცი-ჩერნო მორე	1:2

კალათბურთი

თურქეთი

ანტალია-ბეშიძთაში	76:80

საფრანგეთი

ვილერბანი-ლე მანი	70:81

პოკერი

კულ

ს. იულიანეევი-მეტალურგი (მ)	3:4

დანია

ჰერნინგი-ფრედრიკშავნი	1:2

ფინეთი

ლუკო-ჰიფკ	1:3
ბლუზი-იუვასკილა	4:3

ჩეხეთი

ტრშინეცი-სლავია	5:2

ჩოგბურთი

ATP. მაიამი

ჯოკოვიჩი-ფიში	6:3, 6:1

● TV პროგრამა

2 აპრილი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. სანქტ პაული-შალკე.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 იტალიის პოუ.
14:30 ესპანეთის პოუ.
15:00 საფრანგეთის პოუ.
15:30 უინბურთი. სტუდენტური ლიგის მიმოხილვა.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერი (LIVE).
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ჩელსი (LIVE).
19:50 ესპანეთის პოუ.
20:45 პოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჟსვ (LIVE).
22:45 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი (LIVE).
00:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
13:45 რაგბი. ექვსი ერის თასი. მიმოხილვა.
14:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. პერპინიანი-ტულუზა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი (LIVE).
19:25 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სპორტინგი (LIVE).
22:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).
02:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.

I არხი

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სტუ-სამედიცინო (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სპორტინგი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ფილადელფია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

13:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-კრილია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-დინამო (LIVE).
18:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-როსტოვი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-სპარტაკი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მარია შარაპოვა-ვიქტორია აზარენკა. მაიამი. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-მინესოტა (LIVE).

SPORT+

17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი (LIVE).
20:40 ფეხბურთი. პოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი (LIVE).

EUROSPORT

15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მარია შარაპოვა-ვიქტორია აზარენკა. მაიამი. აშშ (LIVE).
00:00 ქოილინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. დანია (LIVE).

EUROSPORT-2

17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. კარნაგი-ბერგამო (LIVE).

3 აპრილი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
14:00 საფრანგეთის პოუ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო (LIVE).
16:30 პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი (LIVE).
18:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი (LIVE).
22:45 იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი (LIVE).
01:15 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ესტუდიანტესი (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ფილადელფია.
13:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-პორტლენდი
15:20 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-უდინეზე (LIVE).
19:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ლიონი (LIVE).
20:45 კონტაქტური კარატე. საქართველოს ჩემპიონატი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფინიქსი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

14:25 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო (LIVE).
16:55 იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო (LIVE).
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რასინგი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ატლეტიკო (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

16:25 ფეხბურთი. პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი (LIVE).
20:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ნიურნბერგი (LIVE).
19:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოფლსბურგი-აინტრახტი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-მარსელი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

13:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ზენიტი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-რუბინი (LIVE).
18:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-კრასნოდარი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

17:45 რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-უნიქსი (LIVE).
02:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-მაიამი (LIVE).

SPORT+

20:55 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. 60, 74, 96 კგ. დორტმუნდი. გერმანია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-მარსელი (LIVE).

EUROSPORT

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
14:30 ველოსპორტი. ფლანდრიის ტური. ბელგია (LIVE).
19:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
00:15 ქოილინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. დანია (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ნიურნბერგი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). ეკვადორი (LIVE).

● ამბები

ფორმულა 1

ჰემილტონი ფეტელს არ აფასებს

სეზონის პირველი რბოლის შემდეგ უცნაური განცხადება გააკეთა „მაკლარენის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა**. ავსტრალიის გრან-პრიზე ბრიტანელი მოქმედ ჩემპიონ **სებასტიან ფეტელს** 22 ნამით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, ჰემილტონმა ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალ სეზონში თავის მთავარ კონკურენტად არა გერმანელ პილოტს, არამედ „ფერარის" ლიდერ **ფერნანდო ალონსოს** მიიჩნევს.

„ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ჩემი მთავარი კონკურენტი ფერნანდო ალონსოა, - აცხადებს 2008 წლის ჩემპიონი. - გადახედეთ „დიდი პრიზების" ისტორიას - ყოველთვის არსებობს წყვილი, რომელიც დაძაბულ პაექრობაში არკვევს ურთიერთობას. ჩვენ პროსტასა და სენას ვგავართ, თანაც ვისურვებდი, რომ მე სენა ვყოფილიყავი".

ავსტრიაში ფორმულა დაბრუნდება?

მაისში კომპანია „რედ ბული" გრანდიოზული სანახაობის მოწყობას აპირებს, რომელიც ავსტრიაში ამავე სახელწოდების ტრასის გახსნას მიეძღვნება. ადრე ამ ავტოდრომს „A1-რინგი" ერქვა და ის ავსტრიის გრანპრის მასპინძლობდა. ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებს „რედ ბულის" ორივე პილოტი - **სებასტიან ფეტელი** და **მარკ უებერი**. ისინი შარშანდელი საჩემპიონო ბოლიდით გაიკლიან ტრასას. ასევე გაიმართება ფორმულა 1-ის წინა წლების მანქანების დემონსტრაცია.

ახალი ტრასის გახსნამ წარმოქმნა ჭორი იმის თაობაზე, რომ ავსტრიის გრანპრი მალე დაბრუნდება ფორმულა 1-ის კალენდარში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. მიმოხილვა

ნაადრევი ფინალი?

მაიამის მასტერსზე მაყურებელი პროგნოზირებად ნახევარფინალს იხილავს - ფინალის საგზურს ძველი მეტოქეები, **როჯერ ფედერერი** და **რაფაელ ნადალი** გაითამაშებენ.

ფედერერმა პრაქტიკულად უბრძოლველად გაიღწია ნახევარფინალში. მან და **ჟილ სიმონმა** კორტზე სულ ათი წუთი დაჰყვეს და ამ დროის განმავლობაში სამი გეიმის თამაში მოასწრეს. სამივე შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მოიგო, თანაც აქედან ორჯერ ბრეიკი შეასრულა და მეტოქეს ერთადერთი ქულა დაუთმო. ამის შემდეგ სიმონმა კორტზე ექიმს უხმო და მასთან კონსულტაციის შემდეგ თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. როგორც გაირკვა, ფრანგს ბარძაყის ტრავმა აწუხებდა.

თუ ფედერერმა სიმონის ძლევისთვის სამი გეიმი იკმარა, რაფაელ ნადალს სამი სეტი დასჭირდა ჩეხი **ტომაშ ბერდიხის** დამარცხებლად. ეს იყო მათი მე-13 შეხვედრა და ესპანელმა მეათედ დაამარცხა შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი. თამაში თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ბერდიხი არაფერში ჩამოუვარდებოდა რაფას - ორივეს შვიდ-შვიდი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ოღონდ ნადალმა სამი შანსი გამოიყენა, ბერდიხმა - მხოლოდ ერთი. საინტერესოა, რომ გადამწყვეტ სეტში ტომაშმა სამჯერ მიიღო მეტოქის გეიმის აღების შანსი, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა, ნადალმა კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი შეირგო და ამის ხარჯზე გადანყვიტა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ.

ასეა თუ ისე, სეზონში პირველად შეხვედებიან ერთმანეთს ფედერერი და ნადალი. ეს იქნება მათი 23-ე დაპირისპირება. ჯერჯერობით ანგარიშია 14:8 რაფას სასარგებლოდ, თუმცა ბოლო მატჩი როჯერმა მოიგო - 2010 წელს სეზონის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში.

საინტერესოა ერთი ფაქტი - ნადალი და ფედერერი პირველად კარიერაში ერთმანეთს სწორედ მაიამის მასტერსზე შეხვდნენ. ეს იყო 2004 წელს, როცა 17 წლის ესპანელმა მესამე რაუნდში დაამარცხა შვეიცარიელი. როგორც წესი, აქამდე რაფა და როჯერი ფინალებში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა ფედერერი მსოფლიოს მესამე ჩოგანია და ამიტომაც მათი გზები ნახევარფინალში გადაიკვეთა. სხვათა შორის, ეს იქნება ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველი შეხვედრა ამერიკულ ჰარდზე. 2005 წელს ისინი სწორედ მაიამიში შეხვდნენ ერთმანეთს და ფედერერმა იმ მატჩთან ერთად ტიტულიც მოიგო.

ATP

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 645 000 დოლარი

1/4 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 6:2, 3:6, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ჟილ სიმონი (საფ, 25) 3:0 უარი.

ნახევარფინალი მოახლოვდა

მოახლოვდა ქალებს შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ნახევარფინალური ეტაპი და გუნდების კაპიტნები უკვე ასახელებენ შემადგენლობებს.

ბელგიის ქალაქ შარლერუაში ადგილობრივი ნაკრები ჩეხეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ჩეხები ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან ამ მატჩს. **პეტრ პალას** გუნდის ლიდერი **პეტრა კვიტოვა** იქნება. მას პარტნიორობას გაუწევენ **ლუსი საფაროვა, ივეტა ბენეშოვა** და **ბარბორა ზახვალოვა**.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელგიელთა რიგებში ვიხილავთ **კიმ კლაისტერსს** (მასპინძლების შემადგენლობა ჯერ არ დასახელებულა), აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ მის და კვიტოვას დაპირისპირებას ყველაზე მეტი ინტრიგა ექნება. საქმე ისაა, რომ ამა წლის თებერვალში ეს ჩოგბურთელები პარიზის ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ჩეხმა ორ სეტში მოიგო - 6:4, 6:3.

ჩეხეთი ზედიზედ მესამედ გავიდა ფედერაციის თასის ფინალში - წინა ორ შემთხვევაში მან აშშ-სა და იტალიის ნაკრებებთან ააგო. 2001 წლის ჩემპიონი ბელგია კი პირველ ნახევარფინალს თამაშობს 2006 წლის შემდეგ.

● კვირის ბოლოს

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

შარაპოვას მესამე ცდა

ქალებში ორივე ფინალისტი გაირკვა. მაიამიში **ანდრეა პეტკოვიჩმა** ვეღარ შეძლო თავისი გმირობების გაგრძელება. მოქმედი და ყოფილი პირველი ჩოგნების - **კაროლინ ვოზნიაცკისა** და **ელენა იანკოვიჩის** დამარცხების შემდეგ, გერმანელმა ვეღარაფერი მოუხერხა რეიტინგის კიდევ ერთ ყოფილ ლიდერს **მარია შარაპოვას**.

არადა, პეტკოვიჩისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა. პირველ სეტში მან ბრეიკით დაწინაურება შეძლო და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3. მაგრამ ამის შემდეგ გერმანელის თამაშში ხანგრძლივი კრიზისი დაიწყო. ანდრეას ჩავარდნა იმდენად მძიმე იყო, რომ მეორე სეტის სტარტიდან მოყოლებული შარაპოვამ ზედიზედ 11 (!) გეიმი აიღო. რუსმა მოიგო მეორე პარტია - 6:0 და მესამეში 5:0 დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ მეორე სეტში პეტკოვიჩს 11 გეიმბოლი ჰქონდა და ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა.

ბოლოსკენ პეტკოვიჩმა სცადა მატჩისთვის ინტრიგის დაბრუნება, როცა ბრეიკი გააკეთა და ერთი თავისი გეიმიც აიღო, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. შარაპოვამ მეორე ცდაზე შეძლო მატჩზე ჩაწოდება და კარიერაში მესამედ გავიდა მაიამის ტურნირის ფინალში. წინა ორ შემთხვევაში (2005, 2006) მან წააგო გადამწყვეტი მატჩი და ახლა მესამე ცდაზე ეცდება შარშან მაისის შემდეგ პირველი ტიტულის მოგებას.

შეიძლებოდა მაიამიში რუსული ფინალი გვეხილა, მაგრამ მსგავსი სცენარი არ დაუშვა ამ ტურნირის 2009 წლის ჩემპიონმა **ვიქტორია აზარენკამ**. ბელარუსმა მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა რუსული ჩოგბურთის პირველი ნომერი **ვერა ზვონარევა**. ეს მით უფრო გასაკვირი იყო იმის გათვალისწინებით, რომ წინა სამ მატჩში ვიქტორიას სამი სეტის ჩატარება დასჭირდა გასამარჯვებლად - 6:0, 6:3.

თამაში საათსა და 16 წუთს გაგრძელდა. აზარენკამ თითქმის იდეალური ჩოგბურთი აჩვენა: მხოლოდ 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა, არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მისცა მეტოქეს, თავად კი ხუთჯერ აიღო ზვონარევას მოწოდება.

ასე რომ, ფინალში შარაპოვა და აზარენკა ითამაშებენ. ჯერჯერობით მათ დაპირისპირებაში ანგარიშია - 2:2. ბოლო შეხვედრა შარშან სტენფორდის ტურნირის ფინალში გაიმართა და მაშინ ბელარუსმა ორ სეტში გაიმარჯვა - 6:4, 6:1

WTA

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი

1/4 ფინალი

ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)-ვერა ზვონარევა (რუს, 3) 6:0, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 13)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21) 3:6, 6:0, 6:2.

გვერდი მოამზადა:
გია თვალაბეიშვილმა